ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 მარტი ხუთშაბათი 2011
№056 (13353) ფასი 60 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE



# ჯერ ჩაგენის, მერე ითამაშებს!

სანიკიძე ჩაგენებების კონკურსის გარდა, იტალიურ ოლ სტარზე ლეგიონერთა ნაკრებში ითამაშებს

↳ 11



# ზაზამ გასოლს 10 მოუხსნა

ფაჩულიამ ჩემპიონის წინააღმდეგ თითქმის სრული მეოთხე მეოთხედი ითამაშა და ორი ქულა დააკლდა ორმაგ დუბლამდე

### იტალიური ფეხბურთის პრესტიჟი ინტერზე კიდია

# მილანი რომას მიჰყვა



თუ ლუი ვან გაალის ბაიერნი კრიზისს დაძლევს და მილანში ინტერთან მოპოვებულ უპირატესობას შეინარჩუნებს, ჩემპიონთა ლიგა მერვედფინალიდან დაემშვიდობება იტალიურ კლუბებს...

მილანს უაით ჰართ ლეინზე მიჰყავდა თამაში, მომენტიც არაერთი შექმნა, მაგრამ მის დარტყმებს ხან გომეში ელობებოდა, ხანაც სტუმრებს მიზანი არ უვარგოდათ. შესაბამისად, სან სიროზე კრაუჩის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ ორმატჩიან დაპირისპირებაში. ტოტენჰემმა ისტორია შექმნა - ჰარი რედნაპის გუნდი პირველად ითამაშებს ლიგის მეოთხედფინალში...

### ბუნდესლიგის მეათემ პრიმერას მესამეს მოუგო

# ფელიქსი ისევ რკინისაა



ბუნდესლიგაში არასტაბილურად მოთამაშე შალკე მეოთხედფინალში გავიდა. ფელიქს მაგათის ბიჭებმა საპასუხო შეხვედრაში კარგი თამაშიც აჩვენეს, პირველი გაშვებული გოლის შემდეგ ხასიათის სიმტკიცეც გამოავლინეს და დამსახურებულად გადავიდნენ შემდეგ ეტაპზე...

მართალია, ვალენსიამ მოიხსნა რაულის კომპლექსი და ამჯერად შეაჩერა ბრწყინვალე ვეტერანი, მაგრამ ფარფანი და გავრანოვიჩი დატოვა უყურადღებოდ და მათგან სამი გოლი მიიღო საკუთარ კარში...

↳ 9

1001-ე სევდა

ინტერვიუ სანდრო იაშვილთან

# ჩვენში ფეხბურთელის ჩაკვლის სისტემაა აწყობილი და არა მისი წარმოჩენის

**ბოლო წლებში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თავდამსხმელი, ყველა ასაკობრივ ნაკრებში ნათამაშები სანდრო იაშვილი ერთწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთში ისევ რუსთავის "ოლიმპში" დააბრუნეს, სადაც ბოლოს თამაშობდა.**
**სანდრო არ არის რიგითი ფეხბურთელი, აქვს პრინციპული პოზიცია და პიროვნული ხედვა. წაიკითხეთ ინტერვიუ და ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით. ამიტომაც ვთხოვეთ ჩვენი რუბრიკის, "1001-ე სევდის" სტუმრობა. სანდრომ ისეთი პრობლემა წამოჭრა, რაც ბევრ ფეხბურთელს აწუხებს და ვფიქრობ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.**

**- ჯერ ბოლო ამბებით დავიწყოთ, "ოლიმპში" კონტრაქტი რამდენი ხნით გააფორმე?**

- 6 თვით, აგვისტომდე ვითამაშებ და შემდეგ ხელახლა დავილაპარაკებთ.

**- რამდენი ხანია, რაც "ოლიმპში" ვარჯიშობ?**

- ორი კვირაა, მეტი არა. მანამდე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი და, ცხადია, ფორმაში ჯერ ვერ ვიქნები, რადგან პრაქტიკა მაკლდა. პირველ შეხვედრაში გამიჭირდა, ვერ ვარ ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ თამაშით ფორმას აუცილებლად აღვიდგენ. თანაც ახლა ისე მინდა თამაში, როგორც არასდროს.

> მოურინიო ქართველად რომ დაბადებულიყო, რამდენ აქაურ ფეხბურთელს გადაარჩენდა?

**- რუმინულ "გაზ-მეთანში" ვარჯიშობდი და მერე „დაიკარგე". რუსთავში დაბრუნებამდე სად ვარჯიშობდი?**

- ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, ზოგჯერ ავთო ბერიძესთანაც, ფორმიდან საერთოდ რომ არ ამოვვარდნილიყავი.

**- და ამ პერიოდში "ოლიმპის" გარდა შენით სხვა კლუბი არ დაინტერესებულა?**

- საერთოდ არავის ვახსოვდი, არც კლუბის ხელმძღვანელებს, არც მწვრთნელებს. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, ალბათ, იმიტომ არავინ ინტერესდება, საქართველოს ჩემპიონატი გაძლიერდა, კარგია-მეთქი. მაგრამ რობერტო კარლოსი საქართველოში ჯერ არ ჩამოუყვანიათ... მოკლედ, არავის ვახსოვდი, ან არ მენდობოდნენ.

ასეთ დროს გამოჩნდა რუსთავის "ოლიმპი" და არც ვიცი, თორნიკე მაისურაძეს მადლობა როგორ გადავუხადო. მენდობა და ფაქტობრივად, თამაში თავიდან დამაწყებინა.

**- მოსამზადებელი ეტაპის გაუვლელად ჩემპიონატში ჩართვა რთული იქნება.**

- სულ უვარჯიშებელიც არ ვყოფილვარ. "გაზ-მეთანში" ორი კვირა შეკრებაზე ვიყავი და ვგრძნობდი, ფორმაში შევდიოდი, მაგრამ იქიდან წამოსვლა მომიხდა. მერე კი უკვე გითხარით, თბილისში რასაც ვაკეთებდი.

**- რუმინულ კლუბში რატომ ვერ დარჩი?**

- დღემდე არ ვიცი. ჩემი საკითხი გადაწყვეტილი მეგონა, რადგან ასე მითხრა მთავარმა მწვრთნელმა, წელიწადნახევრიან კონტრაქტზეც შევთანხმდით, მაგრამ შემდეგ მითხრა, ველარ გტოვებთო. მიზეზი აღარ მიკითხავს, ან რა აზრი ჰქონდა, ვაჭრობას ხომ არ დავუწყებდი. ფეხბურთში ასეც ხდება. ქართველებს არ ვახსოვდი და რუმინელების უარი რა საწყენი იყო. საქართველოში ერთი წელი არ დამკავშირებიან და არ დაინტერესებულან, ცოცხალი ვიყავი თუ არა და რას ვაკეთებდი. სინჯებზეც არავის მივუწვევივარ.

**- უცხოეთიდან საქართველოში ბევრ ფეხბურთელს იწვევენ. იგნორირება ამის ფონზე უფრო გეწყინა?**

- მე უცხოელების ჩამოყვანაზე გული არასდროს დამწყდება, ვისაც ვინ უნდა, ის მიიწვიოს, რა ჩემი საქმეა. მე სხვა რამ მაოცებს: ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში ძალიან ძნელად რომ ხვდებიან, უცხოელები ჩვენთან იოლად როგორ ჩამოჰყავთ? მე მათი ჩამოსვლა კი არ მაღიზიანებს, პირიქით, კარგიც არის მაღალი დონის რაც შეიძლება მეტ ევროპელ თუ აფრიკელ ფეხბურთელს თუ მოვიწვევთ, ჩემპიონატის დონე აიწევს, მაგრამ, მეორე მხრივ, ცუდი ისაა, რომ ჩვენივე ფეხბურთელებს ვაკლებთ ყურადღებას და იოლად გადავუსვამთ ხაზს.

**- ხაზი იოლად შენც გადაგისვეს.**

- ასე გამოვიდა. ყველგან ერთი და იგივე ლაპარაკი მესმის, სანდრო იაშვილი უხასიათო არისო, სად ნახეს ჩემი უხასიათობა? მატჩის დროს რომ ემოციური ვარ, ეს არის უხასიათობა? რაღაც ლოგიკა ხომ უნდა არსებობდეს...



**- ჩვენს მწვრთნელებს რთულ, ან არაორდინარულ ფეხბურთელებთან ურთიერთობა უჭირთ?**

- ჯერ იმით დავიწყოთ, რატომ ვარ რთული? ძალიან ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც ცხოვრებაზე საკუთარი შეხედულება აქვს და ეს ხასიათის სირთულეს არ ნიშნავს. ევროპაში ფეხბურთელებს სხვა კრიტერიუმით უდგებიან. არასდროს მითქვამს ის, რაც მოხდა შვეიცარიაში: "თუნში" რომ ვთამაშობდი, მთავარმა მწვრთნელმა თქვა, ასეთ კარგ ადამიანთან ურთიერთობა არასდროს მქონიაო. უჰრინმა და შუშაკმა გამიგეს და არ ვიცი, ქართველებს ასე რატომ გაუჭირდათ. ვინც მიცნობს, ყველას ეცინება, ჩემს უხასიათობაზე რომ ლაპარაკობენ.



მე ვინც გამიგო, თორნიკე მაისურაძეა, რადგან ადამიანია და სხვისი შეცნობა შეუძლია. მართალია, გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ მონდომებული და წესიერი კაცია. ბევრი მწვრთნელია, თავი აქვს აწეული და სწავლა არ უნდა, მერე შედეგი არ აქვს და ფეხბურთელებს აბრალებს. რამდენი ხანია მაისურაძესთან ვვარჯიშობ და მისგან სხვაზე ცუდი არ გამიგია, ფეხბურთელებს არ აგინებს და ცდილობს გაუგოს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს და იმიტომ არ ვამბობ, რომ მიმიწვია, ასეთები ნაღდად არ მახასიათებს.

საერთოდ, ჩვენში ასეთი ტენდენციაა: ქართველ ფეხბურთელებს არ აფასებენ და სწორედ ამის გამო ბევრმა ფეხბურთს თავი დაანება. სხვა არაფერია, როდესაც აქაურებს შანსს არ აძლევ და უცხოელს იოლად იწვევ. მერე ეს ხალხი ავრცელებენ ხმებს, რომ ჩვენი ფეხბურთელები არაფრად ვარგიან, რომ ბებრები თამაშობენ და ხალისი არ აქვთ. მერე უკვირთ, სტადიონზე ხალხი არ დადისო. შენს გუნდს ასე რომ აგინებ და ანტირეკლამას უკეთებ, ვის გაუჩნდება თამაშზე მოსვლის სურვილი?

**- გულახდილად ვილაპარაკოთ, შენ მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება იმანაც განაპირობა, რომ "ოლიმპში" თამაშის პერიოდში ბოლოს ვარჯიშებს აცდენდი.**

- ჯერ თუ მართლა ასე იყო, ეს გუნდიდან არ უნდა გასულიყო. მეც ბევრი რამ არ მომწონდა, ბევრი მინახავს და გამიგია, მაგრამ ჭორაობა არ დამიწყია. და მეორეც – მქონდა მიზეზი, რის გამოც ვარჯიშებს ვაცდენდი. ეს კი სიზარმაცის გამო არ მომსვლია, ასეთები ნაღდად არ მახასიათებს, მიზეზებზე კი არ ვილაპარაკებ. მერე, როდესაც დაბრუნებაზე იყო ლაპარაკი, ვერ შევთანხმდით. მე ერთი ვიცი, თუ მენდობი, ბოლომდე მენდე და არასდროს გიღალატებ. თუ ვგრძნობ, რომ არ მენდობი, გვერდში არ დაგიდგები.

ეს ნდობა თორნიკე მაისურაძისგან ვიგრძენი და მას ყოველთვის გვერდში დავუდგები, უპირველესად, როგორც კაცი. მასში, იცით რა მომეწონა? ამბობს, რომ ბევრი აქვს სასწავლი, სხვისგან შენიშვნასაც მიიღებს და რჩევასაც. კაცი თავში ნაკლს რომ ვერ ხედავს და სწავლა არ უნდა, იმას ვერ მოვუსმენ.

**- სხვათა შორის, შენმა ლაპარაკმა მოურინიოს სიტყვები გამახსენა...**

- აუ, მაგარი კაცია და დარწმუნებული ვარ, ჭკვიანურს იტყოდა.

**- ... ფეხბურთელის ხასიათი არ მაინტერესებს, მისი გოლი მჭირდებაო.**

- ნეტავ ქართველად დაბადებულიყო, რამდენ აქაურ ფეხბურთელს გადაარჩენდა? მისნაირად საქართველოში ორიოდე კაცი თუ ფიქრობს. შეხედეთ ბალოტელის, ოდესმე იცინის? ის მართლა უხასიათოა, სულ ჩხუბობს, მაგრამ ჯერ "ინტერში" მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ახლა "მანჩესტერ სიტიში" თამაშობს. ამ ემოციური ხასიათის გამო ფეხბურთელად არ ვარგა? რა, მარადონა იყო ანგელოზი თუ ზიდანი? მაგრამ ფეხბურთელის დახასიათებისას უნდა ვილაპარაკოთ მის კლასზე და არა ხასიათზე. ეს ბევრს არ ესმის.

**- ნუთუ საქართველოში ფეხბურთელის თანადგომა არ ეხერხებათ?**

- ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ ბევრს ნაღდად არ ეხერხება. მერე უკვირთ, ფეხბურთელი ვერ იხსნებაო. ეჭვებით გულს გამომიჭამ, ნერვებს მიშლი, არ მენდობი და როგორ გავიხსნები? აიღეთ მიშა ბობოხიძის მაგალითი. ძალიან მაინტერესებს, რომელ გუნდს ჰყავს ასეთი თავდამსხმელი? ახლა უგუნდოდ არის და მიკვირს, რომ მისი აყვანა მაინც არავის სურს. ამბობენ, გუნდს გვირევდაო, ერთი დალაგებული გუნდი მითხარით და მერე თქვი, რომ აგირიეს. კარგით, რა, სიცხვილია, კომუნისტების ეპოქაში ხომ არ ვართ. ეს ძველებური მენტალიტეტი და მიდგომა თუ არ შევიცვალეთ, არაფერი გვეშველება. უმცროსი ვიტალი დარასელია 28 წლის ჩამოწერეს, კაცი, რომელიც თამაშის საკუთარ თავზე აღებას და შეხვედრის ბედის შემოტრიალებას ახერხებდა. ასეთი ბევრი გვყავს საქართველოში? არა, დარასელიაც უხასიათო ყოფილა. არადა, მასეთი გულიანი და გამგები ბევრი ადამიანი არ მინახავს. ასეა, ჩვენი ვეტერანები გავაგდეთ და სხვისი გაგდებულები ავიყვანეთ. შეიძლება, საკუთარ რესურსს რომ არ ვუფრთხილდებით?

> ვინც მიცნობს, ყველას ეცინება, ჩემს უხასიათობაზე რომ ლაპარაკობენ

დააკვირდით, ვიღაცას უხასიათობის გამო იწუნებენ, ვიღაცაზე ამბობენ, ჩემს ტაქტიკაში არ ჯდება, გუნდს მირევსო და შემდეგ ამ მიზეზით ბევრ ნიჭიერ მოთამაშეს გზას უკეტავენ. ასე მგონია, თამაშის კი არა, ფეხბურთელის დაწუნების ტაქტიკა უფრო აქვთ დახვეწილი და ფეხბურთელებს უნებლიეთ სახელს უტეხენ. ახალ ფრაზები მაინც მოიგონონ, ან მშობელთა კრება ჩაატარონ, ან კუთხეში დააყენონ. გეცინებათ, მაგრამ უბედურებაა, რომ ჩვენში ფეხბურთელის ჩაკვლის სისტემაა აწყობილი და არა მისი წარმოჩენის, ამ ყველაფრის გამართლება კი ისეთივე აბსურდამდეა მისული, როგორიც შეიძლება ფეხბურთელის კუთხეში დაყენება იყოს. თორემ ძველი ფანდები უკვე გაშიფრული გვაქვს. ფეხბურთელი დასაჯონ მაინც, რას ერჩიან, ცხოვრებას რატომ უნგრევ?

დავიღალე ამ სისულელეებით, მე ფეხბურთის თამაში მინდა. გულგატეხილობის პერიოდი მაისურაძემ გადამატანინა და ახლა მეორე სუნთქვა გამეხსნა. ვისაც ჰგონია, რომ ფეხბურთს თავი დავანებე, იმედი უნდა გავუცრუო — კიდევ ათი წელი მაინც ვითამაშებ!..

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ირაკლი შეყილაძე: ნაკრებში თამაში მინდა!




2009 წელს პეტარ შეგრტის ხელმძღვანელობით, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გასვლაზე ლუქსემბურგს 4:0 სძლია. ამ შეხვედრაში ირაკლი შეყილაძემ "ჯვაროსანთა" ფორმით 20 წუთი ითამაშა, მას შემდეგ კი ნაკრებში აღარ გამოჩენილა.

ამჟამად 19 წლის ნიჭიერი თავდამსხმელი იტალიის სერია B-ში მოასპარეზე "ემპოლის" ახალგაზრდულ გუნდში გამოდის და მასზე ბევრი საყურადღებო ამბავი გვესმოდა: გასულ წელს "ვიარეჯო ქაპზე" 4 გოლი გაიტანა და პრესტიჟული ტურნირის (სხვადასხვა ქვეყნის 48 ახალგაზრდული გუნდი თამაშობს) მთავარ აღმოჩენად დაასახელეს - ქართველი ფორვარდის დამსახურება იყო, "ემპოლიმ" ფინალამდე რომ გააღწია.

შეყილაძემ ვიარეჯოში თავი წელსაც გამოიჩინა, მოსკოვის "სპარტაკთან" საგოლე პასი გააკეთა, "რეჯინასთან" დუბლი შეასრულა, თუმცა "პოკიბონსისთან" პირველივე ტაიმში გააძევეს და ამჯერად "ემპოლის" სარეზერვო გუნდი ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩა – ტოსკანელებმა სამივე მატჩი ფრედ დაასრულეს და მერვედფინალში ვერ გავიდნენ.

ეს ყველაფერი ხდება იტალიაში, ქართველ გულშემატკივარს კი აინტერესებს, ვინ არის რეალურად ირაკლი შეყილაძე, მაგრამ მისი თამაშის ნახვა არა და არ გვეღირსა.

ორიოდე დღის წინ ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ თქვა, რომ "ემპოლის" ფორვარდი ავსტრიაში მარტის ბოლოს დაგეგმილ ტურნირზე ჩასვლას შეჰპირდა.

ირაკლი შეყილაძეს გუშინ იტალიაში დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- როგორც გავიგეთ, ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშებ.**

- დიახ, ავსტრიაში ოთხთა ტურნირზე ვაპირებ ჩამოსვლას. მიხარია, ნაკრებში თამაშის საშუალება კვლავ რომ მეძლევა.

**- ჩვენ ვიცით, რომ აქამდე პრობლემებს კლუბი გიქმნიდა.**

- კლუბისგან პრობლემა არასდროს შემქმნია, თავად ვიყავი პრეტენზიული. ფეხბურთი მარტო ბურთის თამაში არ არის, მაგრამ ამაზე მეტის თქმა არ მსურს.

**- ამჟამად "ემპოლის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის რა შანსი გაგაჩნია?**

- კარგად იცით, რომ "ემპოლი" არ არის ისეთი კლუბი, კარგი ფეხბურთელი რომ დააბრკოლოს. შემთხვევებიც იყო, როდესაც მოთამაშე "პრიმავერადან", ანუ დუბლების ჩემპიონატიდან პირდაპირ სერია "ა"-ს კლუბში რამდენიმე მილიონად გაყიდეს.

პირველ გუნდში ჩემი მოხვედრის შანსებს რაც შეეხება, მპირდებიან, რომ მომავალი ზაფხულიდან გადამიყვანენ, მერე კი დრო გვაჩვენებს, რა და როგორ იქნება. წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

**- კლუბის შეცვლას ხომ არ აპირებ?**

- ჯერჯერობით, "ემპოლიში" ვრჩები, რადგან აქ თავს კარგად ვგრძნობ.

**- იტალიაში გადასვლის შემდეგ შენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლებოდა.**

- რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა. ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ სრულყოფილ ფეხბურთელად ჩამოყალიბებისთვის გარკვეული დრო არის საჭირო, ეს კი დიდ მოთმინებასაც მოითხოვს.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

## წარმატებული სტარტი თურქეთში

UEFA UNDER17 CHAMPIONSHIP

რომ არ დაგაბნიოთ, შესავალში განვმარტავთ, თუ რატომ ჰყავს საქართველოს და საერთოდ, ყველა ევროპულ ქვეყანას 17-წლამდელთა ორი ნაკრები. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდშია გასული და იქ მარტის ბოლოს ითამაშებს, კარგად იცნობთ. ეს გუნდი 1994 წელს დაბადებული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, 17-წლამდელთა მომდევნო თაობა კი 1995 წელს დაბადებული მოთამაშეებისგან შედგება და მას **ვასილ მაისურაძე** წვრთნის. ეს გუნდი ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე გასასვლელად ბრძოლას შემოდგომაზე დაიწყებს. იქამდე არცთუ დიდი დროა დარჩენილი და ნაკრებიც აქტიურად ემზადება.

მაისურაძის გუნდი ორიოდე დღის წინ თურქეთის ქალაქ კუშადასის საერთაშორისო ტურნირში ჩაერთო და დებიუტი წარმატებული გამოუვიდა. სასტარტო მატჩში ქართველებმა **დავით ჯიქიას, ილია კერძევაძისა** და **ალექსანდრე მზევაშვილის** გოლებით მაკედონიის 17-წლამდელთა ნაკრები 3:0 გაანადგურეს.

გუშინ კი ჩვენი გუნდი აღმოსავლეთ თურქეთის ნაკრებს შეხვდა და ფრედ, 1:1 ითამაშა. პირველი ტაიმი მაისურაძის გუნდმა კერძევაძის გოლით მოიგო, მაგრამ თურქებმა შეხვედრის მეორე ნახევარში ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

"კუშადასის თასზე" ორ ჯგუფად გაყოფილი რვა გუნდი მონაწილეობს და ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ ფინალში გადიან, მეორეადგილოსნები კი ერთმანეთს ტურნირის მესამე ადგილისთვის შეხვდებიან. გუშინდელი მატჩის მოგების შემთხვევაში, ქართველები ფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამდნენ, მაგრამ ამის კარგი შანსი ახლაც აქვთ. ბოლო ტურის წინ ჩვენი გუნდი ჯგუფის ლიდერია და აღმოსავლეთ თურქეთის ნაკრებს გატანილ-მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს. დღეს საქართველოს ნაკრები სტამბულის ნაკრებს დაუპირისპირდება და სასურველია, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით გაიმარჯვოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

## მერებაშვილი: მიხარია ასეთი დასაწყისი




სერბეთის ჩემპიონატის მეორე წრე მშვენივრად დაიწყო **გიორგი მერებაშვილმა.** "ვოევოდინამ" მეორე წრის პირველი შეხვედრა "იაგოდინასთან" გასვლაზე ჩაატარა და 3:1 გაიმარჯვა.

ნოვისადელთა ქართველთა შემტევმა ნახევარმცველმა გუნდის წარმატებაში ლომის წილი დაიდო: "იაგოდინასთან" მატჩში გიორგიმ ანგარიში 30-ე წუთზე პენალტით გახსნა და საგოლე გადაცემაც მიითვალა.

„ვოევოდინასა" და საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი კმაყოფილია გუნდის წარმატებით და საკუთარი თამაშითაც.

*"სეზონი კარგად დავიწყეთ. პირველი თამაში ყოველთვის მიჭირს ხოლმე და თან რთული შეხვედრა იყო, რადგან „იაგოდინა" სერბეთში ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლება. ამიტომ უფრო მიხარია სეზონი გამარჯვებით, გოლით და საგოლე გადაცემით რომ გავხსენი. მატჩი კარგად დავიწყეთ, პირველ 30 წუთში მეტოქე საკმაოდ დავჩაგრეთ. 3-4 რეალური საგოლე მომენტი კი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ მერე პენალტი გავიტანე. მასპინძლებმა გაგვითანაბრეს და დაცვაში ჩაჯდნენ. მეტოქის კარისკენ მხოლოდ ჯარიმებითა და სტანდარტულებით მივიწევდით, ყოველი ფეხის ნაბიჯზე წესების დარღვევით გვაჩერებდნენ, მაგრამ ერთ მომენტში კონტრშეტევაზე დავიჭირეთ, თავდამსხმელი ერთი-ერთზე გავიყვანე და დავწინაურდით. გოლზე მეტად ეს საგოლე გადაცემა გამიხარდა"* - გვითხრა მერებაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

## ქართველები ნახევარფინალს მიღმა

აზერბაიჯანის თასისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა "თურანი", რომლის ღირსებასაც **გიორგი ჭედია, გიორგი ბერიაშვილი** და **ოლეგ გველესიანი** იცავენ. აზალ-თან განმეორებითი შეხვედრა "თურანმა" 1:1 ითამაშა, პირველი კი 0:2 ჰქონდა წაგებული. გველესიანი მოედანზე არ გასულა, ბერიაშვილმა სრულად ითამაშა, ჭედია კი მეორე ტაიმში შეცვალეს.

ნახევარფინალში ერთი დღით ადრე გასული ბაქოს "ინტერი" თასის ფინალში გასასვლელად სწორედ აზალ-თან იბრძოლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა „ნორჩი დინამოელის" სკოლის დირექტორი**

**ოთარ გეგეჭკორი**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს**




## კრილიამ ლადო დვალიშვილი ვერ იყიდა

რუსული "სპორტ-ექსპრესის" ცნობით, სამარის "კრილია სოვეტოვს" **ლადო დვალიშვილის** შეძენა სურდა, მაგრამ ჰაიფას "მაქაბისგან" უარი მიიღო. "კრილია" საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის ამჟამინდელ კლუბს 1,5 მილიონ ევროს სთავაზობდა. ვერ გეტყვით, ამ თანხამ "მაქაბი" არ დააკმაყოფილა თუ პრინციპულად არ სურს დვალიშვილის დათმობა. არადა, სეზონის დასრულებისთანავე ლადო თავისუფალი აგენტი ხდება.

დვალიშვილის ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო პერიოდი დასასრულს უახლოვდება და მოედანს იგი უახლოეს დღეებში დაუბრუნდება. ისრაელის მიმდინარე ჩემპიონატში მან 21 მატჩი ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

● ზაია. ინტერვიუ ელგუჯა ქომეთიანთან

# ზაიას მეოთხე ადგილზე გასვლა ჩვენი ჩემპიონატის შეურაცხყოფა იქნება



**ზუგდიდის** "ზაიამ" ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი რიხიანად დაიწყო და საწყის სამ ტურში შვიდი ქულა მოიპოვა. ამას ზესტაფონში განადგურება მოჰყვა, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანი დარწმუნებულია, რომ ამ უსიამოვნო ამბავს მისი ფეხბურთელები მალე დაივიწყებენ და შედეგიანად ასპარეზობას გააგრძელებენ.

ქომეთიანის ერთი გულწრფელი ფრაზა კი სათაურში გამოგვაქვს. ასეთ პირდაპირობას ქართულ ფეხბურთში მოღვაწე პიროვნებათაგან იშვიათად თუ წავაწყდებით და "ზაიას" თავკაცს აზრის შეულამაზებლად გამოთქმა უნდა დავუფასოთ.

**- რატომ ვერ შეძლო "ზაიამ" "ზესტაფონისთვის" თუნდაც მცირედი წინააღმდეგობის გაწევა?**

- ამ თამაშზე უიმედოდ ნამდვილად არ გავსულვართ. რაღა თქმა უნდა, "ზესტაფონი" გამორჩეულად ძლიერი გუნდია, მაგრამ ასეთი სხვაობით მარცხს მაინც არ ველოდით. მატჩამდე ყველანაირად შევეცადე, ბიჭებისთვის ფსიქოლოგიური ტვირთი მომეხსნა. მათ ვუთხარი, რომ წაგება კატასტროფა არ იქნებოდა და თავისუფლად თამაში ვთხოვე. გვინდოდა, ჩვენს სტილში, ლამაზად გვეთამაშა და მაყურებლისგან ტაში დაგვემსახურებინა. სამწუხაროდ, ეს არ გამოგვივიდა, რადგან ჩემი გამოუცდელი ფეხბურთელები სავსე ტრიბუნებმა დაზაფრა.

**- უხეში შეცდომები დაუშვა "ზაიას" დაცვამ. გუნდის ძირითად შემადგენლობაში სერიოზულ ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- საკადრო რევოლუციას ნამდვილად ვერ მოვახდენ, მაგრამ რამდენიმე პოზიციაზე, ალბათ, სხვა ფეხბურთელებს მივცემ თავის გამოჩენის შესაძლებლობას. ზესტაფონში ჩასვლამდე სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით, ბოლო მატჩში კი დაცვამაც საშინლად ითამაშა და არც სხვა რგოლები ბრწყინავდნენ. სწრაფი გოლი მივიღეთ, მაგრამ ანგარიში მალევე გავათანაბრეთ და წარმატების იმედი მომეცა, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ზესტაფონში სრული კატასტროფა განვიცადეთ. ამის მიზეზების პოვნა ძალიან მიჭირს. გადატვირთულ კალენდარს ვერაფერს დავაბრალებ, რადგან "ზესტაფონამდე" "დინამოსთან" მატჩი გადაგვედო და დასვენებულები ვიყავით.

**- მარცხის მიუხედავად, ირაკლი ქობალიას მოედანი უგოლოდ არც ამჯერად დაუტოვებია...**

- ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე ვთქვი, რომ იგი სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა გახდებოდა და როგორც ხედავთ, ჩემი სიტყვები მართლდება. ირაკლი განსაკუთრებული მონაცემების მქონე თავდამსხმელია, რომელიც სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში მხოლოდ "ზაიას" კი არა, მთლიანად ქართულ ფეხბურთს ძალიან გამოადგება. საერთოდ, ჩვენთან უნიჭო მოთამაშე ვერ მოხვდება და დიდი ფეხბურთის თამაში ჩვენს სხვა ახალგაზრდებსაც შეუძლიათ – აფაქიძეს, სიხარულიას, ეხვაიას, რიგვავას...

**- სეზონის მეორე ნახევრის სტარტმა ცხადჰყო, რომ "ზაიას" ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი აქვს.**

- "ზაიას" მეოთხე ადგილზე გასვლა ჩვენი ჩემპიონატის შეურაცხყოფა იქნება, მაგრამ მადა ჭამაში მოდისო და ყველანაირად ვეცდებით ევროთასებზე გასასვლელად ბრძოლას. თუმცა არ გვავიწყდება, რომ ჩვენი მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. საწყის სამ ტურში მიზნად ხუთი ქულის მოპოვება გვქონდა დასახული, მაგრამ შვიდი ავიღეთ. კმაყოფილი ვარ როგორც შედეგით, ასევე იმ შეხვედრებში ნაჩვენები თამაშის ხარისხით. მჯერა, რომ "ზესტაფონთან" მარცხს მალე დავივიწყებთ და შემდგომ შეხვედრებს გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარებთ.

**- "ზესტაფონის" შემდეგ კიდევ ერთი რთული გასვლითი მატჩი გელით რუსთავის "ოლიმპთან".**

- ჰოდა, ზუსტად ასეთ ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში შევეცდებით საკუთარი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენას.

**- "ზაიას" ფინანსური მდგომარეობის მხრივ რაიმე სიახლე ხომ არაა?**

- სიტუაცია არც სასიხარულოა და არც – კატასტროფული. გასული წლის დავალიანებები კიდევ დასაფარია, მაგრამ სამაგიეროდ, ფეხბურთელებსა და პერსონალს იანვრისა და თებერვლის ხელფასები სრულად გაუსტუმრეს.

**ლევან ჟანეზაშვილი**

● ფიფას რეიტინგი

# ერთი ნაბიჯით უკან

## ჩვენი ორი მეტოქე ათეულში

**გუშინ** ფიფასა და "კოკა კოლას" მარტის რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთი საფეხურით დაქვეითდა და 72-ე ადგილზეა. ვიმედოვნებდით, რომ ამხანაგურ მატჩში სომხეთის ნაკრების დამარცხება წინ წაგვწევდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან არც სომხებს აქვთ შთამბეჭდავი რეიტინგი – თუმცა ჩვენზე წინ მაინც არიან, 65-ე პოზიციაზე. ქართველებთან წაგებით მათ სამი ადგილით ქვევით ჩაინაცვლეს.

გადავხედოთ ევრო 2012-ის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეების მდგომარეობას. ხორვატიამ და საბერძნეთმა საუკეთესო ათეულში ადგილი შეინარჩუნეს. ბერძნები მეათე ადგილზე რჩებიან, ხორვატებმა კი მეცხრედან მერვე საფეხურამდე აინაცვლეს. ისრაელი, რომელმაც 6-ადგილიანი ვარდნა განიცადა, 58-ე ადგილზეა, ლატვია კი ერთი პუნქტით დაწინაურდა და 75-ეა. ჩვენი ჯგუფის გამოკვეთილმა აუტსაიდერმა მალტამ 163-ედან 156-ე საფეხურამდე აინაცვლა.

რეიტინგის ზედა ათეულში განსაკუთრებული ცვლილებები არაა. საუკეთესო სამეული უცვლელი დარჩა და



ზუსტად იმ თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი, 2010 წლის მუნდიალზე რომ განლაგდა, არგენტინამ მეოთხე ადგილი ბრაზილიას მეხუთეში გაუცვალა, ხორვატიამ კი მერვე პოზიცია პორტუგალიას ჩამოართვა.

ფიფასა და "კოკა კოლას" ერთობლივი ვერსიით, მსოფლიოს ათი საუკეთესო ნაკრების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: **1. ესპანეთი, 2. ჰოლანდია, 3. გერმანია, 4. არგენტინა, 5. ბრაზილია, 6. ინგლისი, 7. ურუგვაი, 8. ხორვატია, 9. პორტუგალია, 10. საბერძნეთი.**

**ლევან ჟანეზაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი. ლიგა

### XVIII ტური

**ჭიათურა-მეშახტე 3:3**

1.03. ზესტაფონი. 50 მაყურებელი

0:1 ჯიშიაშვილი (4), 0:2 ჭაჭიაშვილი (28), 1:2 კობახიძე (36), 2:2 გ. ცუცქირიძე (41), 2:3 ღვინიაშვილი (56), 3:3 სევასტოპულო (85).

ჭიათურა: ბადურაშვილი, ტყემალაძე (71. ზაბახიძე), გაფრინდაშვილი (63. ჯელაძე), ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, დოლონაძე, ზ. ნოზაძე, ჭუმბურიძე (34. ქურდაძე), კობახიძე, გ. ცუცქირიძე, სევასტოპულო

*სათადარიგოები:* დარბაიძე, მიშველიძე, დ. ტაბატაძე, კურტანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან სევასტოპულო

მეშახტე: ოდიშარია, ა. ქუთათელაძე, მაჩალაძე, ბერაია, აბურჯანია, გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, ჭაჭიაშვილი (41. ორბელაძე), ღვინიაშვილი, გოგოლაძე, ბოხუა.

*სათადარიგოები:* გუბელაძე, ბ. ჯიშიაშვილი, აფციაური

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ლ. ცუცქირიძე, კობახიძე, ბრეგვაძე, სევასტოპულო, ზაბახიძე; გოგოლაძე, ნოზაძე, ბოხუა

არბიტრი: გიორგი დოგრაშვილი (ქუთაისი)

### XIX ტური

**ლოკომოტივი-ჩხერიმელა 0:0**

4.03. საგურამო. საწვრთნელი ბაზა. 100 მაყურებელი

ლოკომოტივი: ნიორაძე, საჯაია, მჭედლიშვილი, ხატიაშვილი, ჭოველიძე, ბოჭორმელი (46. ბაქრაძე), ჩარგეიშვილი, ბ. მახარაძე, შარანგია (76. ძიძიგური), კაპანაძე (23. მიქავა), შერაზადიშვილი

*სათადარიგოები:* ლოსაბერიძე, ა. შენგელია, გ. მახარაძე, გაბელია

*მთავარი მწვრთნელი:* ლაშა ჭალიაშვილი

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ქაშაკაშვილი, ნ. ხარაბაძე, ლ. მახარაძე (46. ზაქარაშვილი), ლაბაძე (55. ჩიხლაძე), თურმანიძე, ც. ხარაბაძე, კუხიანიძე, ძაგანია (88. თაბუკაშვილი), ავალიშვილი.

*სათადარიგოები:* ლომსაძე, კიკნაძე, ხეცურიანი

*მთავარი მწვრთნელი:* მამუკა ხუნდაძე

გაფრთხილება: მჭედლიშვილი, ჭოველიძე, ბ. მახარაძე, ძიძიგური; ჩიხლაძე.

არბიტრი: მამუკა ურუშაძე (თბილისი)

**ადელი-მერცხალი 3:0**

4.03. ბათუმი. ადელი. 150 მაყურებელი

1:0 აბუსერიძე (42), 2:0 ქოქოლაძე (86), 3:0 სირაბიძე (89).

ადელი: დევაძე, ლ. კვანტალიანი, გ. ზოიძე, ფუტკარაძე, წულუკიძე, ლორია, ფალავანდიშვილი (85. სირაბიძე), ჯალაღანია, მოროტიე (68. ქოქოლაძე), მამეიშვილი, აბუსერიძე (85. დავითაძე).

*სათადარიგოები:* სეიტიდი, ბ. ზოიძე, გორჯელაძე, მჟავანაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ჯორბენაძე

მერცხალი: გოგუა, ტულუში, ხამაშურიძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, აფრიდონიძე (30. ი. ბაჯელიძე), ქობულაძე, ჩხატარაშვილი (46. ღლონტი), რამიშვილი, სერგო გ. ჩიგოგიძე, ათუაშვილი (56. ნაკაიძე), ჭეიშვილი.

*სათადარიგოები:* ვერულიძე, ო. ჭელიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: მამეიშვილი, ჯალაღანია, ლორია, წულუკიძე; ჩხატარაშვილი, ტულუში, ღლონტი.

გაძევება: მამეიშვილი

არბიტრი: გიორგი დოგრაშვილი (ქუთაისი)

**გურია-ბათუმი 1:4**

4.03. ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 100 მაყურებელი

0:1 ბაციკაძე (1), 1:1 ტ. კუკულაძე (14), 1:2 კაკალაძე (42), 1:3 გრიგალაშვილი (45), 1:4 დიასამიძე (84).

გურია: ხვედელიძე, ლომაძე, რ. კუკულაძე, შენირული, ფირცხალაიშვილი, ტორონტაძე, ტ. კუკულაძე, გოგიბერიძე, რუსიეშვილი (65. გ. კუკულაძე), იაგო დეისაძე (79. თოლორდავა), სივსივე (58. კვიტაიშვილი)

*სათადარიგოები:* ღლონტი, რაზმაძე, კილაძე

ბათუმი: რ. თევდორაძე, ზ. ლობჟანიძე (68. ა. ბაჯელიძე), ხუხია, კაჭკაჭიშვილი, მაკარიანი, სამსეიშვილი, მანწკავა, ე. გრიგალაშვილი (79. დიასამიძე), კაკალაძე, ბაციკაძე, ზ. ხაჭიპერაძე (63. ბერიძე)

*სათადარიგოები:* ჯორბენაძე, მამინაშვილი, მ. ჟვანია, გოგიტიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ლობჟანიძე, ბაჯელიძე

არბიტრი: ბაკურ ნინუა (ქუთაისი)

**მარტვილი-ჭიათურა 4:0**

4.03. ხონი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 ამბროლაძე (5), 2:0 გაფრინდაშვილი (14, საკუთარ კარში), 3:0 ჩალაძე (16), 4:0 ტაპე (50).

მარტვილი: შეროზია, იობაშვილი, გ. ჟვანია, სუხიაშვილი, კაკუშაძე, ილურიძე (64. ბერუაშვილი), წოწორია, იატრო, ჩალაძე (46. ლ. კუჭუხიძე), ამბროლაძე, გ. თოდუა (46. ტაპე)

*სათადარიგოები:* გორდეზიანი, ტორაძე, ფაცაცია, მელიავა

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

ჭიათურა: ბადურაშვილი (46. დარბაიძე), ჭუმბურიძე, გაფრინდაშვილი, ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, დოლონაძე, ზ. ნოზაძე, ქურდაძე, კობახიძე, დ. ტაბატაძე (46. ტყემალაძე), სევასტოპულო (74. თემურ მიშველიძე)

*სათადარიგოები:* ჯელაძე, თემირ მიშველიძე, კაპანაძე, მეცხოვრიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან სევასტოპულო

არბიტრი: ალეკო გუნთაძე (ლანჩხუთი)

**სამგურალი-დილა 0:1**

4.03. წყალტუბო. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ცნობილაძე (35)

*65-ე და 77-ე წუთებზე გოგინაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი.*

სამგურალი: ხურცილავა, ჯიმშელეიშვილი, გ. ჩიხლაძე, ზ. ჩიხლაძე, ბაბუნიძე, ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, ი. შალიკაშვილი (80. გ თევდორაძე), გ. უგულავა (86. ბუხაიძე), ზ. ქუთათელაძე, ნავერიანი (58. კუხალაშვილი)

*სათადარიგოები:* ესებუა, მ. მესხი, სალინაძე, ლ. მესხი

*მთავარი მწვრთნელი:* ელდარ ჯიმშელეიშვილი

დილა: შეყრილაძე, ლომიძე, ჭითანავა, ბაქრაძე, შათირიშვილი, რაჟამაშვილი (56. სადაღაშვილი), ცარიელაშვილი, ჯოჯუა, გოგინაშვილი, ახალკაცი (63. ვ. ნემსაძე), ცნობილაძე 90. ტლაშაძე)

*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, თედიაშვილი, ნოდარ ნოდარის ძე ნოზაძე, ნოდარ ნიკოლოზის ძე ნოზაძე.

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცაძე

გაფრთხილება: ჯიმშელეიშვილი, შალიკაშვილი; ნემსაძე

გაძევება: ჯიმშელეიშვილი

არბიტრი: ირაკლი ურუშაძე (ლანჩხუთი)

**კოლხეთი-სქური 2:0**

04.03. ხობი ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 ლომაია (51), 2:0 ფიფია (90).

კოლხეთი: ხარძეიშვილი, ფირცხალავა (84. ჩაჩიბაია), გ. გოგენია, ლ. გოგენია, ფარფალია, ფიფია, ბესარაშვილი, ც. ბუკია, ბ. ბუკია (67. კუტალია), ჭკადუა, ლომაია (67. ღლონტი)

*სათადარიგოები:* გელაშვილი, კ. გოგენია, შონია, ჩიტაია

*მთავარი მწვრთნელი:* კალისტრატე ხურცილავა

სქური: ჯომიდავა, გ. აკობია (86. სვანიძე), ნაჭყებია, ფარცვანია, მოლაშხია, რაფავა, გერგედავა, გვილია, გაბუნია, ჭკუასელი, ჩახაია (79. კვირკვია)

*სათადარიგოები:* ხარჩილავა, მიქენაია, შელია, ქანთარია, ბოჯგუა

*მთავარი მწვრთნელი:* ვასილ გულორდავა

გაფრთხილება: გ. გოგენია, ფიფია; ჯომიდავა

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედია)

| | |
|---|---|
| მეშახტე-ნ/დინამოელი | გადაიდო |
| გაგრა-ჩიხურა | გადაიდო |
| იმერეთი | ისვენებს |

### XX ტური

| | |
|---|---|
| ჩხერიმელა-ადელი | 2:0 |
| მერცხალი-სამგურალი | 4:3 |
| დილა-კოლხეთი | 2:0 |
| სქური-გაგრა | 0:2 |
| ჩიხურა-მეშახტე | 2:0 |
| ნ. დინამოელი-მარტვილი | 0:2 |
| ბათუმი-იმერეთი | 3:0 |
| ჭიათურა-გურია | დღეს |
| ლოკომოტივი | ისვენებს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარტვილი | 19 | 13 | 4 | 2 | 40-10 | 43 |
| 2. დილა | 19 | 12 | 5 | 2 | 37-16 | 41 |
| 3. გაგრა | 18 | 12 | 4 | 2 | 42-12 | 40 |
| 4. ბათუმი | 19 | 11 | 6 | 2 | 42-9 | 39 |
| 5. ჩიხურა | 17 | 10 | 4 | 3 | 32-16 | 34 |
| 6. გურია | 18 | 10 | 1 | 7 | 35-35 | 31 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 18 | 5 | 9 | 4 | 16-16 | 24 |
| 8. სამგურალი | 19 | 6 | 5 | 8 | 25-36 | 23 |
| 9. მერცხალი | 19 | 6 | 4 | 9 | 33-48 | 22 |
| 10. იმერეთი | 18 | 6 | 1 | 11 | 19-27 | 19 |
| 11. ნ/დინამოელი | 18 | 6 | 1 | 11 | 23-35 | 19 |
| 12. მეშახტე | 17 | 5 | 3 | 9 | 21-29 | 18 |
| 13. ადელი | 19 | 5 | 2 | 12 | 24-32 | 17 |
| 14. ლოკომოტივი | 18 | 4 | 5 | 9 | 18-28 | 17 |
| 15. ჩხერიმელა | 18 | 3 | 8 | 7 | 21-33 | 17 |
| 16. სქური | 19 | 4 | 3 | 12 | 19-33 | 15 |
| 17. ჭიათურა | 17 | 3 | 3 | 11 | 14-46 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პრობლემა

# ვერდასჯილი დასასჯელი



ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ფიფას თხოვნით მიმართა: იმ ტიპის გაუგებრობებსა და უხერხულობებს, 26 თებერვალს **უეინ რუნისთან** დაკავშირებით რომ მოხდა, ბოლო უნდა მოეღოს. ინგლისელები მსოფლიო ფეხბურთის მმართველებისგან მკაფიო წესების შემოღებას ითხოვენ. ალბათ, მიხვდით, ლაპარაკია ეპიზოდებზე, რომლებიც მსაჯმა ამა თუ იმ მიზეზით სწორად ვერ შეაფასა, ტელეეკრანზე კი ყველაფერი თვალნათლივ გამოჩნდა.

26 თებერვალს, „უიგანისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრაში, რომელიც „იუნაიტედმა“ 4:0 მოიგო, რუნიმ უიგანელ **ჯეიმს მაკარტის** სახეში იდაყვი მიარტყა. მსაჯმა ჯარიმა დანიშნა, თუმცა რუნი არათუ მოედანზე დატოვა, მისთვის ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენებია. შესაბამისად, ინციდენტი არბიტრის პატაკშიც ვერ მოხვდა. მეორე მხრივ რუნი რომ გასაძევებელი იყო ჩანაწერის მეშვეობით მთელმა ინგლისმა ნახა, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია — ფეხბურთელმა ყველას დასანახად ჩაიდინა ისეთი რამ, რისთვისაც ულაპარაკოდ უნდა გაეძევებინათ, ის კი საერთოდ არ დაუსჯიათ. პირად საუბრებში ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, რომ მანჩესტერელი ვარსკვლავი დასასჯელი იყო, მაგრამ თითი ფიფასკენ გაიშვირეს, ჩავლილი და პატაკში ვერმოხვედრილი ეპიზოდის ხელახლა შეფასების უფლებას არ გვაძლევსო.

ასოციაციაში მსაჯ **მარკ კლეტენბერგის** ამბითაც შეწუხდნენ. ზემოთ ნახსენები შეცდომის გამო იგი ისე გააკრიტიკეს, რომ პრემიერლიგისგან დასვენება ითხოვა და მეტიც, პროფესიისთვის თავის დანებებაზეც კი დაიწყო ლაპარაკი. ამან ახალი პრობლემა წარმოშვა — ინგლისელმა არბიტრებმა თავი დაუცველად იგრძნეს და პროტესტი გამოხატეს. როგორც „დეილი მეილი“ წერს, დღეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია თავს ფიფასგან მიტოვებულად გრძნობს: შვეიცარიიდან მას, ვიდეოჩანაწერზე დაყრდნობით, სამართლიანი ვერდიქტის გამოტანის უფლება არ მისცეს და არც რაიმე სხვა ფორმით გაუწოდეს დახმარების ხელი.

რამდენადაც ინგლისური ტაბლოიდებისთვის გახდა ცნობილი, ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** თავის აღმასრულებლებლებს უთხრა, რომ „რუნის ტიპის“ პრობლემას მომზადებული ფედერაცია სხვათა დახმარების გარეშეც იოლად გაართმევდა თავს. ასეთივე რამ გაუმეორებიათ ფიფას დიდმოხელეებს ინგლისელებისთვის მეილითა და ტელეფონითაც.

დღეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ფიფას ეკითხება, როდის მერე აიკრძალა ვიდეოჩანაწერებზე დაყრდნობით ეპიზოდების თავიდან შეფასება (გეხსომებათ, ასეთი შემთხვევები ყოფილა და რის შესახებაც დაწერილა და თქმულა კიდეც) და თუ ეს მოულოდნელად მოხდა, რატომ არ შეატყობინეს მათ ამის შესახებ არაფერი. გარდა ამისა, ინგლისელები ამტკიცებენ, რომ აუცილებელია წესი იყოს მკაფიო, რათა აღარავინ ჩავარდეს ისეთ დღეში, როგორშიც ისინი აღმოჩნდნენ: იძულებულები გახდნენ დაეცვათ პოზიცია, რომლის დაცვაც შეუძლებელია — რუნი აშკარად დამნაშავე იყო, მაგრამ მისი დასჯის უფლება არ ჰქონდათ.

● ამბები



## უიმედო ტურე

„მანჩესტერ სიტის“ მცველ **კოლო ტურეს** იმედი ჰქონდა, რომ დოპინგტესტზე ჩავარდნის მიუხედავად, არ დასჯიდნენ, მაგრამ ფიფას გენერალურმა მდივანმა **ჟერომ ვალკემ** ისეთი რამ თქვა, რომ კოტ დ'ივუარელის იმედი ერთიორად შემცირდა. კერძოდ, ფრანგმა ჩინოვნიკმა განაცხადა, რომ დოპინგის შემთხვევებს საფეხბურთო საზოგადოებამ არ უნდა წაუყრუოს და ფეხბურთელების გასამართლებლად არ უნდა დაუწყოს მიზეზებს ძებნა. ტურეს ჯერ კიდევ აქვს დრო ხელმეორე ანალიზისთვის, თუმცა გაიკეთებს თუ არა ამ ანალიზს, პირადად მისი გადასაწყვეტია. თუ უარს იტყვის, სადისციპლინო კომიტეტი პირველი ანალიზის შედეგებით იხელმძღვანელებს.

ტურე დარწმუნებულია, რომ მის ორგანიზმში აკრძალული ნივთიერება დიეტური პრეპარატიდან მოხვდა, თუმცა ვალკე ამბობს, რომ ეს თავის გამართლებისთვისაც არ ივარგებს — ფეხბურთელი ვალდებული იყო წამლის დალევის წინ გუნდის ექიმები გაეფრთხილებინა.

*„როდესაც სპორტსმენმა იცის, რომ ნებისმიერ წამს შეიძლება დოპინგკონტროლის გავლა მოუხდეს, ვალდებულია მეტი ყურადღება გამოიჩინოს და ექიმს მიმართოს. დღეს ყველა გუნდში მრავლად არიან ექიმები, რომლებიც შეამოწმებენ, წამალი, რომლის დალევაც გადაწყვიტე, აკრძალულ პრეპარატთა სიაში ხომ არ არის შეტანილი“* — თქვა გენერალურმა მდივანმა.

## ტოტენჰემის 50 მილიონი

მოგეხსენებათ, ფეხბურთის კლუბებს ათასგვარი სპონსორები ჰყავთ. არსებობს, მაგალითად, გენერალური სპონსორი და არსებობს სპორტული ფორმითა და ინვენტარით მომმარაგებელი. „ტოტენჰემ“ ჰოთსპურმა სწორედ სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ ფირმასთან, ამერიკულ Under Armour-თან გააფორმა ხელშეკრულება. კორპორაცია, რომლის სათავო ოფისი ქალაქ ბალტიმორშია, ლონდონურ კლუბს ხუთი წლით დაუკავშირდა. „ამერიკელი მკერავები“ „დეზებს“ წელიწადში 10 მილიონ ფუნტს, ანუ 16 მილიონ ამერიკულ დოლარს გადაუხდიან.

კლუბისა და სპონსორის ხელშეკრულება 2012-13 წლების სეზონიდან შევა ძალაში. მანამდე კი „სფურზს“ ძველი პარტნიორის, „პუმას“ შეკერილი ტანსაცმელი ეცმება. ახალი ხელშეკრულების შესახებ „ტოტენჰემის“ თავმჯდომარე **დენიელ ლივიმ** განაცხადა:

*„ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ, რომ Under Armour-თან ერთად ახალ ეპოქას ვიწყებთ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ფირმა ჩვენი დიდი პარტნიორი იქნება. ჩვენ საფეხბურთო სამყაროში ვართ ძალიან ამბიციურები, ხოლო ისინი ბიზნესის სამყაროში“.*



## ბერბას ფიქრები

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ბულგარელი ფორვარდი **დიმიტარ ბერბატოვი** ზედიზედ ორი დამარცხებით უკმაყოფილოა და იმედოვნებს, რომ დღეს, როდესაც პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის, გუნდმა, რაც შეიძლება მალე უნდა აღიდგინოს ფორმა. ბერბატოვი ფიქრობს, რომ ბოლოდროინდელი ცუდი შედეგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ ლიდერის წინააღმდეგ სათამაშოდ ყველა განსაკუთრებით ემზადება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ორ შეხვედრაში დამარცხება ბევრსაც არაფერს ნიშნავს. სტატისტიკას ჩავხედოთ: მიმდინარე სეზონში სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა შინ 42 შესაძლებლიდან 40 ქულა მოიპოვა.

*„ჩვენ სტუმრად უფრო ვკარგავთ ქულებს, თუმცა ეს იმიტომ არ ხდება, რომ სტუმრად მონდომებას ვაკლებთ — თქვა ბერბატოვმა — ჩვენ არასდროს გავდივართ მოედანზე ფრის იმედად. არასდროს ვფიქრობთ, რომ ქულის მოპოვება კარგი იქნება. ყველაზე მთავარი პრობლემა ის არის, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდებიან, სხვა გუნდები მაქსიმალურად ინდომებენ.*

*მეორე მხრივ, ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენ უდიდესი კლუბი ვართ, გულშემატკივარს სიამოვნებას ვანიჭებთ და გოლები გაგვაქვს. ახლა მთავარია, ასე მხოლოდ შინ კი არა, სტუმრადაც ვითამაშოთ.*

*ამბობენ, რომ წლეულს პრემიერლიგა შეიცვალა და ადრინდელზე გაცილებით მეტი გუნდი იბრძვის უმაღლესი ადგილების მოსაპოვებლად. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალ სეზონში კონკურენტთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს ლოგიკური პროცესია. დღევანდელ ფეხბურთში ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის მანძილი მნიშვნელოვნად შემცირდა. დღეს ყველა ძლიერია, ყველა ყიდულობს საუკეთესო ფეხბურთელებს და ეს ფეხბურთის განვითარებისთვის დიდებულია.*

*ჩვენ იმდენ შეჯიბრებასა და შეხვედრაში გვიწევს მონაწილეობა, რომ ხშირად იმარჯვებს ის გუნდი, რომელსაც უფრო დასვენებული ფეხბურთელები ჰყავს“.*

შეგახსენებთ, რომ დიმიტარ ბერბატოვი 19 გოლით ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზეა.

## კალუს პასუხი

ვინც ორშაბათს „ბლექპულისა“ და „ჩელსის“ შეხვედრა ნახა, ეხსომება, რომ მასპინძლებმა მათ კარში დანიშნული პენალტი გააპროტესტეს. ისინი აღშფოთებულები იყვნენ, ხოლო მწვრთნელმა **იან ჰოლოუეიმ სალომონ კალუს** „მყვინთავი“ უწოდა, რაც საფეხბურთო ჟარგონზე სიმულიანტს ნიშნავს. გეხსომებათ, რომ კალუს ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი **ფრენკ ლემპარდმა** გაიტანა.

*„ფეხბურთელებს ერთი სული აქვთ, როდის გაკოტრიალდებიან მოედანზე, მსაჯებს კი სული კბილით უჭირავთ ისე უნდათ თერთმეტმეტრიანის დანიშვნა —* თქვა ჰოლოუეიმ მატჩის შემდეგ — *ჩემმა მცველმა კალუს ბურთი სუფთად აართვა, სუფთად ართმევა კი ჩემს ბავშვობაში დანაშაული არ იყო“.*

ბლექპულელთა მწვრთნელის ასეთ გამოხდომაზე კალუმ უპასუხა: *„პენალტი ასე დაინიშნა: მე ვიგრძენი, რომ „ბლექპულის“ მცველი ორთაბრძოლაში შემოსვლას აპირებდა და ბურთსა და მას შორის დავდექი. მანამ თავი ველარ შეიკავა და წამაქცია. მასპინძლები იმ დღეს კარგად თამაშობდნენ, ასე რომ, თერთმეტმეტრიანმა კარგ დროს გვიწია“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● სახელმწიფო და ფეხბურთი

# ოლდ ფირმ პასუხისმგებლობა

ამას ჰქვია საქმეში სახელმწიფო ჩაერიაო: გლაზგოს ორი დიდი გუნდის, „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ წარმომადგენლები ედინბურგში შოტლანდიის მთავრობის პირველმა პირმა, ოფიციალურად თუ ვიტყვით „პირველმა მინისტრმა“, **ალექს სემონდმა** დაიბარა. გადაწყდა, რომ „ოლდ ფირმ დერბის“ გმირები ამიერიდან ერთად იზრუნებენ, რათა მათმა მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა და კლუბების სხვა წევრებმა, პროვოკაციული საქციელისგან თავი შეიკავონ და აყალმაყალის მიზეზი არ გახდნენ. მოგეხსენებათ, გასულ კვირაში, „პარკჰედზე“, შოტლანდიის თასის შეხვედრაში ვითარება ძალიან დაიძაბა, თუმცა „სამიტზე“ აბა, ვინმე რაიმე პრეტენზიის გამოთქმას როგორ გაბედავდა: გადაწყდა, რომ შედგება ექვსპუნქტიანი კოდექსი, რომელიც „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ წევრების მოქმედებას მოედანსა და მის მიღმა დაარეგულირებს.

და მაინც, მოდი, გასული კვირის ამბავი გავიხსენოთ: რეინჯერსელთა სამი წითელი ბარათი, ყვითლების აურაცხელი რაოდენობა და მატჩის შემდეგ „სელტიკის“ თავკაც **ნილ ლენონისა** და „რეინჯერსის“ მწვრთნელის ასისტენტ **ალი მაკოისტის** შეხლა-შემოხლა... როგორც ჩანს, ასეთმა სცენებმა შოტლანდიაში ბევრი შეაშფოთა.

აღსანიშნავია, რომ პირველი მინისტრის კაბინეტში მხარეებმა „ოლდ ფირმ დერბის“ ისტორიული დაძაბულობის შემცირებასა და ფართო სოციალურ საკითხებზე პასუხისმგებლობა ვერ აიღეს, მაგრამ იმის პირობა კი დადეს, რომ მათი წევრები კონფლიქტებს აღარ გამოიწვევენ და ცეცხლზე ნავთს აღარ დაასხამენ. „სელტიკის“ აღმასრულებელმა შეფმა **პიტერ ლოუელმა** აღიარა, რომ ლენონი ვერ მოიქცა ისე ღირსეულად, როგორც მათი გუნდის წინა მწვრთნელები იქცეოდნენ. მაგრამ შეშფოთებით დასძინა, რომ მაკოისტთან ჩხუბის შემდეგ ის და მისი ოჯახი წევრები მუქარის მესიჯებს იღებდნენ და კლუბი იძულებული გახდა მათთვის დაცვა დაეყენებინა.

*„ჩვენი გადასახედიდან ასეა: მე ვამაყობ „სელტიკის“ ფეხბურთელებით, რომელთაც კონფლიქტს თავი აარიდეს. ასევე მოიქცნენ ჩვენი ფანები. მათ მასობრივი არეულობები არ მოუწყვიათ. რაც შეეხება მწვრთნელს, რასაკვირველია, ნილის საქციელი ძალიან სამწუხარო გახლდათ, თუმცა აქაც მინდა დავძინო, რომ კონფლიქტი მისი მიზეზით არ დაწყებულა, მისი საქციელი მხოლოდ საპასუხო რეაქცია იყო. სხვათა შორის, ლენონმა ჩვენს დირექტორატს მალევე მოუბოდიშა და მაკოისტსაც შეხვდა, ასე რომ ინციდენტი ამოწურულია.*

*ნილი ვერ მოიქცა იმ მაღალი სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც ჩვენს კლუბს საკუთარი თავისთვის აქვს დასახული. მას ეს თავადაც კარგად ესმის, თუმცა მისი მდგომარეობის გაგებაც შეიძლება - დღეს ნილ ლენონი „სელტიკის“ მწვრთნელია, ხოლო ეს უდიდეს ზეწოლას და დაძაბულობას ნიშნავს, რისი გაძლებაც ფრიად ძნელი საქმეა“.*

ლენონის ოჯახისთვის მუქარის მესიჯების მიწერა და აგრესია „რეინჯერსის“ აღმასრულებელმა შეფმა **მარტინ ბეინმაც** დაგმო.

*„მინდა პიტერის ნათქვამს გამოვეხმაურო და ვთქვა, რომ შეხვედრა, რომელმაც ასეთი ვნებათაღელვა გამოიწვია უკვე წარსულია. დარჩა საკითხები, რომელთაც ჩვენი კლუბი თავად, საჯაროობის გარეშე მოუვლის. ჩვენი გუნდის მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა თქვა, რომ თავისი ფეხბურთელების საქციელზე პასუხისმგებელია და ის ყველაფერს გააკონტროლებს. თავისი წილი პასუხისმგებლობა კარგად აქვს გათვითცნობიერებული ალი მაკოისტსაც“.*

საინტერესოა, რომ შოტლანდიის მთავრობის დავალებით, ამიერიდან, „ოლდ ფირმ დერბიში“ უფრო აქტიურად ჩაერევა გლაზგოს პოლიციაც, რომელიც ფეხბურთელებთან ზაფხულიდანვე დაიწყებს მუშაობას და მათთვის პრინციპულ შეხვედრებში კორექტულად ქცევის აუცილებლობაზე ლაპარაკს. ცალკე დასამუშავებელია „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ იმ შეხვედრების ორგანიზაცია, რომლებიც უქმეებზე არ უწევს. მოგეხსენებათ, ასეთი შეხვედრები საღამოობით, სამუშაო საათების შემდეგ, სიბნელეში იმართება, სიბნელეს კი თავისი პრობლემები მოაქვს. ასეთ დღეებში „აიბროქსისა“ და „პარკჰედის“ ტერიტორიაზე ალკოჰოლის გაყიდვაც უნდა აიკრძალოს.

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტური

**ევერტონი-ბირმინგემი 1:1**

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი - ოსმანი, როდუელი, ჰეტინგა (87. ბელიალეტდინოვი), არტეტა (9. კოულმენი) - საა, ბეკფორდი (78. ენიჩიბე)

**ბირმინგემი** (4-5-1): ფოსტერი - კარი, რ. ჯონსონი, ჟირანიეკი, რიჯუელი - ლარსონი, მატჩი, ბოიერი, ბენტლი (9. მერფი), ბიუსეჟური - ჯერომი (73. ჟიგიჩი)

**გოლები:** 0:1 ბიუსეჟური (17), 1:1 ჰეიტინგა (35)

**გაფრთხილება:** ჰეიტინგა - მატჩი, რიჯუელი, მერფი

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 8-14; **კარში დარტყმა:** 16-6 (9-3); **თამაშგარე:** 0-3; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 33 974

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 63-30 | 60 |
| 2. არსენალი | 28 | 17 | 6 | 5 | 57-27 | 57 |
| 3. სიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 45-25 | 53 |
| 4. ჩელსი | 28 | 15 | 6 | 7 | 51-24 | 51 |
| 5. ტოტენჰემი | 28 | 13 | 9 | 6 | 41-34 | 48 |
| 6. ლივერპული | 29 | 12 | 6 | 11 | 39-36 | 42 |
| 7. ბოლტონი | 29 | 10 | 10 | 9 | 42-40 | 40 |
| 8. სანდერლენდი | 29 | 9 | 11 | 9 | 33-35 | 38 |
| 9. ევერტონი | 29 | 8 | 13 | 8 | 38-38 | 37 |
| 10. ნიუკასლი | 29 | 9 | 9 | 11 | 44-41 | 36 |
| 11. ფულჰემი | 29 | 7 | 14 | 8 | 32-31 | 35 |
| 12. სტოკი | 29 | 10 | 4 | 15 | 32-38 | 34 |
| 13. ასტონ ვილა | 29 | 8 | 9 | 12 | 37-50 | 33 |
| 14. ბლეკბერნი | 29 | 9 | 5 | 15 | 37-49 | 32 |
| 15. ბლექპული | 29 | 9 | 5 | 15 | 43-58 | 32 |
| 16. ვესტ ბრომვ. | 29 | 8 | 8 | 13 | 39-54 | 32 |
| 17. ბირმინგემი | 28 | 6 | 13 | 9 | 27-39 | 31 |
| 18. ვესტ ჰემი | 29 | 7 | 10 | 12 | 36-49 | 31 |
| 19. ვულვზი | 29 | 8 | 5 | 16 | 34-49 | 29 |
| 20. უიგანი | 29 | 5 | 12 | 12 | 27-50 | 27 |

ევროპის ლიგა. 1/8 ფინალის წინ | მატჩები

# დიდი არენა და პატარა ქართველი

| დღეს | |
|---|---|
| ბრაგა-ლივერპული | 22:00 |
| ცსკა-პორტუ | 22:00 |
| ლევერკუზენი-ვილიარეალი | 22:00 |
| პსვ-რეინჯერსი | 22:00 |
| აიაქსი-სპარტაკი | 00:05 |
| ბენფიკა-პსჟ | 00:05 |
| დინამო კ.-მან. სიტი | 00:05 |
| ტვენტე-ზენიტი | 00:05 |

როცა ჩვენი დროით შუაღამით მოსკოვის „სპარტაკი“ „ამსტერდამ არენას“ ეწვევა, სტუმართა მწვრთნელის ასისტენტ **ანდრეი ტიხონოვს** ბევრი რამ ექნება გასახსენებელი - 1998 წელს რუსეთის „სახალხო გუნდი“ ჰოლანდიას უეფას თასის მეოთხედფინალის სათამაშოდ ეწვია, მაშინ ტიხონოვი „სპარტაკის“ მაისურით გამოდიოდა და 27 წლის იყო, ხოლო მასპინძელთა რიგებში მათი დღევანდელი მწვრთნელი **ფრანკ დე ბური** და მისი ასისტენტი **დანი ბლინდი** ასპარეზობდნენ. მაშინ აშკარა ფავორიტი „აიაქსი“ იყო, მაგრამ „სპარტაკმა“ შეძლო ორივე დაპირისპირების მოგება და ნახევარფინალში გასვლა.

ჰოლანდიაში წასვლის წინ ტიხონოვმა სწორედ პირველი მატჩი გაიხსენა: *„მეტოქე დიდი გუნდი და აშკარა ფავორიტი იყო. პირველი, რამაც ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება დატოვა, სტადიონი იყო, „ამსტერდამ არენა“ ახალთახალი აშენებული იყო და ბზინავდა, წვიმის გამო სახურავი გადახურული იყო და ჩვენ კარგა ხანს გაკვირვებულნი შევყურებდით მას. პირველ 15 წუთში დაგვანახვა მეტოქემ, თუ რატომ იყო ფავორიტი. თითქმის სულ ისინი უტევდნენ, მაგრამ ჩვენ მეტოქე კონტრშეტევებზე დავიჭირეთ. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, როგორ ითამაშა ან ბლინდმა ან დე ბურმა, მთელი ყურადღება მათი ვარსკვლავისკენ გვქონდა - მიქაელ ლაუდრუპი მართლაც საოცარი ფეხბურთელი იყო. მისი ყოველი შეხება ბურთთან დიდებული იყო“.*

ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ იმ თამაში „აიაქსის“ რიგებში **შოთა არველაძე** თამაშობდა, თურქული „ქაისერისფორის“ ამჟამინდელი თავკაცი.

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს კი უპირველესად **ჯანო ანანიძის** ამბავი გვაინტერესებს. შეძლებს თუ არა ჯანო კიდევ ერთხელ გაბრწყინებას, როგორც ეს მან წინა რაუნდში შვეიცარიაში მოახერხა, სადაც შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით კარიერაში პირველი გოლი გაიტანა ევროთასებზე და „სპარტაკს“ მოაგებინა. **კარპინმა** ჰოლანდიაში 23 ფეხბურთელი იახლა და, ბუნებრივია, მათ შორის არის პატარა ქართველი ნახევარმცველიც, რომელიც ერთადერთი შემორჩენილი ლეგიონერია ევროთასებს.

„აიაქსს“ ამ თამაშში არ ეყოლება მთავარი მეგოლე, **მუნირ ელ ჰამდაუი**, რომელსაც, როგორც ჰოლანდიური მედია ამტკიცებს, კონფლიქტი აქვს მთავარ მწვრთნელთან.

სხვა თამაშებიდან აღვნიშნავთ კიევის „დინამოსა“ და „მანჩესტერ სიტის“ დაპირისპირებას. გუშინ ინგლისელთა ბოსნიელმა ვარსკვლავმა **ედინ ჯეკომ** აღიარა, რომ **ანდრეი შევჩენკო** მისი ერთ-ერთი კერპია და მოუთმენლად ელის მასთან შეხვედრას მინდორზე: *„რამდენიმე წლის წინ „მილანთან“ თამაშმა მომიწია და მაშინ ავისრულე ნატვრა, შევჩენკომ მაისურა გამიცვალა“*, - ამბობს ფეხბურთელი, რომელიც ახლა გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე მისი კერპი.

16 შემორჩენილი კლუბიდან, ვინც დუბლინური ფინალის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს, 4 ყოფილი საბჭოეთიდანაა (3 რუსული, 1 უკრაინული). როგორც ხედავთ, ამ ქვეყნების საკლუბო ფეხბურთის პროგრესი სახეზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჯანო ანანიძე გუშინდელ ვარჯიშზე ჰოლანდიაში

გამოხმაურება

# ჟურნალისტი არბიტრების წინააღმდეგ



რუსული გამოცემა “ფუტბოლის” მთავარმა რედაქტორმა **არტემ ფრანკოვმა** საკუთარ ბლოგზე ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი 1/8-ფინალური შეხვედრები მოკლედ მიმოიხილა და მსაჯების წინააღმდეგ ერთობ მკვეთრი განცხადებები გააკეთა. გვესმის, რომ ჟურნალისტს ბლოგზე მაქსიმალური გულახდილობის უფლება აქვს და შესაბამისად, განცხადებები აქ შეიძლება უფრო თამამი იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, ფრანკოვის მიერ წამოჭრილი საკითხები ძალზე პრობლემურია და ის დიდი ხანია ელის გადაწყვეტის რიგს. ახლა კი მოკლედ გთავაზობთ ჟურნალისტის ჩანაწერებს:

*“არ იყო იქ პენალტი, იმჰო (პოპულარული ინგლისური აბრევიატურა, ითარგმნება როგორც “ჩემი მოკრძალებული აზრით”). მით უფრო არ იყო ყვითელი. ადამიანი თეთრებში (ბუსაკას თეთრი ფორმა ეცვა. რედ.) ძალიან სუსტი იყო. 2. არ იყო მეორე ყვითელი ბარათი მექსეზე. მაქსიმუმ ჩვეულებრივი სათამაშო ჯარიმა უნდა მიეცა. 3. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რანაირად ვერ დაინახა მსაჯმა, დე როსიმ როგორ გათიშა სრნა. ამაში მე ხუთიანს პლუსით დავუწერდი შეფასებას. შეიძლება დარიოს მიმართ სპეციფიკური დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ დარტყმა აშკარა იყო. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს სულელი (ლაპარაკია ჰოვარდ ვებზე. რედ) კიდევ დიდხანს გააგრძელებს მსაჯობას და მას კიდევ დიდხანს ჩათვლიან ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მსაჯად მსოფლიოში. როგორც ერთი ჩემი მეგობარი იტყოდა, სამაგიეროდ მენტალურად არის ძლიერი, რაც უეფას მსაჯთა კომიტეტში დიდად ფასობს. თფუი... რაღაც არასწორია თანამედროვე ფეხბურთში, ატყობთ? და ამ დროს რატომ ეშინიათ პანიკურად ვიდეოგამეორებების”?*

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## უეფა საქმეს გამოიძიებს

უეფას წარმომადგენელთა მიერ ოფიციალურად დადასტურდა, რომ ეს ორგანიზაცია უკვე დაინტერესდა **არსენ ვენგერსა** და **მასიმო ბუსაკას** შორის “ბარსელონა”-“არსენალის” მატჩისას მომხდარი ინციდენტით და საქმეს აუცილებლად გამოიძიებს. საქმეში გაიჟღერა **სამირ ნასრის** გვარმაც. შეიძლება ითქვას, რომ ლონდონელებს ხულიგნობაში ედებათ ბრალი. მათ საქმეებს უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტი 17 მარტს განიხილავს და გადაწყვეტილებასაც გამოიტანს. შეგახსენებთ, ისინი შვეიცარიელი არბიტრის მოქმედებებით გამოწვეულ უკმაყოფილებას მატჩის მიმდინარეობისასაც კი ღიად გამოხატავდნენ.

## პიუელმა შეიძლება სევილია ჩაიბაროს

ესპანური რადიოსადგურის “კადენა სერის” ცნობით, “სევილიის” ხელმძღვანელობა “ლიონის” ამჟამინდელ თავკაც **კლოდ პიუელთან** თანამშრომლობით არის დაინტერესებული. ანდალუსიელთა ხელმძღვანელობა **გრეგორიო მანსანოს** მუშაობით უკმაყოფილოა. მას სეზონის დასრულების შემდეგ მადლობას გადაუხდიან და გუნდს ახალ თავკაცს ჩააბარებენ. თავის მხრივ პიუელსაც “ლიონიდან” წასვლა ივნისში აქვს გადაწყვეტილი, რადგან დღიდან დანიშვნისა, მას დაძაბული ურთიერთობა აქვს პრეზიდენტ **ჟან-მიშელ ოლასთან**. უთანხმოებამ კი პიკს სწორედ ბოლო ხანს მიაღწია.

## პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ

მიუნხენის “ბაიერნის” ჰოლანდიელი ლიდერი **არიენ რობენი** პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების რიგებში იასპარეზებს. აღნიშნული ინფორმაცია გაზეთებს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა გაანდო. რაც შეეხება სრულ შემადგენლობას, რასაკვირველია, ის ჯერ გარკვეული არ არის. **ბერტ ვან მარვიიკი** 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უნგრეთის ნაკრებთან სათამაშოდ ნაკრებში მიწვეულთა სიას 18 მარტს ოფიციალურად დაასახელებს.

## ჰამშიკი მანიუში არ იქნება

“ნაპოლის” სლოვაკი ლიდერის **მარეკ ჰამშიკის** აგენტმა **იურაი ვენგლოშმა** უარყო ინგლისური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მისი კლიენტი ზაფხულზე “მანჩესტერ იუნაიტედში” გადავა. აი, რას აცხადებს ვენგლოში: *“ამ წუთას რაიმე ტრანსფერზე ლაპარაკი ზედმეტია. მარეკი მთლიანად კონცენტრირებულია “ნაპოლის” წარმატებებზე და ასევე სლოვაკეთის ნაკრების ინტერესებზე. ის არ არის დაინტერესებული სხვა კლუბთან მოლაპარაკებით. მარეკს ხანგრძლივად სურს თავის ცხოვრების იმ ქალაქთან დაკავშირება, სადაც ამჟამად ცხოვრობს. სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ, რომ ჩემი კლიენტის ტრანსფერზე გავრცელებული ხმები არ დაიჯეროთ, რადგან ეს ყველაფერი ტყუილია. ვფიქრობ, ჰამშიკი მთელ კარიერას სწორედ “ნაპოლიში” გაატარებს”.*

## დეშამი: რატომ მივატოვე ქალბატონი

“მარსელის” თავკაცი **დიდიე დეშამი** გამოეხმაურა ამ დღეებში პრესაში ატეხილ აჟიოტაჟს “იუვენტუსში” მის შესაძლო დაბრუნებაზე. ფრანგი ჯერჯერობით კონკრეტულ პასუხს არ იძლევა და მხოლოდ წარსულზე ლაპარაკს სჯერდება. აი, რას აცხადებს ახალგაზრდა სპეციალისტი: *“მაშინ, როცა “იუვენტუსი” დავტოვე, მეგონა, რომ სწორად ვიქცეოდი. თუმცა შემდეგლა გამოვუტყდი საკუთარ თავს, რომ ეს შეცდომა იყო და დამნაშავეც მხოლოდ მე ვიყავი, - განუცხადა მან “ტუტოსპორტს”. – გასულ წელს მე “ლივერპულიდან” დამიკავშირდნენ და პირველი რითიც დაინტერესდნენ, იყო ის, თუ რატომ დავტოვე “იუვე”. ვუპასუხე, რომ მე და კლუბის ხელმძღვანელობას განსხვავებული შეხედულებები გვქონდა ყველაზე პრინციპულ საკითხებზე. ჩემი პოზიცია მაშინ ასეთი იყო და პრინციპში არც ახლა შეცვლილა, რომ სჯობს წელიწადში 3 უმაღლესი კლასის ფეხბურთელი დაიმატო, ვიდრე 6-7 საშუალო გაქანებისა. ამას მოითხოვდა “იუვეს” ტრადიციები და ამას ითხოვდნენ ფანებიც. თუმცა მესმის, რომ კარგ ხარისხს შესაბამისი ფასიც აქვს. იმ წელს როცა მე “ქალბატონთან” ვმუშაობდი, გუნდში 2-3 მაღალი კლასის ფეხბურთელის “ჩანერგვა” შევძელით. მაგალითისთვის გავიხსენებ მარკიზიოსა და დე ჩელიეს. სწორედ მათი წყალობით შეგვეძლო მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელების გადაბირებაზე ზრუნვა”.*

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანური ლაზარეთის ამბები

# ნავსიანი ტური



თავიდან ალვარო ნეგრედოს ტრავმა ძალზე საშიში ჩანდა

**„მალაგას“ ქვა ალმართში დაეწია, პრიმერას უკანასკნელ ადგილზე მყოფ გუნდს გამოცდილი მცველი ხესუს გამესი გამოაკლდა. მას ბარძაყის კუნთის I-II ხარისხის დაზიანება აქვს და, ექიმთა თქმით, 15 დღე მოუწევს უქმობა. გამესმა „ოსასუნასთან“ მატჩის 43-ე წუთზე მიიღო ტრავმა. მას ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება, უბრალოდ, უნდა დაასვენოს მტკივანი ფეხი. იმავე თამაშში „მალაგას“ კიდევ ერთი მცველი, ბრაზილიელი ველიგტონი დაემტვრა, თუმცა სამხრეთამერიკელს გაუმართლდა, მან უკვე მოიშუშა ტრავმა და კვირას „რეალ სოსიედადთან“ მატჩში თამაშს შეძლებს.**

„სევილიას“ ერთბაშად ორი დამრტყმელი ძალა გამოეცალა „სან მამესზე“. ბრაზილიელი **ლუიშ ფაბიანოს** ტრავმის სირთულეზე უკვე მოგახსენეთ, ის 6 კვირით ვერ დაეხმარება ანდალუსიურ კლუბს. აი, **ალვარო ნეგრედო** შედარებით იოლად გადარჩა. მართალია, მას ბილბაოში 9 ნაკერი დაადეს, მაგრამ უკვე გუშინ „სევილიას“ ვარჯიშზე გამოჩნდა. ნეგრედოს ძალიან უნდა კვირას თამაში: *„ექიმს ვთხოვე, რომ თამაშის ნებართვა მომცეს. თანახმა ვარ, მოედანზე დამცავი ჩაფხუტით გამოვიდე, რომ ნაკერები არ გამეხსნას, თუმცა ეს ჩაფხუტი ჩემს თამაშზე გავლენას ვერ იქონიებს“*, - განაცხადა ნეგრედომ. შეგახსენებთ, რომ „სევილია“ კვირას თვით „ბარსელონას“ მასპინძლობს.

ტრავმა აწუხებს „ერკულესის“ ფრანგ ფორვარდ **დავიდ ტრეზეგესაც**. მან გადაწყვიტა, ტურინში გაფრენა და იქაურ სპეციალისტთან მისვლა. „იუვენტუსის“ ყოფილ ფორვარდს მუხლი აწუხებს. უკვე რამდენიმე კვირაა ის ტრავმით თამაშობს, თუმცა მეტის გაძლება ველარ შეძლო. როგორი დიაგნოზიც არ უნდა დაუსვან იტალიელმა დასტაქრებმა ტრეზეგეს, ის ყველა შემთხვევაში გამოტოვებს შეხვედრას შაბათს მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ.

„ოსასუნას“ თავდამსხმელი **არანდა** ოპერაციას ვერ გადაურჩა. არანდამაც 27-ე, დანავსულ ტურში მიიღო ტრავმა (ბოლო ტურში მართლაც ძალიან ბევრი დაიმტვრა განსაკუთრებით კი შემტევები) „მალაგასთან“ მატჩში. ტერფის ძვლები არანდას ისე აქვს დაზიანებული, რომ ოპერაცია სჭირდება. უახლოეს დღეებში კლუბის ექიმები ოპერაციის თარიღსაც დათქვამენ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, თუ რამდენი გაუცდება ნავარელთა ფორვარდს.

ბილბაოს „ატლეტიკის“ ფორვარდი **გაისკა ტოკერო** ბოლო ტურში, „სევილიასთან“ მატჩში დაშავდა. მას კუნთი აქვს დაჭიმული და დაახლოებით სამი კვირა მოუწევს იძულებითი უქმობა. ცხადია, ტოკერო კვირას „ვილიარეალთან“ გადამწყვეტ დაპირისპირებას დააკლდება. ის, შესაძლოა, 31-ე ტურისთვის დაბრუნდეს, როცა „ბილბაო“ „რეალს“ ხვდება.

„სარაგოსას“ თავდამსხმელმა **ფლორან სინამა-პონგოლემ** „ბარსელონასთან“ მატჩში ნეკნები დაიზიანა. მას მერე სინამა-პონგოლემ არაგონელთა ყველა ვარჯიში გამოტოვა. რენტგენმა აჩვენა, რომ მას ძვალი არა აქვს დაზიანებული, ამიტომაც ექიმები მის გამოჯანმრთელებას ამ ტურისთვის ვარაუდობენ.

დაბოლოს, **კაკას** ტრავმის საკითხიც - ბრაზილიელს ისევ მუხლმა შეახსენა თავი. ტესტებმა ფეხბურთელის მარცხენა მუხლში მცირე პრობლემები დაადასტურეს. კაკა, სულ მცირე, ორ კვირას გამოტოვებს

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვენგერი: მასიმო ბუსაკამ ყველაფერი გააფუჭა! გვარდიოლა: ლონდონელებმა გადაბმულად სამი პასიც ვერ გააკეთეს!

# მსაჯი გვნამს, ბარსა გვაკვირვებს!

**1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ბარსელონა (ესპანეთი) 3:1 არსენალი (ინგლისი)**

**პირველი მატჩი 1:2**

8 მარტი. ბარსელონა. კამპ ნოუ. 90 000 მაყურებელი

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, ბუსკეტსი, აბიდალი, ადრიანო (90. მაქსველი) - ჩავი, მასკერანო (88. კეიტა), ინიესტა - პედრო, მესი, ვილია (82. აფელაი).

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი (19. ალმუნია) - სანია, ჯურუ, კოშელნი, კლიში - უილშირი, დიაბი - როსიცკი (73. არშავინი), ფაბრეგასი (78. ბენდტნერი), ნასრი - ვან პერსი.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**ვერ გაქაჩა „არსენალმა"... უფრო სწორად, „ბარსელონას" ვერ გაუქაჩა, თორემ არსენ ვენგერს ძალიან კარგი გუნდი რომ ჰყავს, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია და სავარაუდოდ, კიდევ არაერთხელ დავწერთ. მაგრამ „ბარსა" სულ სხვა ფენომენია და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ამ ფენომენთან წარმატების მიღწევის შანსი მხოლოდ ერთეულებს აქვთ, თუმცა ამჯერად ჟოზე მოურინიოზე საუბარი უადგილოა. თანაც, ამ თემის გადაღეჭვაც კიდევ არაერთხელ მოგვიწევს.**

## მატჩამდე

**პეპ გვარდიოლამ** პირველი მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა: **მაქსველისა** და დისკვალიფიცირებული **პიკეს** ნაცვლად, სასტარტოში **მასკერანო** და **ადრიანო** ვიხილეთ. საინტერესო ის არის, რომ გვარდიოლამ დაცვის ცენტრში **ბუსკეტსისა** და **აბიდალის** წყვილი გაამწესა. **ლეო მესი** ცენტრფორვარდის პოზიციაზე მოგვევლინა, რომელსაც მარცხნიდან **ვილია**, მარჯვნიდან კი **პედრო** ეხმარებოდნენ.

ვენგერმა კი სამ ცვლილებას მიმართა და ძირითადში **ებუეს, სონგისა** და **უოლკოტის** ნაცვლად, **სანია, დიაბი** და **როსიცკი** დააყენა.

## მატჩი

სანამ მესი ანგარიშს გახსნიდა, რაც პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე მოხდა, კატალონიელებს მხოლოდ ორჯერ შეეძლოთ „არსენალის" კარის დალაშქვრა - არადა, ბევრს უტევდნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, დიდ უპირატესობას ფლობდნენ. გოლის გატანა კი ჯერ პედროს (28-ე წუთი) მართებდა, მერე კი ადრიანოს (36). რაც შეეხება ლეოს პირველ გოლს: ის **სესკ ფაბრეგასის** შეცდომას და **ანდრეს ინიესტას** ბრწყინვალე პასს მოჰყვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ვენგერის გუნდმა წონასწორობა აღადგინა და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლონდონელებს გოლი ციდან ჩამოუვარდათ: **ნასრიმ** კუთხური უხეიროდ ჩააწოდა, ბუსკეტსმა კი თავით ბურთი საკუთარ კარში გაიტანა. ამრიგად, 1:1, რომელსაც მომდევნო ეტაპზე „არსენალი" გაჰყავდა, „ბარსას" კი ორი გოლი სჭირდებოდა.

55-ე წუთზე პედრომ ვილია **ალმუნიასთან** პირისპირ გაიყვანა და „არსენალის" მეკარის თავგანწირული თამაშის დამსახურებაა ის, რომ გოლი არ გავიდა. ზუსტად ერთ წუთში, მსაჯმა **მასიმო ბუსაკამ** ლონდონელთა ლიდერი **რობინ ვან პერსი** მოედნიდან გააძევა - მიუხედავად იმისა, რომ არბიტრს ჩასტვენილი ჰქონდა, თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა ჰოლანდიელმა კარში მაინც დაარტყა, რისთვისაც მეორე გაფრთხილება და შესაბამისად, გაძევება დაიმსახურა. 58-ე წუთზე **ჩავიმ** მარჯვნიდან ვილიას ჩაუწოდა, ამ უკანასკნელის დარტყმა კი ალმუნიამ მოიგერია, ორ წუთში კი პედროსაც აუღო მოულოდნელი დარტყმა.

არსენალი 69-ე წუთზე გატყდა: ინიესტა-ვილია-ჩავის კომბინაცია ამ უკანასკნელმა ცოტა იღბლიანად დააგვირგვინა - 2:1. ზუსტად ორ წუთში მოტყუებულმა **კოშელნიმ** პედროსთან ორთაბრძოლაში წესები დაარღვია, სამართლიანად დანიშნული პენალტი კი მესიმ გაიტანა - 3:1 და „ბარსამ" სასურველი ანგარიში მიიღო, მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა!

88-ე წუთზე „ბარსელონას" ძალიან გაუმართლა, რადგან ლონდონელებმა კინალამ კიდევ ერთი ციდან ჩამოვარდნილი გოლი შეაგდეს: **უილშირმა** კონტრშეტევა **ბენდტნერისკენ** გაკეთებული კარგი პასით დაასრულა, ამ უკანასკნელმა კი ბურთი ვერ მოიხელთა და კატალონიური გრანდი მასკერანოს თავგანწირულმა ვარდნამ გადაარჩინა. ფაქტია, **ბენდტნერს** რომ გაეტანა, 2:3 მეოთხედფინალში „არსენალს" გაიყვანდა.

## რეაქციები

**პეპ გვარდიოლა** („ბარსელონას" მწვრთნელი): *„არსენალისადმი" უდიდესი სიმპათიით ვარ განწყობილი. მომწონს ამ გუნდის ფეხბურთი! არ ვიცი, როგორ ანალიზს გაუკეთებენ ლონდონელები ამ მატჩს, სავარაუდოდ იტყვიან, რომ ვან პერსის გაძევების გამო წააგეს, რაშიც ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ფაქტია, რომ „არსენალს" დღეს გადაბმულად სამი პასიც კი არ გაუკეთებია. ჩვენ ლონდონელებს ვან პერსის გაძევებამდეც ძალიან კარგად ვეთამაშებოდით და ვჯობდით."*

**არსენ ვენგერი** („არსენალის" მწვრთნელი): *„როგორ შეუძლია მსაჯს, რომ ასეთი მატჩი გააფუჭოს? დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ერთ რამეში: უბედური და უიღბლოა ყველა, ვისაც ლონდონის „არსენალი" უყვარს და მე ბუსაკასი საერთოდ არ მესმის. ვიცი, რომ მსაჯის სასტვენის შემდეგ დარტყმის გამო ფეხბურთელი გაფრთხილებას იმსახურებს, მაგრამ როცა ეს მეორე გაფრთხილებაა და თანაც ასეთ შეხვედრასთან გვაქვს საქმე, ცოტა უნდა დაფიქრდე და გადაწყვეტილებას ტვინიც დააყოლო. ბუსაკას გადაწყვეტილებამ, ვან პერსი მოედნიდან გაეძევებინა, შესანიშნავი მატჩი გააფუჭა, ჩვენ კი ძალიან მაგარ გუნდთან დავმარცხდით. „ბარსას" წარმატებებს ვუსურვებ!"*

## TOP ფეხბურთელი

ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)

ინიესტა ფანტასტიკური იყო როგორც დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, ისე შეტევაშიც. გამაოგნებელია, რაოდენ სწრაფად აზროვნებს ეს ფეხბურთელი ბურთით თუ უბურთოდ და რაოდენ ბრწყინვალე იდეები მოსდის იმ დროს, როცა ბურთი აქვს. ანდრესმა ძალიან ბევრი ირბინა, ორთაბრძოლების უმეტესობა მოიგო და ბურთს უდიდესი, მისთვის ჩვეული თავდაჯერებით ფლობდა. მესის პირველი გოლის დროს მან გენიალური პასი გააკეთა, „ბარსას" მეორე გოლი კი მის გენიალურ დრიბლინგს მოჰყვა.

## FLOP ფეხბურთელი

სესკ ფაბრეგასი (არსენალი)

სესკმა მაინცდამაინც თავისი საყვარელი კლუბის წინააღმდეგ, საყვარელ სტადიონზე ითამაშა ისე, როგორც ძალიან იშვიათად თამაშობს ხოლმე - ცუდად. ფაბრეგასი თითქმის საერთოდ არ იყო თამაშში ჩართული და თუ იყო, მხოლოდ დაცვითი ფუნქციების შესრულებით გახლდათ დაკავებული. თანაც, „ბარსელონამ" ანგარიში მისი შეცდომის შემდეგ გახსნა.

## მსაჯი

საერთო ჯამში მასიმო ბუსაკა სოლიდურად გამოიყურებოდა, მაგრამ მასზე სხვას კარგს ვერაფერს ვიტყვით. 32-ე წუთზე, დიაბისა და მესის ორთაბრძოლას, წესით, ლონდონელთა კარში პენალტი უნდა მოჰყოლოდა; **ვალდესი** და აბიდალი შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე ვან პერსის რომ იჭერდნენ, ბუსაკას „ბარსა" უნდა დაესაჯა; მაგრამ მთავარი მინუსი მაინც ვან პერსის გაძევება გახლდათ: ბუსაკას ცოტა მეტი ადამიანურობა რომ გამოეჩინა, მის მსაჯობას ასეთ ცუდ შეფასებას ნაღდად არ მივცემდით.

## ანალიზი

არსენ ვენგერმა მატჩის წინ ბევრ რამეში უტიფრად იცრუა, მაგრამ ამ ტყუილების გამო სულაც არ ვამტყუნებთ - წარმატების მიღწევისთვის ყველა ხერხი გამართლებულია, თუკი გამკეთებელი



რობინ ვან პერსიმ მსაჯ მასიმო ბუსაკას სასტვენი ვერ გაიგონა და თამაშგარე მდგომარეობიდან ამიტომაც დაარტყა, შვეიცარიელმა არბიტრმა კი არსენალის თავდამსხმელს მაინც მეორე ყვითელი უჩვენა და მოედნიდან გააძევა

შედეგზე ხელს თავიდანვე აწერს. ვენგერმა თქვა, დაცვაში არ ჩავჯდებით, ეს არაფერს მოგვცემსო, მაგრამ „არსენალმა" „ნოუ კამპზე" პირველ ტაიმში ზუსტად ისე ითამაშა, როგორც მილანის „ინტერმა" შარშან: როცა ბურთი „ბარსას" ჰქონდა (და ბურთი თითქმის ყოველთვის კატალონიელებს ჰქონდათ), ლონდონელები ათი კაცით ბურთსუკან იყვნენ, თავს კომპაქტურად იცავდნენ და წინ მხოლოდ ვან პერსის არბენინებდნენ.

კატალონიელები ზეწოლას უმეტესად ფლანგებიდან ახორციელებდნენ, რის გამოც ნასრის იმდენად უკან დახევა მოუხდა, რომ იფიქრებდით, „არსენალი" ორი მარცხენა მცველით თამაშობსო. მესი თავიდან ტიპური ცენტრფორვარდი და შესაბამისად, ცოტათი იზოლირებული იყო, სადღაც მე-20 წუთიდან კი ოდნავ უკან დაიხია და მაშინვე ყურადღების ცენტრში მოექცა.

სტილს, რომლითაც „არსენალი" თავს იცავდა, ალვირახსნილ „კატენაჩოს" ვერავინ დაარქმევს - ვენგერის ბიჭები საკუთარი კარიდან საკმაოდ შორს ახორციელებდნენ პრესინგს და „ბარსას" ფეხბურთელები ჭკვიანური მოქმედებებით რამდენჯერმე დატოვეს თამაშგარე მდგომარეობაში. ფაქტია: „არსენალმა" გუშინწინ გაცილებით უკეთ ითამაშა „ნოუ კამპზე", ვიდრე ზუსტად ერთი წლის წინ. ერთი ეგაა, რომ ლონდონელები შეტევაში ხეირიანად გადასვლას ვერაფრით ახერხებდნენ, რადგან ბარსელონელები სწრაფადვე იბრუნებდნენ ბურთს მისი დაკარგვის შემთხვევაში. გვარდიოლა ცამდე მართალია, როცა ამბობს, „არსენალმა" გადაბმულად სამი პასიც კი ვერ გააკეთაო, რითაც ვენგერის გუნდის დაკნინება კი არა, თავისი შეგირდების შექება სურს.

რომ არა „არსენალის" იღბლიანი გოლი, მეორე ტაიმში თამაში შეიცვლებოდა, რადგან ლონდონელები იძულებულები გახდებოდნენ, შეეტიათ, ბუსკეტსის ავტოგოლმა კი სცენარი არ შეცვალა. ვენგერის გუნდმა მხოლოდ მაშინ მოინდომა, როცა ანგარიში უკვე 1:3 იყო, მაგრამ ამ დროს „არსენალი" უკვე კაცნაკლული იყო. ის ფაქტი, რომ მატჩის ბედი გაცილებით ადრე არ გადაწყდა, „მეთოფეების" მეკარე ალმუნიას დამსახურებაა, რომელსაც იმ დღეს საერთოდ არ უნდა ეთამაშა და მოედანზე მხოლოდ იმიტომ შეუშვეს, რომ პირველი კიპერი **შჩესნი** დაშავდა. სწორედ ალმუნიას კარგმა თამაშმა განაპირობა ის, რომ ბარსელონელებმა ბოლომდე ინერვიულეს და მატჩის მიწურულს ბენდტნერს რომ გაეტანა, სულაც ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩებოდნენ.

**1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**შახტარი (უკრაინა) 3:0 რომა (იტალია)**

**პირველი მატჩი 3:2**

8 მარტი. დონეცკი. დონბას არენა. 50 000 მაყურებელი

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი - ჰუბშმანი, მხითარიანი (67. ალექს ტეიშეირა) - დუგლას კოშტა (60. ედუარდო), ჟადსონი, ვილიანი - ლუიზ ადრიანო (75. მორენო).

**რომა (4-4-2):** დონი - ბურდისო, ჟუანი, მექსე, ი. რიისე - ტადეი (46. როსი), პისარო, დე როსი, პეროტა (86. კაპრარი) - ბორიელო, ვუჩინიჩი (65. ბრიგი).

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

# რომი? არა, დონეცკი!

## მირჩა ლუჩესკუ მეშახტეების ისტორიას წერს

**იყო დრო, როცა იტალიურ კლუბებს ევროტურნირებზე თამაში და გამარჯვება განსაკუთრებით უკრაინულ და რუსულ კლუბებთან უადვილდებოდათ და სამშაბათს უკვე საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ეს დროც წარსულს ჩაჰბარდა. დონეცკის „შახტარმა" „რომა" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან ისე გააგდო, როგორც 12-13 წლის წინ „იუვენტუსი" გააგდებდა ნებისმიერ უკრაინულ ან რუსულ კლუბს. ამრიგად, დონეცკური კლუბი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და მირჩა ლუჩესკუ მეშახტეების ისტორიას წერს.**

## მატჩამდე

როგორც მოსალოდნელი იყო, ლუჩესკუმ ძირითადი შემადგენლობა არ შეცვალა და მოედანზე ზუსტად ის ფეხბურთელები გაიყვანა, რომლებმაც „შახტარს" რომის „ოლიმპიკოზე" 3:2 მოაგებინეს. „ჯალოროსის" ახალმა თავკაცმა **ვინჩენცო მონტელამ** კი „ლეჩესთან" 2:1-ზე მოგებული მატჩისგან განსხვავებით, სასტარტოში **ჟუანი** გაამწესა, **ბურდისო** კი მარჯვნივ გადასწია, სადაც მან დისკვალიფიცირებული **კასეტი** შეცვალა.

## მომენტები და ანალიზი

თავიდან „რომა" უკეთ თამაშობდა - განსაკუთრებით კარგად **მარკო ბორიელოსა** და **როდრიგო ტადეის** ტანდემი გამოიყურებოდა, მაგრამ მიზნის მიღწევა და ანგარიშის გახსნა ვერც ერთმა ვერ შეძლო. სტარტიდან ათი წუთის შემდეგ ნახევარმომენტი ჰქონდა **რიისეს**, რომლის საჯარიმო დარტყმა (30 მეტრიდან) პიატოვის კარს საკმაოდ მცირე მანძილით ასცდა. მერე კი დონეცკელებიც აზრზე მოვიდნენ და თამაში იმდენად გაუმჯობესეს, რომ საყვარელი გუნდის წარმატების იმედი „რომას" ყველა გულშემატკივარს გადაეწურებოდა. თანაც, „შახტარი" **ჰიუბშმანის** მშვენიერი გოლით დაწინაურდა.




28-ე წუთზე არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** იტალიელებს თამაშში დაბრუნების ბრწყინვალე შანსი მისცა, როცა სავსებით სამართლიანად დანიშნა პენალტი „შახტარის" კარში, მაგრამ პენალტს ხომ გამოყენება უნდა - რომაელებმა კი ამ მხრივაც უდიდესი უნიათობა გამოავლინეს: ბორიელომ მისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში დარტყმა გადაწყვიტა და „შახტარის" მეკარე **პიატოვიც** მაინცდამაინც იმ კუთხეში გადახტა...

მონტელას გუნდის მდგომარეობა განსაკუთრებით 41-ე წუთზე დამძიმდა, როცა „ჯალოროსის" **ფილიპ მექსე** გაუძევეს. შესვენებამდე კიდევ მოხდა რაღაც: რომაელთა ლიდერ **დანიელე დე როსის** ნერვები მაგრად მოეშალა და **დარიო სრნასთან** საჰაერო ორთაბრძოლისას დონეცკელთა მარჯვენა მცველს იდაყვი გამეტებით უთავაზა. დე როსიც გასაგდები იყო, მაგრამ ვებმა „რომა" დაინდო და სულაც პირიქით: მან სრნა გააფრთხილა - საპროტესტო ღრიალისთვის.

რიცხობრივ უპირატესობაში დარჩენილ დონეცკელებს მეორე ტაიმში ყველაფერი გაუადვილდათ: ჯერ იყო და ვილიანმა სხვაობა ორამდე გზარდა და „რომას" ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა, ბოლოს კი **ედუარდოსაც** მიეცა გართობის საშუალება და ტაბლოზე „რომასთვის" სამარცხვინო ანგარიში, 3:0 დააფიქსირა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● კალჩიო

# სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

## იტალიელები გამოფხიზლდნენ

უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ იტალიურ საკლუბო ფეხბურთში კრიზისია. არც ისაა სიახლე, რომ ეს კრიზისი დიდწილად სტადიონების მოძველებამ და ზოგადად, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გამოიწვია. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ფედერკალჩოს პრეზიდენტმა - მოვუსმინოთ **ჯანკარლო აბეტეს** და შემდეგ, განვავრცოთ თემა:

*"უკვე შევთანხმდით იმაზე, რომ სტადიონები რეკონსტრუქციას საჭიროებენ და ეს პროცესი დაწყებულია. კარგი იქნებოდა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოგვეპოვებინა, ეს ერთი-ორად დააჩქარებდა პროცესს, მაგრამ უეფამ კონკურენტს მიანიჭა უპირატესობა და ისღა დაგვრჩენია, პრობლემას საკუთარი ძალებით ვებრძოლოთ. ერთი, რომ გულშემატკივარი მოაკლდა სტადიონებს და მეორე, ფეხბურთელებს უხარისხო მინდვრებზე უწევთ თამაში. ორმოებიან მინდორზე სწრაფ ტემპში ვერ ითამაშებ, ამიტომ, ჩვენი გუნდები სწორედ სისწრაფეში იჩაგრებიან ევროსარბიელზე. პრობლემა უნდა მოგვარდეს, ვიცი, რომ პროცესი დაძრულია და ეს ძალიან მახარებს".*

პროცესი მართლაც დაიძრა და სანამ ახალ სტადიონებზე მოგახსენებდეთ, **მილოშ კრასიჩის** სიტყვებიც გავიხსენოთ – სერბმა ნახევარმცველმა "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტთან გაკვირვება გამოხატა: ასეთ ცუდ მინდვრებზე რუსეთშიც კი არ მიწევდა თამაშიო. მოკლედ, ვითარება მეტად რთულია, თუმცა უკანასკნელი ცნობები იტალიური ფეხბურთის გულშემატკივრებს უთუოდ გაახარებს. ფლორენციაში იტალიური ფეხბურთის მამების დიდი შეკრება გაიმართა, სადაც სწორედ ახალი სტადიონების აშენებასა და არსებული არენების რეკონსტრუქციაზე იმსჯელეს. კლუბების ნაწილმა უკვე წარმოადგინა ახალი სტადიონის დამტკიცებული მაკეტი და ის ვადები, რომლებშიც მშენებლობა იგეგმება.




### იუვენტუსი

პირველი მერცხალი "იუვენტუსი" იქნება და ამის შესახებ ერთ-ერთ წინა ნომერშიც გაუწყეთ. პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, რომ მომდევნო სეზონიდან "ვეკია სენიორა" ახალ, თანამედროვე სტადიონზე დაიდებს ბინას. ტრიბუნები 42 000 გულშემატკივარზეა გათვლილი და თუ წლიურ აბონიმენტებზე გულშემატკივართა უპრეცედენტოდ მაღალი მოთხოვნით ვიმსჯელებთ, მუდმივად სავსე იქნება. არადა, ბოლო წლებია "იუვეს" საშინაო თამაშებს საშუალოდ მხოლოდ 20 000 ადამიანი ესწრება. ანუ, რიცხვი ორჯერ გაიზრდება და კლუბის ბიუჯეტიც გვარიან სარგებელს მიიღებს. მოსალოდნელი ფინანსური მოგება უკვე დათვლილიც გახლავთ და წელიწადში 10 მილიონ ევროს შეადგენს – პრეზიდენტ **ანდრეა ანიელის** განცხადებით, ეს თანხა მთლიანად ტრანსფერებში დაიხარჯება. "იუვეზე" აღარ შევჩერდებით, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტურინის ახალი სტადიონის შესახებ ერთხელ უკვე გაუწყეთ და თანაც, საკმაოდ ვრცლად.




### ინტერი

ამასობაში, **მასიმო მორატის** მოსურვებია ახალი სტადიონის აშენება და საქმეც დაუძრავს. ეს ამბავი კარგა ხანს არ ხმაურდებოდა და მაშინ გააჟღერეს "ინტერის" წარმომადგენლებმა, როდესაც თემამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. შესაძლოა დაკვირვებული ხართ, რომ "ინტერის" საშინაო პაექრობებისას სტადიონს "ჯუზეპე მეაცად" მოვიხსენიებთ, "მილანის" თამაშებისას კი "სან სიროდ". ეს ჩვენი ახირება არ გეგონოთ, თვითონ იტალიელები სწორედ ასე იქცევიან. "შავ-წითლები" არ ღალატობენ სახელს, რომელიც არენას გახსნის დღიდან შეერქვა, "შავ-ლურჯები" კი იმ ფეხბურთელის სახელს ანიჭებენ უპირატესობას, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები სწორედ მათ სათაყვანებელ გუნდში გაატარა. სხვათა შორის, მეაცა ერთი ხანობა "მილანშიც" ასპარეზობდა და ამ გუნდის პრეზიდენტიც იყო – სწორედ ამიტომ დათანხმდნენ არენისთვის ჯუზეპე მეაცას სახელის მინიჭებას. ისიც ვთქვათ, რომ "მილანისტები" "ინტერს" დღემდე მდგმურად მოიხსენიებენ, რადგან სანამ "ნერაძური" დაარსდებოდა, "როსონერი" უკვე თამაშობდა "სან სიროზე". მართალია, "ინტერისტები" ამ სტატუსს არ აღიარებენ, მაგრამ მთლად უამისობაც რომ არაა, კარგად ესმით.

როგორც ჩანს, მორატის მოსწყინდა თანაქალაქელის მდგმურობა და ახალი არენის მშენებლობაც ამად განიზრახა. ჯერჯერობით, მხოლოდ ის ითქვა, რომ სტადიონი ქალაქის გარეუბანში აშენდება და ტრიბუნების ტევადობა 65 000 იქნება. მშენებლობის დასრულების თარიღად 2014 წლის ივლისი დასახელდა, პროექტი კი 400 მილიონი ევრო დაჯდება. თუ როგორი იქნება "ნერაძურის" ახალი სახლი, ფოტომაკეტზე შეგიძლიათ იხილოთ.






### ფიორენტინა

ჯერ კიდევ 2008 წელს გადაწყვიტა **ანდრეა დელა ვალემ**, რომ "ფიორენტინასთვის" ახალი, ულტრათანამედროვე სტადიონი აეშენებინა. მას შემდეგ სამი წელი გავიდა და საქმე არ დაძრულა, თუმცა ფლორენციელი მილიონერი პირობას დებს, რომ 2014 წლამდე აუცილებლად გახსნის ახალ სტადიონს. "ვიოლას" პრეზიდენტმა მაკეტიც წარმოადგინა, რომელმაც საფეხბურთო საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. არენა 50 000 გულშემატკივარზე იქნება გათვლილი და აღიჭურვება ყველა იმ ტექნიკური საშუალებით, რომელიც თანამედროვე ნაგებობას სჭირდება.

მოძველებული "არტემიო ფრანკი" მართლაც საშინლად გამოიყურება და ფლორენციელებში ამ ინფორმაციამ დიდი სიხარული გამოიწვია. გულშემატკივრებს ძალიან დიდი სურვილი აქვთ, რომ ახალ სტადიონსაც არტემიო ფრანკის სახელი ეწოდოს, თუმცა ამ საკითხზე საუბრისგან დელა ვალე თავს იკავებს. არ არის გამორიცხული, სტადიონს რომელიმე კომპანიის სახელი დაერქვას და ამით, მშენებლობაზე გამოყოფილი თანხა მნიშვნელოვნად დაიზოგოს. კიდევ ერთი ნიუანსი, რომელზეც იტალიელი ჟურნალისტები ამახვილებენ ყურადღებას: "არტემიო ფრანკი" ქალაქში, მჭიდროდ დასახლებულ ადგილას მდებარეობს, სადაც ახალი სტადიონის მშენებლობისთვის საჭირო სივრცე არ არის. ესეც რომ არა, ულტრათანამედროვე ნაგებობა ანტიკური ქალაქის არქიტექტურაში ვერაფრით ჩაჯდება – ამიტომ, ახალი სტადიონი ქალაქის გარეუბანში აშენდება, თუმცა ადგილი ჯერ არ არის შერჩეული.

### ლაციო

„სტადიო დელე აკუილე" - ასე ერქმევა სტადიონს, სადაც „ლაციო" ჩაატარებს საშინაო თამაშებს. კლუბის პრეზიდენტის, **კლაუდიო ლოტიტოს** თქმით, მხოლოდ იმიტომ ვერ ყიდულობს ძვირად ღირებულ ფეხბურთელებს, რომ სულ მალე ახალი სტადიონის მშენებლობას დაიწყებს, რომელიც კლუბს 300-400 მილიონი ევრო დაუჯდება. არენის მაკეტი უკვე მზად არის, თუმცა ზომები და გაბარიტებია დასადგენი, რადგან ჯერ ვერ ჩამოყალიბებულან რამდენი ადამიანი უნდა დაიტიოს „ბიანკოჩელესტეს" ახალმა სახლმა. ამ საკითხთან დაკავშირებით, სტადიონის ოფიციალურ საიტზე გამოკითხვა მიმდინარეობს - კითხვა მარტივია: „რამდენი ადამიანი უნდა დაიტიოს „სტადიო დელე აკუილემ"? - ტიფოზთა 34.7%, ანუ უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ტრიბუნებმა 50 000 ადამიანი უნდა დაიტიოს; მეორე ადგილზე 80 000-იანი ვარიანტია და ამ ვერსიას 24.2% უჭერს მხარს; 23.4% თვლის, რომ ტევადობა 60 000 ადამიანზე უნდა იყოს გათვლილი; 11.3%-ს მიაჩნია, რომ 40 000 ინდივიდუალური სკამი სრულიად საკმარისი იქნება; 4%-ის აზრით გულშემატკივრებს 30 000 ადგილიც ეყოფათ, 2.4%-ისთვის კი ეგეც ზედმეტია. გამოკითხვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და სავარაუდოდ, ან 50 000-იანი ვარიანტზე შეჩერდება არჩევანი, ან 60 000-იანზე. მართალია, 80 000-საც საკმაოდ ბევრი ხმა აქვს, მაგრამ რომც გაიმარჯვოს ამ ვერსიამ, ალბათ კლუბის მესვეურთა მხრიდან დაიბლოკება. მშენებლობის დასრულების ვადები მას შემდეგ დაზუსტდება, როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდებიან რამდენი ინდივიდუალური სკამი უნდა დამონტაჟდეს და შესაბამისად, რამხელა იქნება სტადიონი.

### ნაპოლი

„ნაპოლის" ახალ სტადიონს ძველი სახელი: „სან პაოლო" ერქმევა და მისი მშენებლობა სავარაუდოდ 2015 წელს დასრულდება. ეს პროექტი ჯერ კიდევ მაშინ შეიმუშავეს, როდესაც იტალია ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ უეფამ არჩევანი საფრანგეთზე შეაჩერა, პროექტი დაგეგმილ დროში განხორციელდება და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაქსიმუმ ოთხ წელიწადში „ნაპოლის" ახალი სახლი ექნება. მაქსიმუმ კი იმიტომ, რომ შესაძლოა, მშენებლობა კიდევ უფრო ადრე, 2014 წელს დასრულდეს. რადგან ევროფორუმის მასპინძლობის პატივი იტალიას არ ერგო, რაც უფრო ადრე გაიხსნება ახალი „სან პაოლო", მით უკეთესი გუნდისთვის და მთლიანად, ქალაქისთვის. მაკეტი უკვე განხილული და დამტკიცებულია - ვიზუალური მხარე საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ გულშემატკივრებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა აქვთ, რასაც სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით აქტიურად აპროტესტებენ - არენა 58 000 ადამიანზე იქნება გათვლილი, რაც ნეაპოლელებს ეცოტავებათ. უმეტესობის აზრია, რომ ტრიბუნებმა მინიმუმ 70 000 გულშემატკივარი დაიტიოს. პრინციპში, მათი მოთხოვნა გასაგებია, რადგან „ნაპოლის" არასდროს აკლდა ქომაგობა - მაგალითად, მიმდინარე სეზონში გუნდის საშინაო თამაშებს საშუალოდ 44 000 გულშემატკივარი ესწრება და ეს მაშინ, როდესაც ტრიბუნებზე ხეირიანი სკამებიც კი არ არის დამონტაჟებული. მიუხედავად ამისა, ძნელად წარმოსადგენია, რომ უკვე დამტკიცებულ პროექტში ცვლილებები შევიდეს.

### უდინეზე, კალიარი, პალერმო...

ცალკე თემაა სტადიონების რეკონსტრუქციის საკითხი და ამ მხრივაც სერიოზული ძვრებია. გადაწყვეტილი ამბავია, რომ 2012 წელს „სტადიო ფრიულის" საფუძვლიანი რემონტი ჩაუტარდება და სრულიად სხვა იერს მიიღებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეკონსტრუქცია 25 მილიონი ევრო დაჯდება. მცირედით შემცირდება ადგილების რაოდენობა - ამჟამად „ფრიული" 31 000 ქომაგზეა გათვლილი, რეკონსტრუქციის შემდეგ კი რაოდენობა 25 000-მდე შემცირდება. ეს ბუნებრივიც არის, რადგან „უდინეზეს" საშინაო არენაზე ინდივიდუალური სკამებია დასამონტაჟებელი!

იტალიის კუნძულებიდან სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში სამი გუნდი ასპარეზობს: „პალერმო", „კატანია" და „კალიარი". „კატანიაზე" ვერაფერს გეტყვით, აი დანარჩენ ორ გუნდს კი აუცილებლად ექნება ახალი სტადიონი. სარდინიული კლუბის პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** გვპირდება, რომ ორ წელიწადში „კალიარის" ულტრათანამედროვე სტადიონი ექნება, რომელიც 23 000 ტიფოზს დაიტევს. სარდინიელთა ამჟამინდელი სტადიონი „სანტა ელია" მნახველთა გაოცებას იწვევს, რადგან იგი სრულიად უპრეცედენტოა მთელს მსოფლიოში - სტადიონის ტრიბუნები იმდენად შორს იყო მოედნიდან, რომ კლუბის მესვეურები იძულებულნი გახდნენ ტრიბუნებს და მინდორს შორის ახალი ტრიბუნები ჩაედგათ. წარმოიდგინეთ, როგორი შესახედავია სტადიონი, რომელსაც ტრიბუნის წინ კიდევ ერთი ტრიბუნა აქვს მიშენებული და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის მინდორი. მოკლედ, „კალიარი" არენის შეცვლას საჭიროებს და როგორც ჩელინო აცხადებს, ამ საქმეს ორი წელი დასჭირდება. პირობა დადეს სიცილიელებმაც და განაცხადეს, რომ ახალი სტადიონი „პალერმოსაც" ექნება. ჯერჯერობით, არც თარიღები გაცხადეს და არც მაკეტი წარმოადგინეს, მაგრამ კლუბის პრეზიდენტის სიტყვას ალბათ დაეჯერება - ალბათ კი იმიტომ, რომ **მაურიციო ძამპარინიზე** გვაქვს საუბარი. მოკლედ, კალჩოში დიდი ძვრებია - იტალიელებმა სწორი რეაგირება მოახდინეს არსებულ კრიზისზე. შესაძლოა დაგვიანებით, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს".

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩები

# შალკე მეორედ, ტოტენჰემი პირველად

**1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ტოტენჰემი (ინგლისი) 0:0 მილანი (იტალია)**

**პირველი მატჩი 1:0**

9 მარტი. უაიტ ჰარტ ლეინი. 36 000 მაყურებელი

**ტოტენჰემი (4-4-1-1):** გომეში - ჩორლუკა, გალასი, დოუსონი, ასუ-ეკოტო - ლენონი, სანდრო, მოდრიჩი, პიენაარი (71. ჯენასი) - ვან დერ ვაარტი (66. ბეილი) – კრაუჩი (83. პავლიუჩენკო).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, იანკულოვსკი (70. ანტონინი) - ზეედორფი, კ.-პ. ბოატენგი (76. მერკელი), ფლამინი (87. შტრასერი), - რობინიო - პატო, იბრაჰიმოვიჩი.

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: მილანი

პირველი კუთხური: მილანი

პირველი ჯარიმა: მილანი

პირველი გაფრთხილება: მილანი

| | | |
|---|---|---|
| 7 (1) | დარტყმა | 16 (3) |
| 16 | ჯარიმა | 16 |
| 4 | კუთხური | 5 |
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 38% | ბურთის ფლობა | 62% |

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)



ტოტენჰემი ზეიმობს

**1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**შალკე (გერმანია) 3:1 ვალენსია (ესპანეთი)**

**პირველი მატჩი 1:1**

9 მარტი. გელზენკირხენი. ფელტინს არენა. 51 000 მაყურებელი

**შალკე (4-2-2-1-1):** ნოიერი – უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ესკუდერო – მატიპი (60. პაპადოპულოსი), კლუგე (81. შარპეი) – ფარფანი, ხურადო (76. დრაქსლერი) – რაული – გავრანოვიჩი.

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა – ბრუნო, დავიდ ნავარო, რიკარდო კოშტა, მატიო – ბანეგა (71. ტინო კოსტა), ტოპალი – ხოაკინი, მატა, პაბლო ერნანდესი (64. სოლდადო) – ადურისი (74. ჟონასი).

**გოლები:** 0:1 რიკარდო კოშტა (17), 1:1 ფარფანი (40), 2:1 გავრანოვიჩი (52), 3:1 ფარფანი (94)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ვალენსია

პირველი კუთხური: შალკე

პირველი ჯარიმა: ვალენსია

პირველი გაფრთხილება: შალკე

| | | |
|---|---|---|
| 13 (6) | დარტყმა | 12 (4) |
| 16 | ჯარიმა | 20 |
| 7 | კუთხური | 5 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 41% | ბურთის ფლობა | 59% |

**არბიტრი:** იონას ერიკსონი (შვედეთი)

UEFA CHAMPIONS LEAGUE

უცნაური გუნდია „შალკე“ - ბუნდესლიგაში საშინლად თამაშობს და 25 ტურის შემდეგ მე-10 ადგილზეა, ჩემპიონთა ლიგაში კი მეოთხედფინალში გავიდა. კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ მიუხედავად ასეთი წარმატებისა (გელზენკირხენულმა კლუბმა არსებობის ისტორიაში მეორედ შეძლო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა), გუშინ, „ბილდი“ მატჩის შემდეგაც წერდა, სეზონის ბოლოს ფელიქს მაგათს გაუშვებენო. არადა, როგორც ჩანს, „დესპოტმა ფელიქსმა“ მართლა ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთა აქცენტი, რადგან „შალკე“ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში და „შალკე“ ბუნდესლიგაში წელს ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ცნებებია. ფაქტია ისიც, რომ ლევან ყენიას გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლით 37 მილიონი ევრო იშოვა. არადა, მატჩის დასაწყისი გელზენკირხენულ კლუბს კარგს არაფერს უქადდა, რადგან მე-17 წუთზე რიკარდო კოშტამ „ვალენსია“ დააწინაურა. ეს მას მერე მოხდა, რაც ვალენსიელთა შეტევის მარცხენა ფლანგზე ტოპალმა მასხრად აიგდო ჯოელ მატიპი და იდეალურად ჩაუწოდა კოშტას, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ „შალკეს“ მცველებისგან მიტოვებულს, ბურთისთვის თავი დაეხვედრებინა - 0:1. მაგრამ მაგათის ბიჭებმა მედგრად იბრძოლეს და თამაში თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს: ჯერ ჯეფერსონ ფარფანმა გაათანაბრა, მერე მარიო გავრანოვიჩმა მასპინძლები წინ გაიყვანა, ბოლოს კი, ალვირახსნილ შეტევებზე გადასულ ვალენსიელებს კონტრშეტევა გამოეპარათ (ამას კონტრშეტევაც აღარ ერქვა) და მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე ფარფანმა საბოლოო წერტილი დასვა - 3:1 და „შალკე“ მეოთხედფინალშია. წესით, მეორე მატჩზე უფრო ვრცლად უნდა გვესაუბრა, მაგრამ სალაპარაკო ბევრი არაფერია - „ტოტენჰემმა“ თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა, „მილანთან“ 0:0 დამსახურებულად შეინარჩუნა და იმის გამო, რომ „სან სიროზე“ 1:0 ჰქონდა მოგებული, მეოთხედფინალში გავიდა. უნდა ითქვას, რომ „მილანი“ უფრო აქტიური იყო, ვიდრე „ტოტენჰემი“ და მასიმილიანო ალეგრის გუნდმა გაცილებით უკეთესად ითამაშა, ვიდრე პირველ შეხვედრაში, მაგრამ არა იმდენად უკეთესად, რომ „უაით ჰართ ლეინზე“ „ტოტენჰემი“ დაემარცხებინა. მილანელები მეტოქეს კი სჯობდნენ, მაგრამ საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდნენ. ამრიგად, „ტოტენჰემი“ მეოთხედფინალში აბსოლუტურად დამსახურებულად გავიდა (პირველად, არსებობის ისტორიაში), „მილანი“ კი ზედიზედ მესამედ გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას მერვედფინალში.

ბუნდესლიგა



„ბილდის“ ინფორმაციით, „შალკეს“ ბოსები ფელიქს მაგათს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდხანს აღარ გააჩერებენ

# დატრიალდა კარუსელი

## ვან გაალი წავა, ფეე წავა, მაგათიც წავაო... შალკეში შეიძლება დუტი დაინიშნოს

როგორც კი „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ზაფხულში ლუის ვან გაალს გაათავისუფლებენ, ბუნდესლიგაში სერიოზული სამწვრთნელო დისკუსიები დაიწყო. ორშაბათს ვან გაალის წასვლა გაცხადდა, სამშაბათს „ჰამბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა არმინ ფეემ თქვა, რომ სეზონის ბოლოს ჩრდილოგერმანულ კლუბს დატოვებს, გუშინ კი „ბილდის“ თაოსნობით, თითქმის ყველა გერმანულმა გამოცემამ დაწერა, რომ ამ სეზონის დასრულების შემდეგ „შალკედან“ ფელიქს მაგათს გაათავისუფლებენ... აი, ამას კი ნამდვილად არავინ ელოდა და ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ შესაძლოა, მაგათი „შალკეში“ უფრო ადრეც მოხსნან. აღსანიშნავია, რომ სხვა გერმანულ კლუბებშიც სამწვრთნელო ქაოსებია. მივყვეთ თანმიმდევრობით:

### შალკე: დუტი ან რეჰაგელი დუტამდე?

„ბილდის“ ინფორმაციით, გადაწყვეტილია, რომ მაგათს „შალკეს“ დაატოვებინებენ - სეზონის ბოლოს, ან უფრო ადრე. „ბილდისვე“ ცნობით, „დესპოტი ფელიქსის“ შემცვლელად, რომელიც გელზენკირხენულ კლუბში 2009 წლის ზაფხულიდან მუშაობს, „ფრაიბურგის“ ამჟამინდელი, ძალიან წარმატებული სპეციალისტი **რობინ დუტი** მიიჩნევა. ოღონდ, თუ დუტი „შალკეს“ მხოლოდ ზაფხულიდან ჩაიბარებს და გელზენკირხენში მაგათი მანამდე დაიფრინეს, ასეთ შემთხვევაში „შალკეს“ შეფები გუნდს სეზონის ბოლომდე **ოტო რეჰაგელს** ჩააბარებენ. მაგათმა გუშინ, „ვალენსიასთან“ შეხვედრამდე თქვა, რომ არაფერი იცის და მისთვის არავის უთქვამს, რომ ზაფხულში წასვლა მოუწევს.

### ბაიერნი: ჯერ ჰაინკესი, მერე ლიოვი?

ზაფხულში ვან გაალის წასვლა ოფიციალურად დადასტურებულია. რეკორდმაისტერის ბოსების მიერ შემუშავებული გეგმის შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით: **ული ჰიონესს** და **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** უნდათ, რომ გუნდი ერთი წლით **იუპ ჰაინკესს** ჩააბარონ, 2012 წელს კი დამრიგებლად ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** დანიშნონ. საინტერესო ის არის, რომ თუ ასე მოხდა, მწვრთნელის პრობლემა „ლევერკუზენსაც“ შეექმნება - ჰაინკესი ხომ „ფარმაცევტების“ დამრიგებელია.

### ჰამბურგი: მაგათი ბრუნდება?

„ბილდის“ ინფორმაციით, „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებმა სერიოზულად დაიწყეს იმაზე ფიქრი, რომ გუნდი ზაფხულში ფელიქს მაგათს ჩააბარონ - თუკი მას „შალკედან“ გაუშვებენ. შეგახსენებთ, რომ მაგათი ძველი ჰამბურგელია.

### ვოლფსბურგი: ლიტბარსკი მხოლოდ ზაფხულამდე

გათავისუფლებული **სტივ მაკლარენი** დროებით **პიერ ლიტბარსკიმ** შეცვალა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ „მგლების“ ხელმძღვანელებმა „ლიტის“ გუნდი დიდი ხნით ჩააბარონ. მეტიც, მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** უკვე თქვა, რომ ლიტბარსკი მხოლოდ ზაფხულამდე იმუშავებს და ახალი სერიოზული მწვრთნელის ძებნასაც შეუდგა.

### სხვადასხვა

ფრანკფურტის „აინტრახტს“ ბუნდესლიგის მეორე წრეში, თამაშის მოგებას ვინ ჩივის, ერთი გოლიც კი არ გაუტანია. შესაბამისად, ჩვენი გერმანელი კოლეგების ვარაუდით, დიდი შანსია, რომ ფრანკფურტული კლუბის ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** ძალიან მალე დაიფრინონ. სერიოზულ მწვრთნელს ეძებს „ჰოფენჰაიმიც“ - მას მერე, რაც გათავისუფლებული **რალფ რანგნიკი** დროებითმა მწვრთნელმა **მარკო პეცაიუოლიმ** შეცვალა, „სოფლელებს“ მაინც არ მისდით საქმეები კარგად.

რობინ დუტისთვის მარტო „შალკე“ როდი იბრძვის - მისი გადაბირება „ლევერკუზენს“ და „შტუტგარტსაც“ სურთ. ფაქტი ერთია: ზაფხულში ფრაიბურგის შეფებსაც ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევთ. ვაგლახ, **ფოლკერ ფინკე** „კიოლნის“ სპორტული დირექტორია...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცამ**

**● პროფესიული კრივი**


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ავთანდილ ხურციძე თბილისში ჩამოვიდა

პროფესიონალი ქართველი მოკრივე - **ავთანდილ ხურციძე** უკრაინიდან 9 მარტს კიევი-თბილისის რეისით 17:30 წუთზე საქართველოში ჩამოფრინდა და აეროპორტში დამხვედრ ჟურნალისტებს გაესაუბრა. ხურციძესთან ერთად ჩამოვიდა მისი მთავარი მწვრთნელი **ანდრეი სინეპოპოვი** და სხვა მომსახურე პერსონალი.

შეგახსენებთ, რომ 13 მარტს ავთანდილ ხურციძე სპორტის სასახლეში საერთაშორისო კრივის ორგანიზაცია IBO-ს ვერსიით, საშუალო წონით კატეგორიში მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებელ ორთაბრძოლას პოლონელ **მარიუშ სენდროვსკისთან** გამართავს. შეხვედრის ორგანიზატორები უკრანიული საპრომოუტერო კომპანია - Elite Boxing Promotion და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო არიან.

13 მარტს სპორტის სასახლეში ორთაბრძოლები 20:00 საათზე დაიწყება და ჯამში სულ 6 დაპირისპირება შედგება. მთავარი ხურციძე-სენდროვსკის დაპირისპირება კი 22:00 საათზე დაიწყება და შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცემა.

ავთანდილ ხურციძე: *„თბილისში გაორმაგებული პასუხისმგებლობის გრძნობით ჩამოვედი, რადგან ჩხუბი ქართველი გულშემატკივრის თვალწინ მომიწევს. მეტოქე შესწავლილი მყავს, როგორც ყველა სხვა კონკურენტი, ისიც ჩემზე მაღალია, გრძელი ხელები აქვს და ტექნიკურია, თუმცა მჯერა, რომ გავიმარჯვებ. ამ ორთაბრძოლისთვის სამი თვეა ვემზადები, კარგ ფორმაში ვარ და წარმატების იმედიც მაქვს“.*

ანდრეი სინეპოპოვი: *„ავთო მზადაა, ბრძოლის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად. ქართველი გულშემატკივრების თვალწინ, საჩემპიონო ქამარი აუცილებლად უნდა მოიპოვოს. მას აქვს არანორმალურად შემტევი პოტენციალი. შეუძლია, მეტოქე მუდმივად საშინელი ზეწოლის ქვეშ ჰყავდეს. მაგრამ თუ რინგზე აგრესიულია, რინგს მიღმა აბსოლუტურად მშვიდი და კეთილი ადამიანი ხდება. ძალიან ძლიერი სპორტსმენია და ამას კვირას კიდევ ერთხელ დავინახავთ“.*

**სამინისტროს პრესსამსახური**

**● ჩოგბურთი**

# წყვილთა ფინალი გარანტირებულია



ამერიკის ქალაქ მაკალენში სტარტი აიღო 15-ათასიანმა ტურნირმა, რომელსაც პირველივე წრეში გამოეთხოვა ჩვენი პირველი ჩოგანი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (690). 19 წლის ბასილაშვილი იტალიელ **ერიკ კრეპალდისთან** (671) დამარცხდა - 3:6, 2:6. ნიკა წყვილთა ბადეში ბულგარელ **ბორის ბაკალოვთან** (810) ერთად მე-4 ნომრად არის განთესილი და გათამაშებაში მეოთხედფინალიდან ჩაერთვება.

დიჟონის საერთაშორისო ტურნირს (საფრანგეთი, 10 ათასი დოლარი) პირველივე წრეში გამოეთიშა მე-6 ნომრად განთესილი **თათია მიქაძე** (285), რომელმაც საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ შვეიცარიელ **მირიამ კასანოვასთან** (802) წააგო - 7:5, 2:6, 1:6. სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელი ერთ დროს მსოფლიოს 45-ე ჩოგანი იყო, ოღონდ, ძალიან დიდი ხნის წინ - 2003 წელს.

ჩვენები დიჟონში წყვილებში ყოჩაღობენ - პირველ ნომრად განთესილებმა, **სოფიო ქვაცაბაიამ** (415) და ხორვატმა **მარია აბრამოვიჩმა** (628) უკრაინელ **ლატიშევასა** და ამერიკელ **ვრანოვ-ბრაუნს** „მშრალად“ მოუგეს - 6:0, 6:0. ნახევარფინალში ისინი **ანა ჯიქიასა** (1155) და **თათია მიქაძის** მე-4 ნომრად განთესილ წყვილს შეხვდებიან, რომელთაც თავის მხრივ უზბეკი **აბდურაიმოვა** და ბრაზილიელი **მარტინს სესატო** დაამარცხეს - 6:1, 6:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**● სამთო თხილამურობა**

# ბაკურიანის შემდეგ

მოწინავე ქართველი სამთო მოთხილამურეები ბაკურიანის ეტაპის შემდეგ, გარკვეული პაუზის მერე ისევ ჩაერთვნენ საერთაშორისო ტურნირებში. იტალიურ პასო ბროკონში ფის-ის ეგიდით გიგანტური სლალომი გაიმართა, სადაც ორმა ჩვენებურმა იასპარეზა, თუმცა წარუმატებლად - **ალექსი ბენიაიძემ** 81-ე ადგილი დაიკავა, ხოლო **დიმიტრი გედევანიშვილმა** - 117-ე (სულ ორივე ცდა 122-მა მოთხილამურემ ჩაამთავრა).

მეორე დღეს პასო ბროკონში კიდევ ერთი გიგანტური სლალომი გაიმართა, აქ ბენიაიძემ უკეთ ისრიალა და ორი ცდის ჯამში 51-ე ადგილზე გავიდა, გედევანიშვილმა კი ამჯერად ფინიშს ვერ უწია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**● 30 წლის წინათ...**



1981 წელი. ნორჩ კალათბურთელთა გუნდი „მართვე“
ჯემალ კასრაძის ფოტო

**● მძლეოსნობა**

# ელიტა გვერდზე დარჩა თუმცა...

## ენდრიკ ზილბერშტეინმა ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე საქართველოს რეკორდი გაიმეორა



ამ დღეებში პარიზში გამართულ მძლეოსნობის ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე დახურულ დარბაზში ქართველი სპორტსმენებიც გამოვიდნენ.

**ენდრიკ ზილბერშტეინმა** 400 მეტრი 48.07 წამში გაირბინა და ამ შედეგით თავისივე დამყარებული საქართველოს რეკორდი გაიმეორა, ევროპის ჩემპიონატებზე კი საქართველოს საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ჯამში ზილბერშტეინმა 26 მონაწილეს შორის მე-18 ადგილი დაიკავა და ფინალურ ეტაპზე გასვლა ვერ მოახერხა. ამ დისციპლინაში ევროპის ჩემპიონი ფრანგი **ლესლი ჯონი** გახდა, რომელმაც ფინალში 400 მეტრი 45.54 წამში დაფარა.

მეორე ჩვენმა მძლეოსანმა - **ბენიკ აბრამიანმა** ბირთვის კვრაში მოსინჯა ძალები და 23 გამომსვლელს შორის 21-ე ადგილი დაიკავა. აბრამიანმა სამი ცდიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა და ბირთვი 17.20 მეტრზე ჰკრა. ამ დისციპლინაში ევროპის ჩემპიონი გერმანელი **რალფ ბარტელსი** გახდა, ვინც ბირთვი 21.16 მეტრზე სტყორცნა.

**სამინისტროს პრესსამსახური**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

**ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!**

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტო თანაუგრძნობს ამავე სააგენტოს ვიცე-თავმჯდომარეს ბატონ თამაზ თევზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# REDEAR GEORGIA იტალიის ოლ სტარში

## ჩატენის და ითამაშებს კიდეც!

შაბათის ნომერში გაცნობეთ, რომ **ვიქტორ სანიკიძე** იტალიის „ვარსკვლავთა მატჩზე" ჩატენვების კონკურსში მონაწილეობისთვის მიიწვიეს. გუშინ აპენინებიდან კიდევ უფრო სასიამოვნო ცნობა მოვიდა - ვიქტორი ვარსკვლავთა მატჩში ლეგიონერთა ნაკრებში ითამაშებს.

ai, რა წერია იტალიის ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე: „13 მარტს, „ოლ სტარში" ლეგიონერები იტალიელებს დაუპირისპირდებიან. პირველთა მწვრთნელმა **დენ პეტერსონმა** შემადგენლობა გასულ კვირას შეარჩია, მაგრამ ტრავმების გამო სიიდან ორი კალათბურთელის ამოწერამ მოუწია - **დევიდ ჰოუკინსის** (მილანი) და **შაროდ ფორდის** (მონტეგრანარო). მათ ნაცვლად მწვრთნელმა **ედგარ სოსა** (ბიელა) და ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი) მიიწვია.

ლეგიონერთა ნაკრებმა ასეთი სახე მიიღო: **ჯეიმს უაითი** (სისარი), **ტრევის დიენერი** (სისარი), **ოტელო ჰანტერი** (სისარი), **ნიკოლა მარაცინო** (კანტუ), **ჯონს ჯუმეინი** (კასერტა), **იბრაჰიმ ჯაბერი** (მილანი), **ედგარ სოსა** (ბიელა), **რიმანტას კაუკენასი** (მონტეპასკი), **ერლ როულანდი** (კრემონა), **ომარ ტომასი** (აველინო), **ვლადიმირ დაშიჩი** (რომა), **ვიქტორ სანიკიძე** (ვირტუსი), **დინერ დრეიკი** (ტერამო).

იტალიელთა მწვრთნელის, **სიმონე პიანიჯანის** განკარგულებაში არიან: **პიეტრო არადორი, მისელე ანტონუტი, დანიელე კავალიერო, ანდრეა ჩინჩარინი, ანდრეა კროსარიოლი, მარკო კუსინი, ლორენცო დერკოლე, ლუიჯი დატომე, ალესანდრო ჯენტილე, დანიელ ჰაკეტი, სტეფანო მანჩინელი, ნიკოლო მელი, რიკარდო მორასკინი, მარკო მორდენტე, ანდრეა რენცი, ჯეფრი ვიჯიანო."**

ოლ სტარი 13 მარტს თბილისის დროით 20:15 წუთზე დაიწყება. შესვენებისას გაიმართება ჩატენვების კონკურსი, რომელშიც სანიკიძის მეტოქეები იქნებიან ჯეფ ვიჯიანო (ბიელა), ერლ როულანდი (კრემონა) და ჯეიმს უაითი (სისარი). ფავორიტად უაითი მიიჩნევა, რომელიც თავდაჯერებულად საუბრობს:

*- მოვიგებ. ვფიქრობ, არ გამიჭირდება მანქანაზე ისევე გადაფრენა, როგორც NBA-ს „ოლ სტარში" ბლეიქ გრიფინმა გააკეთა.*

იტალიელი მიმომხილველები უაითის მთავარ კონკურენტად ვიქტორ სანიკიძეს მიიჩნევენ. მათ ისიც გამოიკვლიეს, რომ ვიქტორი საჯარიმოს ხაზიდან აპირებს ნახტომში ჩატენვას.

### სანიკიძე და გორდიჩი - ტალანტები ნილბებში

გამოცემა „კორიერე დელო სპორტმა" იტალიურ ვარსკვლავთა მატჩს სტატიების ციკლი მიუძღვნა. ორში ვიქტორ სანიკიძე მოხვდა, თანაც მთავარ როლებში. „სანიკიძე და გორდიჩი, ტალანტები ნილბებში", - ასე ჰქვია ერთ-ერთ პუბლიკაციას. ქვემოთ ვკითხულობთ: „ქართველს ერთი შეხედვით სევდიანი სახე აქვს, ბოსნიელი (გორდიჩი) კი ბავშვის სახით იყურება. თუმცა, ეს ის კალათბურთელები არიან, რომლებიც სეზონსაც ცვლიან და სეზონის მიხედვითაც იცვლებიან.

22 წლის ნემანია გორდიჩი „რომაში" თითქოს ყველაზე გამოცდილი იყოს, თავდაჯერებულად მოქმედებს და ისე ესვრის, როგორც გამოცდილ სნაიპერებს სჩვევიათ.

„ვირტუსის" ფორვარდმა ვიქტორ სანიკიძემ, სეზონი ენერგიულად დაიწყო, მაგრამ მუქი ხაზიც ჰქონდა, რაც ტრავმებით იყო გამოწვეული. ქართველი ბოლონიელთა თამაშს ასწრაფებს და ფეთქებადობას მატებს. იგი „იძულებულია" ვარსკვლავის როლი ითამაშოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მის გუნდს წარმატების შანსი არ ექნება. სანიკიძე ხსნის, აგდებს, ტენის, პერიმეტრიდან სიზუსტით გამოირჩევა. ბევრს ეეჭვებოდა, რომ „ვირტუსი" იტალიის ჩემპიონატში ოთხეულამდე ავიდოდა, მაგრამ სადღეისოდ ბოლონიელები სწორედ მეოთხეზე არიან, რაც Black V-ს დამსახურებაა."

**ვიქტორ სანიკიძე**

**დაიბადა:** 01.04.1986
**სიმაღლე:** 203 სმ.
**წონა:** 85 კგ.

**კარიერა**

2002-03 გლობ კოლეჯი (აშშ)/აკადემია (თბილისი)
2003-06 დიჟონი (საფრანგეთი)
2006-07 ესტუდიანტესი (ესპანეთი)
2008 დინამო (თბილისი)
2008-09 ტარტუ (ესტონეთი)
2009-11 ვირტუსი (იტალია)
2004 წლის NBA-ს დრაფტზე „ატლანტამ" აიყვანა და „სან ანტონიოს" დაუთმო.

### NBA-ზე მეოცნებე მფრინავი კაცი

„კორიერე დელო სპორტში" ვიქტორზე ცალკე სტატიაცაა, თანაც შედარებით მოზრდილი. იტალიური პუბლიკაციის სათაური ამ ქვეთავს დავარქვით.

„ბოლო ხუთ მატჩში მან 72 ქულა ჩააგდო და 47 მოხსნა მიითვალა. მეტსაც გეტყვით: 22-დან 18 ორქულიანი და 14-დან 8 სამქულიანი ჩააგდო. ვიქტორ სანიკიძეს რომ შეხედოთ, დაღლილად მოგეჩვენებათ, მაგრამ ეს თქვენც მოგატყუებთ და მეტოქეებსაც - საოცარი ენერგია აქვს და მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესოა. სწორედ მისი „ბრალია", რომ „ვირტუსმა" ბოლო 5-დან 4 მატჩი მოიგო. სანიკიძე განსაკუთრებით მეოთხე პერიოდებში უმატებს.

მან პირველ წრეში იდაყვის და მუხლის ტრავმების გამო ერთი თვე გამოტოვა, დაბრუნდა და აფეთქდა! თუ სათამაშო დროს მოხსნებთან შევაფარდებთ, სანიკიძე სერია A-ში საუკეთესოა (6.8 მოხსნა 20.1 წუთში). „ვირტუსის" მწვრთნელი, **ლარდო ლინო** მიხვდა, რომ ვიქტორის გარეშე თამაში ძნელია და ბოლო ორ მატჩში 80 შესაძლებლიდან 63 წუთი ათამაშა.

ლინო სანიკიძეს ურჩევს ბურთთან ეძინოს. მართალიცაა, მაგრამ არც ისე დაეწუნება ბურთის ფლობა, ენერგიულობა და ათლეტურობა.

იგი კვირას იტალიის „ოლ სტარში" **ჯულიუს ირვინგის** მსგავსად საჯარიმოს ხაზიდან ჩატენვას ეცდება.

სანიკიძეს დიდი მომავალი და საინტერესო წარსული აქვს: 20 წლისა ესპანურ „ესტუდიანტესში" მოხვდა, თუმცა მადრიდში კარიერა სათანადოდ ვერ ააწყო. მას იტალიაში გადასვლის შანსი ადრეც ჰქონდა, ევროპის 20 წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევზე წარმატებული თამაშის შემდეგ მეორე ლიგის „კასტელეტო" ეპატიჟებოდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ამას მოჰყვა მუხლის ტრავმა და საქართველოში რამდენიმეთვიანი რეაბილიტაციის შემდეგ ვიქტორმა ესტონურ „ტარტუ როკს" მიაშურა, სადაც თანამემამულე **გიორგი ცინცაძის** გვერდით თამაშობდა.

„კასტელეტოსთან" „ფლირტის" შემდეგ იტალიაში გადასვლის შანსი 2009 წელს გაუჩნდა - სერიოზული შეთავაზება მიიღო „ბიელადან". ამ დროს გამოიკვეთა „ვეფ რიგას" ვარიანტიც და კონტრაქტის გაფორმებასაც არაფერი უკლდა, როცა საქმეში „ვირტუსი" ჩაერია და სამწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა...

ბოლონიელებს სანიკიძე ალმასვლაში, „ვირტუსი" კი ვიქტორს პროფესიულ ზრდაში ეხმარება. მას ხომ სექტემბერში სერიოზული ამოცანა აქვს - საქართველოს ნაკრები ევრობასკეტზე უნდა წარადგინოს.

*- ჩემს სამშობლოში კალათბურთი ძალიან უყვართ, ნაკრების თამაშზე 11 ათასი გულშემატკივარი დადის და დარბაზში საოცარი ატმოსფეროა. ყველა ბედნიერია, რომ ოცნება ავიხდინეთ და ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდით, - დასძენს ვიქტორ სანიკიძე."*




ქართველი NBA-ში

# ზაზამ გასოლს 10 მოუხსნა




6 მარტს მწვრთნელმა **ლარი დრიუმ ზაზა ფაჩულია** 1 წუთი ათამაშა. სწორედ იმ მატჩის მიმოხილვაში გამოვთქვით იმედი, რომ „ატლანტას" თავკაცი მალე მიხვდებოდა ფაჩულიას ფასს და დროსაც გაუზრდიდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა: „ლეიკერსთან" მატჩში ლარი დრიუმ ფაჩულიას ესპანელი **პაუ გასოლი** ჩააბარა. ვერ ვიტყვით, რომ ზაზამ პაუ ბოლომდე შეაჩერა, მაგრამ მის წინააღმდეგ კარგად ნამდვილად ითამაშა. და, რაც მთავარია, ვერც იმას ვიტყვით, რომ გასოლმა ზაზა შეაჩერა. შევადაროთ ამ ორი კალათბურთელის სტატისტიკა: გასოლმა 36 წუთში 14 ქულა, 11 მოხსნა და 5 პასი მიითვალა, ხოლო ფაჩულიამ 22 წუთში 8 ქულა, 10 მოხსნა და 2 პასი.

საყურადღებოა ისიც, რომ მწვრთნელმა ტანმაღალ „ლეიკერსთან" შეხვედრაში ნომინალურ ცენტრთაგან მხოლოდ ფაჩულია ათამაშა: **არმსტრონგი, კოლინზი** და **პაუელი** მოედანზე არ შეუყვანია. მოდით, იმედი დავიტოვოთ, რომ ლარი დრიუ საბოლოოდ მიხვდა - ზაზა ფაჩულიას გარეშე წინა ხაზში ძალიან გაუჭირდება და ქართველს საპლეიოფოდ ამზადებს. ჩვენი ვარაუდი რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მომდევნო მატჩებში გამოჩნდება. „ატლანტას" უახლოესი შეხვედრა 11 მარტს ჩიკაგოში „ბულზთან" იგეგმება.

„ატლანტა"-„ლეიკერსის" მატჩის მსვლელობაზე არაფერი გვითქვამს. იოლი მისახვედრია, რომ ჩემპიონობის მაძიებელი ლოს ანჯელესელები ძიების პროცესში მყოფ ატლანტელებს მოუგებდნენ. საფინალო ანგარიშს და ზაზას მონაგარს ქვემოთ იხილავთ.

**ატლანტა-ლეიკერსი 87:101**

ზაზა ფაჩულია: 22:10 წუთი, 8 ქულა (8-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 10 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი.

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 02:21 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:37 | პასი: 1 (უილკინსი 2ქ, 21:26) |
| 01:07 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 00:40 | ორქულიანი: 2ქ (23:26) |
| 00:18 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 09:23 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:37 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 06:54 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 06:54 | ორქულიანი: 4ქ (33:40) |
| 06:21 | უილიამსმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 02:10 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:42 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:24 | ორქულიანი: 6ქ (67:81) |
| 09:35 | საჯარიმოები: 2/2 (8ქ, 69:83) |
| 09:10 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:34 | ჩაჭრა: 1 (ფიშერს ჩაუჭრა) |
| 06:31 | პასი: 2 (სმიტი 2ქ, 79:90) |
| 05:44 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 05:12 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 03:57 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 |
| 03:02 | მოხსნა: შეტ-4, დაც-4 |
| 03:02 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 03:01 | მოხსნა: შეტ-5, დაც-4 |
| 03:01 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:59 | მოხსნა: შეტ-6, დაც-4 |
| 01:02 | ფოლი: 1 |

ლეგიონერი

# ტტუ ტარტუში



ესტონეთის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვების იმედად გავიდა მოედანზე **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკი". მისი მეტოქე იყო ტალინის ტტუ, რომელთანაც მასპინძლებს არაერთი მატჩი ჰქონდათ მოგებული.

მოწინააღმდეგის შეუფასებლობამ „როკზე" უარყოფითად იმოქმედა და მესამე პერიოდის შემდეგ ტტუ 63:52 დაწინაურდა. ცინცაძის თანაგუნდელები გონს მეოთხე პერიოდში მოეგნენ, 19:9 იმარჯვეს, მაგრამ ეს საბოლოო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ტტუ-მ „როკი" 72:71 დაამარცხა.

ცინცაძე შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, 15 წუთში 3 ქულა (4-დან 1 სამქულიანი) და 2-2 მოხსნა პასი მიითვალა. 16-16 ქულა მოაგროვეს გამთამაშებელმა **სოკმა** და ფორვარდმა **ეზიუკვუმ**.

„როკს" ესტონეთის ჩემპიონატში 28 მატჩიდან 25 აქვს მოგებული და ცხრილში მეორე ადგილზეა. 30 გამარჯვება მიოპოვა „კალევმა", თუმცა მას ტარტუელებზე ორით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

11 მარტს „როკი" ბალტიის ლიგის მეოთხედფინალის სათამაშოდ ლატვიურ „ვენტსპილსს" ეწვევა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**





# ქართული სპორტული ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხური თამაშები — აღვადგინოთ



# მთიდან დაშვება

ცხენოსნობის ეს სახეობა გავრცელებული იყო საქართველოს მთიან რაიონებში. მთიელთა დოღი ენიშნოდა ხატობაში, ქორწილსა და მიცვალებულის დაკრძალვის დღეს. ამ სახეობის დოღი ახლაც ტარდება უმთავრესად ხევსურეთში.

უელო და ულაგამო ცხენს ნელის არეში შემოკრული აქვს თოკი. ასეთი „აღკაზმულობის" ცხენებზე შემჯდარი მთიელები დამწკრივდებიან ერთ ადგილზე და ნიშნის მიცემის შემდეგ გაუშვებენ ცხენებს. დოღი წარმოებს უგზო-უკვლო მთის ციცაბოებზე ქენებით. აღმართში სვლის დროს მხედარი ცხენს ფაფარში ჩაავლებს ხელს, დაღმართში კი — ნელზე გარშემოკრულ თოკს.

მთიან ადგილებში უნაგირი და უზანგი მხოლოდ ხელს შეუშლის ცხენოსნობაში.

ჩვენს დროში ეს დოღი ხევსურების მიერ პირველად ნაჩვენები იყო თბილისში 1948 წელს გამართულ ცხენოსნურ თამაშობებზე, რამაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ხევსურეთში ასეთ დოღს დღესაც აწყობენ. საინტერესოა, რომ ასეთ დოღში ხშირად ქალებიც მამაკაცებთან ერთად ღებულობენ მონაწილეობას.

ამ სახეობის დოღში ხევსურები მხედრებს პატარაობიდან წვრთნიან, ხშირად 6-7 წლის ბიჭი ჩვეულებრივ დოღის მონაწილეა, რომელიც შემდეგ გამოდის, როგორც დაოსტატებული მხედარი.

მსაჯთა კოლეგია განსაზღვრავს დოღის მანძილს, რომელიც სტარტიდან ფინიშამდე სპეციალური მაჩვენებლებით აღინიშნება. ცდილობენ აირჩიონ ისეთი ტრასა, რომ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდეს დაინახოს მისი დიდი ნაწილი. სტარტს ჩვეულებრივ მთის მწვერვალზე აწყობენ, ფინიშს კი ისეთ ადგილში, სადაც თავს იყრის რაც შეიძლება ბევრი მაყურებელი, მაგალითად იპოდრომზე. დოღის დისტანცია 4-7 კილომეტრია. ირჩევენ რთულსა და ძნელ მარშრუტს, ბუნებრივი დაბრკოლებებით, აღმართ-დაღმართებს 40-გრადუსიანი ციცაბოებით. წესების შესაბამისად, დოღით თითოეულ მონაწილეს შეუძლია შემოკლოს თავისი გზა ძნელ დაბრკოლებათა ხარჯზე ან პირიქით, გაიგრძელოს მანძილი — შემოუაროს ძნელად სავალ ადგილებს. შეჯიბრების მონაწილეებს უფლება აქვთ წინასწარ გაეცნონ მარშრუტის ტრასას, რომ შეეძლოთ დასახონ მოქმედების გეგმა.

შეჯიბრებაში, რომელიც ჩვეულებრივ გუნდურ პირველობაზე ტარდება, მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის, პრაქტიკულად კი მათი რიცხვი იშვიათად აღემატება 15-20 მხედარს. მხედრის წონა მხედველობაში არ მიიღება.

შეჯიბრების ჩასატარებლად ნიშნავენ მსაჯთა კოლეგიას, რომლის შემადგენლობაში შედიან სტარტერი, კონტროლიორები და მსაჯები ფინიშზე. დოღისათვის ირჩევენ მხნე, მაგარი კონსტიტუციის ცხენებს, უმთავრესად თუშური ჯიშისას.

გამარჯვება ენიჭება იმას, ვინც პირველი მივა ფინიშთან.

მთიდან დაშვებაში გამარჯვებისათვის მხედარს მოეთხოვება სიმარდე, გამბედაობა, ამტანობა. ამიტომ ძველად ტრადიციის მიხედვით გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ ძვირფასი საჩუქრებით (საქონელი, თოფი და სხვ.).

ახლა გამარჯვებულს გადასცემენ ფულად პრემიას.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** მედალი საერთაშორისო სარბიელზე ბატუტზე ხტომაში მოიპოვა **ფატი ფირანიშვილმა**. 1980 წელს მას ევროპის იუნიორთა პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილი ხვდა წილად.

**პირველმა** დაშნით მოფარიკავეთა შორის საბჭოთა კავშირიდან მსოფლიოს პირველობის ფინალში ასპარეზობის უფლება თბილისელმა მუშკეტერმა **გურამ კოსტავამ** მოიპოვა, 1957 წლის ნოემბერში.

**პირველად** თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე მსოფლიოს რეკორდი დამყარდა 1984 წლის 10 მაისს. **ლაუც ჰესლიხმა**(გდრ) 200 მეტრზე ჰიტში სვლით მანძილი 10,441 წამში დაფარა.

## მახსოვს პირველად...

„პატარა უდედოდ დავრჩი, მამიდამ გადამიყვანა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთიდან ბათუმში. იქ ვეზიარე თავისუფალ ჭიდაობას მამიდაშვილის მონადინებით. არასდროს დამავიწყდება პირველი მწვრთნელის გიორგი თარგამაძის გულისხმიერება. მერე თბილისში გადამიყვანეს ილია ჩხარტიშვილთან. მახსოვს როგორ ვნერვიულობდი, პირველად რომ გავედი საკავშირო სარბიელზე. მაშინ პროფკავშირების ჩემპიონი გავხდი. მერე იყო სხვა დიდი წარმატებები, მაგრამ ის პირველი გამარჯვება მაინც სულ სხვა იყო".

**რონ დობორჯგინიძე**

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

მოგვაწოდა **ღვთისავარ ანთაძემ**



ლევან თედიაშვილი (მარცხნივ) და რონ დობორჯგინიძე

## თარიღი — 10-16 მარტი

10. 1982 წ. სსრკ საფეხბურთო ნაკრებში თავისი ბოლო მატჩი ჩაატარა **ვლადიმერ გუცაევმა**
11. 1957 წ. დაიბადა **ელენე ახმილოვსკაია** - ჭადრაკი
11. 1950 წ. დაიბადა **ანატოლი მოშიაშვილი** - მძლეოსნობა
12. 1968 წ. დაიბადა **მაია გუბიევა** - სასტენდო სროლა
13. 1913 წ. დაიბადა **ვლადიმერ სამსონაძე** - სპორტის მოღვაწე. გარდაიცვალა 2000 წელს.
14. 1934 წ. დაიბადა **გიორგი აბაშიძე** - ალპინიზმი
14. 1934 წ. დაიბადა **ალისა ასიტაშვილი** - კალათბურთი
14. 1961 წ. დაიბადა **მიხეილ გიორგაძე** - წყალბურთი
14. 1963 წ. დაიბადა **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** - კალათბურთი.
15. 1976 წ. დაიბადა **მირიან გიორგაძე** - ბ/რ ჭიდაობა
15. 1948 წ. დაიბადა **ლევან თედიაშვილი** - თ/ჭიდაობა
15. 1937 წ. დაიბადა **შოთა იამანიძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1971 წელს
16. 1938 წ. დაიბადა **იური ოსიპოვი** - ფარიკაობა
16. 1960 წ. დაიბადა **ზურაბ აზმაიფარაშვილი** - ჭადრაკი

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. რამდენი მატჩი ჩაატარა ვლადიმერ გუცაევმა სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრებში?**

ა — 9
ბ — 11
გ — 16

**2. რომელ წელს დაარსდა თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა კლუბი?**

ა — 1928 წელს
ბ — 1934 წელს
გ — 1938 წელს

**3. რა სახის დისკვალიფიკაციაა სპორტში?**

ა — პირობითი, დროებითი და სამუდამო
ბ — დროებითი და სამუდამო
გ — პირობითი და სამუდამო

**4. ვინ არის ხელბურთში საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი?**

ა — ლევან ახვლედიანი
ბ — ზაურ ცხადაძე
გ — ზაზა დოლიძე

**5. რომელი ქართველი მოჭადრაკე ქალი შეხვდა მსოფლიო პირველობისთვის მატჩში ნონა გაფრინდაშვილს და მაია ჩიბურდანიძეს?**

ა — ნანა იოსელიანი
ბ — ნანა ალექსანდრია
გ — ნინო გურიელი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-ბ

## ვინ რა თქვა...

### ალექსანდრე გომელსკი ამირან სხიერელზე



„ამირანი ერთ-ერთი ყველაზე გულითადი ადამიანია, რომელსაც საკალათბურთო სამყაროში შევხვედრილვარ. სხიერელის წყნარი ხასიათი ბევრს მისდამი სიმპათიით ალავსებდა. თუმცა, იყო დრო, როცა ამირანს ვერ იცნობდით - იგი ლევან მოსეშვილთან ერთად თბილისის „დინამოს" წვრთნიდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა, რამდენად ტემპერამენტიანი ყოფილა სხიერელი, გაქრა მისი ცივსისხლიანობა და მოთმინება. იგი მწვრთნელის რანგში ყველა მატჩს ფეხზე ატარებდა.

ამირანი მოედანზეც მტკიცედ და დამაჯერებლად იდგა - რათა მეტოქეებისთვის დაენახვებინა, რომ არაფრის დამთმობი იყო. იგი ბევრს მოძრაობდა და თავის ძალას უხეშად არასოდეს იყენებდა. უხეში კალათბურთელი არასოდეს ყოფილა. თუმცა, მასთან შეტაკება არავის სიამოვნებდა: სხიერელი მოედანზე ნაქცეული იშვიათად მინახავს, მოწინააღმდეგეებს კი აქეთ-იქით ისროდა. რაც მთავარია, ფართან ახლოს არავის უშვებდა."

## ფოტომატიანე



1952 წელი. ამიერკავკასიის სპარტაკიადა. ალლუმზე საქართველოს დელეგაციას მიუძღვის სპორტის დამსახურებული მოღვაწე ლევან (ლელიკო) გიორგაძე. დროშით — ოთარ ქორქია, მისგან მარჯვნივ ნინა დუმბაძე, მარცხნივ — ელენე გოკიელი. ფოტო ლევან გიორგაძის საოჯახო ალბომიდან

# კროსვორდი



შეადგინა ლალი ჭიჭინაძე

**თარაზულად:** 1. ქართული ჭიდაობის ილეთი; 3. მწვერვალი ჰიმალაიზე; 8. თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი, შოთა...; 10. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი; 11. თბილისის ერთ-ერთი საფეხბურთო სკოლა; 13. ორთაბრძოლის სახეობა; 14. სპორტული სარბიელი; 16. უნივერსალური ორთაბრძოლების ქართველი ოსტატი; 17. საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე; 19. ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი პიონერი; 21. პროცედურა შეჯიბრების წინ სპორტსმენის შესაძლებლობათა გამოსავლენად; 22. სწრაფმავალი მოტორიანი ნავი; 25. მარტვილის "მერანის" ფეხბურთელი; 26. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მემატიანე, დემიკო...; 27. წარსულში ცნობილი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, რომან...

**შვეულად:** 1. საჩხერის საფეხბურთო კლუბი; 2. "მანჩესტერ სიტის" ყოფილი ქართველი ნახევარმცველი; 4. ქართველი ძიუდოისტი, ბექა...; 5. თბილისის „დინამოს" ახალი აღმასრულებელი დირექტორი; 6. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა; 7. ჰოკეის ბურთი; 9. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ვეტერანი ქუთაისელი ფალავანი; 12. მეფეზე მუქარა ჭადრაკში; 14. ერთ-ერთი ილეთი ტანვარჯიშულ ძელზე; 15. თბილისის "დინამოს" ახალწვეული ნახევარმცველი; 18. უკანასკნელი ბურთი ჩოგბურთის თამაშში; 20. ქართველი პროფესიონალი მოკრივე; 23. 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 24. საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი ერი


სებასტიან შაბალი

# ლივერმონი იაშვილს ენდობა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა** ინგლისთან მარცხის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. რომში, იტალიის ნაკრებთან „ლე ბლე" სახეცვლილი შერკინებით ითამაშებს. პირველხაზელ **ტომას დომინგოს** შეცვლის **სილვენ მარკონე.** მესამე ხაზში კი ფლანკერად გამწესებულ **იმანოლ არინორდოკის** ადგილს **ჟულიენ ბონერი** დაიკავებს. ლივერმონმა ბასკი მორაგბე სათადარიგოთა შორის გაამწესა.

„პომებთან" მატჩის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა რვა ნომერი **სებასტიან შაბალი,** რომელიც ნომინალური მეორეხაზელია. ყველა ელოდა, რომ ლივერმონი შაბალს ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებდა. ფრანგთა ეროვნული გუნდის თავკაცმა კი შაბალი დაიცვა.

*„მინდა, შაბალმა რაც შეიძლება ბევრი ითამაშოს ამ პოზიციაზე. ინგლისთან მატჩის ვიდეოფირი რამდენჯერმე ვნახე და მის თამაშში რაიმე კატასტროფული შეცდომები ვერ დავინახე."* - თქვა მან.

ერთი ცვლილება შეეხო უკანა ხაზს. ფულბეკად **კლემან პუატრენოს** ნაცვლად **მაქსიმ მედარი** ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძირითადი ცხრა ნომერი ისევ ქართული წარმოშობის **დიმიტრი იაშვილი** იქნება.

*„დიმიტრი ნეომბრის ტესტებისას და ექვსი ერის საწყის ორ ტურში სათადარიგო იყო. ინგლისთან მატჩში კი მას ძირითად შემადგენლობაში ვანდეთ ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შეცდომა დაუშვა ჩვენ მას ისევ ვენდობით. მიმაჩნია, რომ „იაში" და მორგან პარა თანაბარი ძალის მოთამაშეები არიან. თამაშის მსვლელობისას, ცხადია, ამ უკანასკნელის ოსტატობასაც გამოვიყენებთ"* - დაჰპირდა ქომაგებს მარკ ლივერმონი.

საფრანგეთის ნაკრები: **15. მაქსიმ მედარი, 14. იოან უგე, 13. ორელიან რუჟერი, 12. იანიკ ჟოზიონი, 11. ვინსან კლერი, 10. ფრანსუა ტრინ-დუკი, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. სილვენ მარკონე, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. ჟულიენ პიერი, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. სებასტიან შაბალი**

**16. გიომ გირადო, 17. ლუკ დუკალკონი, 18. ჟერომ ტიონი, 19. იმანოლ არინორდოკი, 20. მორგან პარა, 21. დამიენ ტრაი, 22. კლემან პუატრენო.**

# ნარშავებმა ოთხი შეცვალეს

შოტლანდიის ნაკრები, რომელიც ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა, კვირას „თვიქნემზე" ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდება. „პომები" სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ლიდერობენ და კარგი შანსი აქვთ, „დიდი სლემი" შეასრულონ.

„სკოტების" მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია. მათ სამი თამაშიდან სამივე წააგეს და ექვსი ერის გათამაშებაში ჯერჯერობით ბოლოსწინა ადგილზეა. „ნარშავების" ინგლისელმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა** გუნდში ოთხი ცვლილება განახორციელა. ძირითად შემადგენლობას უკანა ხაზში დაუბრუნდნენ **საიმონ დენიელი, ჯო ანსბრო** და **რორი ლაუსონი.** მესამე ხაზში კი, საფრანგეთის ნაკრებთან მარცხის შემდეგ, ფლანკერად **ნათან ჰინესი** ითამაშებს.

ედინბურგული დუეტი **მაიკ ბლერი** და **ნიკ დე ლუკა** სათადარიგოთა შორის გადაინაცვლებენ, მათ შეუერთდება მესამეხაზელი **ალასდაირ სტროკოში,** რომელმაც ტრავმის გამო ნოემბრის ტესტებიც გამოტოვა და ექვსი ერის განვლილ სამ მატჩშიც არ უთამაშია.

აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა საიუბილეოა. 100 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შოტლანდიის ნაკრები პირველად ეთამაშა ინგლისის ეროვნულ გუნდს „თვიქნემზე". ამ დროის განმავლობაში „სკოტები" „პომებს" ორმოცდაოთხჯერ დაუპირისპირდნენ და მხოლოდ ოთხჯერ მოუგეს. ბოლოს „ნარშავებმა" „თვიქნემზე" 28 წლის წინ მოიგეს.

*„სტატისტიკა ჩვენს საწინააღმდეგოდ მეტყველებს, მაგრამ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ამ უქმეებზე გამარჯვება მოვიპოვოთ. ეს შესაძლებელი იქნება, თუ მუყაითად ვიშრომებთ, როგორც ფიზიკურად, ისე ინტელექტუალურად.*

*მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელები წლეულს შესანიშნავად ასპარეზობენ, იმედი მაქვს, ახალი მოთამაშეები საიმონ დენიელი, რორი ლაუსონი, ჯო ანსბრო და ნათან ჰინესი, ჩვენი გუნდის თამაშს მნიშვნელოვნად გააძლიერებენ"* - თქვა ენდი რობინსონმა.

შოტლანდიის ნაკრები: **15. კრის პატერსონი, 14. საიმონ დენიელი, 13. ჯო ანსბრო, 12. შონ ლამონტი, 11. მაქს ევანსი, 10. რუარიდ ჯექსონი, 9. რორი ლაუსონი. 1. ალენ იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. მურეი ლოუ, 4. რიჩი გრეი, 5. ალისტერ კელოკი, 6. ნათან ჰინესი, 7. ჯონ ბარკლი, 8. კელი ბრაუნი.**

**16. სკოტ ლაუსონი, 17. ჯოფ კროსი, 18. რიჩი ვერნონი, 19. ალასდაირ სტროკოში, 20. მაიკ ბლერი, 21. დენ პარქსი, 22. ნიკ დე ლუკა**

# გეთლენდს ჰუკის იმედი აქვს

უელსის ნაკრები შაბათს კარდიფში ირლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ორივე გუნდმა განვლილი სამი მატჩიდან ორი მოიგო და 4 ქულით საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. უელსელთა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** ძირითად შემადგენლობაში **ლეიგ ჰელპფენი** და **ჯონათან დევისი** დააყენა.

უელსელებს „სამყურებთან" მატჩში **ჯეიმზ ჰუკი** დაგეზავს, **სტივენ ჯოუნზი** კი სათადარიგოთა შორის დაიკავებს ადგილს. შერკინება კი ისეთივე იქნება, როგორიც წინა ტურში იტალიის ნაკრებთან მატჩში იყო.

*„მესამე ტურში, რომში იტალიის ნაკრებთან ძალიან გაგვიჭირდა. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში. ამიტომ ყველანაირად ვცდილობთ, უქმეების დადგომამდე ხარვეზები გამოვასწოროთ.*

*ირლანდიის ნაკრები ძლიერი გუნდია, საკმაოდ მძლავრი შერკინება ჰყავს და ღია თამაშშიც შესანიშნავად ბურთაობენ. ცდილობენ, რაც შეიძლება ცოტა შეცდომა დაუშვან და, როცა ეს გამოსდით, შეუჩერებელნი არიან.*

*ამიტომ, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ჩვენ თვითონ ვითამაშოთ უშეცდომოდ. შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება გვაქვს. ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები პოზიცია ახალგაზრდა ჯეიმზ ჰუკს მივანდეთ. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ის შეგვიძლია გამოცდილი სტივენ ჯოუნზით შევცვალოთ.*

*მათ გარდა სხვა ბევრი ძლიერი მოთამაშე გვყავს, რომლებსაც მატჩის მსვლელობის შეცვლა შეუძლიათ"* - თქვა უელსელთა თავკაცმა უორენ გეთლენდმა.

უელსის ნაკრები: **15. ლი ბირნი, 14. ლეიგ ჰელპფენი, 13. ჯიმი რობერტსი, 12. ჯონათან დევისი, 11. შეინ ვილიამსი, 10. ჯეიმზ ჰუკი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. კრეიგ მიტჩელი, 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 6. დენ ლიდიატი, 7. სემ ვერბარტონი, 8. რაიან ჯოუნზი**

**16. რიჩარდ ჰიბარრდი, 17. ჯონ იაპი, 18. დუეინ პილი, 19. სტივენ ჯოუნზი, 20. ენდი პოუელი, 21. ჯონათან ტომასი, 22. მორგან სტოდარტი**

ამბები

# ალმოსავლეთევროპელები ინგლისურ რაგბიში

ინგლისურმა სარაგბო კლუბმა „ნორსჰემპთონმა" ახლახან გაავრცელა ინფორმაცია, რომ მიღწეულია შეთანხმება რუსეთის ნაკრების უკანახაზელ **ვასილი არტემევთან.** 23 წლის მორაგბე, როგორც კომუნიკეშია ნათქვამი, გუნდს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის შემდეგ შეუერთდება.

არტემევი „ბლეკროკის" კოლეჯში **ლუკ ფიცჯერალდის** თანაკლასელი იყო, რომლის დამთავრების შემდეგაც „ლესტერის" სარაგბო აკადემიაში სწავლობდა. ის ინგლისური კლუბის ხელმძღვანელებმა 2010 წელს აშშ-ში გამართულ „ჩერჩილის თასის" გათამაშებაში შენიშნეს, სადაც რუსმა სამი ლელო გაიტანა.

*„ვასილი მართლაც „ჩერჩილის თასზე" ასპარეზობისას შევნიშნეთ, როცა მან სამი შთამბეჭდავი ლელო მიითვალა. ის ძალიან სწრაფია და ნიჭიერი. მუდამ ცდილობს განვითარდეს, წინ წავიდეს, ამიტომ ჩვენი კლუბის ბანაკში მოუთმენლად ველოდებით"* - თქვა „ნორსჰემპთონის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯიმ მალინდერმა.**

არტემევი პირველი რუსი მორაგბე იქნება, რომელიც ინგლისის ჩემპიონატის ელიტარულ დივიზიონში იასპარეზებს. თუმცა ის არ არის პირველი და ერთადერთი ალმოსავლეთევროპელი. გასულ კვირაში, რუმინულმა სარაგბო საიტებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ინგლისურმა „სეილ შაქრსმა" მოლდოველი შერკინების ბურჯი **ვადიმ კობალაში** მიიწვია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ინგლისური სარაგბო ბაზარი ნელ-ნელა სხვა ალმოსავლეთევროპელებისთვის, მათ შორის ქართველებისთვისაც მალე გაიხსნება.

# რა ელოდება ქრაისთჩერჩს

ახალი ზელანდიის ქალაქ ქრაისთჩერჩში 22 თებერვალს მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ ამ ქალაქის მთავარი სარაგბო არენა საგრძნობლად დააზარალა. როგორც ცნობილი გახდა, დაზიანებულია ტრიბუნები, ფაქტობრივად გამოუსადეგარია და მთლიანად შესაცვლელია მინდვრის საფარი.

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა **ჯონ კეიმ** განაცხადა, რომ ჯერ საბოლოო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. საამისოდ მან რამდენიმე კვირა ითხოვა. ახალი ზელანდიის მთავრობა და IRB მჭიდროდ თანამშრომლობენ ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მასპინძლებს ძალიან უნდათ, რომ მსოფლიო თასის მატჩებს ქრაისთჩერჩმა უმასპინძლოს, მაგრამ:

*„ყველაზე დიდი პრობლემა სტადიონია. დანარჩენს, ცხადია, ეშველება. მაგრამ თუ სტადიონი არ გვექნება, დანარჩენი, სასტუმროები, რესტორნები, კაფე-ბარები რად გვინდა. არადა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, დაზიანებულის აღდგენას რამდენიმე თვე დასჭირდება. ყველა პრობლემის მიუხედავად, ყველანაირად ვეცდებით, დიდი რაგბი ქრაისთჩერჩს ეწვიოს"* - თქვა ჯონ კეიმ.

ამასობაში, ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა" სამხრეთაფრიკულ, დურბანის „ნატალ შარქსს" შესთავაზა 25 მარტს გასამართი ზე რაგბის გათამაშების მე-6 ტურის მატჩი ლონდონში, „თვიქნემზე" ჩატარდეს. მიზეზი ისაა, რომ ქრაისთჩერჩის მეორე სტადიონი „ტრაფალგარი" მხოლოდ 10 500 მაყურებელს იტევს.

დურბანელები, სავარაუდოდ, უარს არ იტყვიან, თუმცა საბოლოო პასუხს „კრუსეიდერზს" პარასკევს, „მელბურნ რებელზთან" სტუმრად გასამართი მატჩის შემდეგ გასცემს.

თუ „ნატალ შარქსმა" თანხმობა განაცხადა, „თვიქნემი" პირველი უცხოური სტადიონი იქნება, რომელიც ზე რაგბის თამაშს უმასპინძლებს.


ემი სთედიუმი, ქრაისთჩერჩი

# არგენტინა ერნანდესის გარეშე დარჩა

პარიზული „მეტრო რასინგისა" და არგენტინის ნაკრების მგეზავი **ხუან მარტინ ერნანდესი** საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „ბურგუენთან" მძიმედ დაშავდა. ერნანდესს, რომელიც „პუმების" ერთ-ერთი წამყვანი მორაგბეა, ტრავმები ხშირად აწუხებს. ზე 14-ის შარშანდელი გათამაშება მას ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემების გამო გაუცდა.

ამჟამად ერნანდესმა მუხლის მყესები გაიწყვიტა და ოპერაცია სჭირდება. სავარაუდოდ, ის მსოფლიო თასზე თამაშს ვერ შეძლებს. თუმცა თვითონ იმედიანადაა.

*„რადაც უნდა დამიჯდეს, მსოფლიო თასზე უნდა ვითამაშო. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი დრო მექნება ფორმის აღსადგენად, ყველაფერს ვილონებ, რომ რეაბილიტაციის პროცესი სწრაფად გაიაროს"* - თქვა მან.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ჩოგბურთი

# ორთავა ურჩხული

**რაფაელ ნადალსა** და **როჯერ ფედერერს** თამამად შეიძლება ვუწოდოთ მამაკაცთა ჩოგბურთის „ორთავიანი ურჩხული". ბოლო ექვსი წლის განმავლობაში „დიდი სლემის" ტიტულის მოპოვების ნებისმიერი მსურველი აუცილებლად უნდა გაჯიბრებოდა როჯერს ან რაფას. 2005 წლის როლან გაროსზე ნადალის ტრიუმფიდან მოყოლებული, ამ წყვილმა „დიდი სლემის" 24 ტურნირიდან 21-ში მთავარი პრიზი მოიპოვა - ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა.

ეს დაპირისპირება გულშემატკივართა კმაყოფილებას იწვევს, მან გადაწერა ჩოგბურთის ისტორია, მაგრამ ამავდროულად, გზა გადაუღობა სხვა ჩოგბურთელებს ყველაზე პრესტიჟული ტიტულებისკენ. საკმარისია ამის შესახებ ვკითხოთ მთავარ „დაჩაგრულებს" - **ენდი როდიკსა** და **ენდი მიურეის**. ახლა კი ავსტრალიის ღიაზე **ნოვაკ ჯოკოვიჩის** გამარჯვების შემდეგ, როგორც ჩანს, ამ „ურჩხულს" კიდევ ერთი თავი გამოუვიდა.

*„ამ ორ ბიჭს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ისინი არავის აძლევენ გამარჯვების საშუალებას"*, - ამბობს მსოფლიოს ყოფილი მეექვსე ნომერი, ფრანგი **ჟილ სიმონი**, რომელსაც არასოდეს დაუმარცხებია ფედერერი და ნადალი „დიდი სლემის" ტურნირებზე.

*„ისინი ყოველთვის ახერხებენ ჩემს შეჩერებას, მაშინაც კი, როცა კარგ ფორმას ავკრეფ და საუკეთესო ჩოგბურთს ვაჩვენებ. „დიდ სლემზე" ნადალთან სამჯერ წავაგე და როჯერთან - ერთხელ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოსაწყენია. წინასწარ იცი, რომ მათ წინააღმდეგ ნებისმიერ შემთხვევაში შანსი არ გაქვს"*, - განაცხადა სიმონმა, რომელიც ერთადერთი ტოპ-ჩოგბურთელი არ არის, ვინც ამ წყვილისგან დაზარალდა.

მსოფლიოს ყოფილმა მესამე ჩოგანმა **ნიკოლაი დავიდენკომ** ხუთი შემთხვევიდან ვერც ერთხელ ვერ გაიარა „დიდი სლემის" ტურნირებზე ფედერერის ბარიერი. რეიტინგის მეშვიდე ნომერმა **ტომაშ ბერდიხმა** ხუთიდან მხოლოდ ერთხელ დაამარცხა შვეიცარიელი და ორჯერ წააგო ნადალთან.

შემდეგ მოდის როდიკი. ამერიკელმა ოციდან 18 შეხვედრა დათმო ფედერერთან და ამასთან, შვეიცარიელი ერთხელაც ვერ დაამარცხა „დიდ სლემზე". ბევრი მოთამაშის აზრით, ყველაზე რთულია ერთ ტურნირზე მიყოლებით ორივეს დამარცხება, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი მატჩები, როგორც წესი, ხუთ სეტამდე იწელება. ბერდიხი ძალიან ახლოს იყო ასეთ წარმატებასთან - 2010 წლის უიმბლდონზე მეოთხედფინალში ფედერერი დაამარცხა, ნახევარფინალში - ჯოკოვიჩი, მაგრამ ფინალი დათმო ნადალთან.

*„თუ „დიდი სლემის" ტურნირის მოგება გინდა, მსოფლიოს სამ საუკეთესო ჩოგბურთელზე უკეთ უნდა გამოიყურებოდე*, - აღნიშნა ბერდიხმა. - *უიმბლდონზე მე დავამარცხე როჯერი და ნოვაკი, მაგრამ ფინალში კიდევ ერთი სუპერმოთამაშე მელოდა. მესამე გმირობისთვის ძალა აღარ მეყო. ეს ძალიან რთულია"*.

სხვებს მიაჩნიათ, რომ ფედერერი და ნადალი მთავარ ტურნირებზე თავიანთი გამოცდილებისა და ადრეულ სტადიებზე მეტოქეთა სისუსტის ხარჯზე გადიან ფონს. გარდა ამისა, ხუთსეტიან მატჩებში მათ უდავო უპირატესობა აქვთ ახალგაზრდა და დამწყები ჩოგბურთელების წინააღმდეგ.

*„როჯერის მსგავსი სტატისტიკის მისაღწევად, საჭიროა მუდმივად მოიგო ტურნირის პირველი ხუთი მატჩი, არადა, იქ ყოველთვის სერიოზული მეტოქეები გხვდებიან. ყოფილა შემთხვევები, როცა ფედერერი აგებდა პირველ ორ სეტს, მაგრამ შემდეგ გარდატეხა შეჰქონდა მატჩის მსვლელობაში*, - აგრძელებს სიმონი. - *არ ვიცი როგორ შეიძლება რაციონალურად ამის ახსნა. თითქოს, მათ ხუთ სეტში მოგებული თამაში უფრო უხარიათ. შეიძლება მათ წინააღმდეგ ერთ კონკრეტულ სეტში აჩვენო უნაკლო ჩოგბურთი, მაგრამ ასეთ დონეზე 2-3 საათი თამაში თითქმის შეუძლებელია. წელს ავსტრალიის ღიაზე ფედერერთან შეხვედრისას ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ძალიან კარგად ვმოქმედებდი, უფრო უკეთ შეუძლებელი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვუგებდი შვეიცარიელს, მაგრამ მაინც წავაგე"*.

*„ეს ბიჭები ლუპავენ მთელ ტოპათეულს. დღეს თითქოს ყველასთვის სულერთია მათი დომინირება, შეურიგდნენ იმას, რომ არაფერი გამოუვათ. ამიტომაც „დიდი სლემის" ტურნირებზე წინასწარვე ჩამოუშვებენ ხოლმე ხელებს"*, - ასკვნის სიმონი.

თუმცა ფედერერი ხშირად იმეორებს, რომ მრავლად არიან ისეთი ჩოგბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ „დიდი სლემის" ტურნირის მოგება. შვეიცარიელი იმასაც ამბობს, რომ მეტოქეებმა ისწავლეს ადრეულ სტადიაზე თამაში და ზოგიერთი მათგანი მზად არის ტრიუმფისთვის.

*„თუ ჩემზე, მიურეიზე, ნოვაკსა და რაფაზე ვილაპარაკებთ, ჩვენ უკვე დიდი ხანია სათავეში ვუდგავართ პროფესიულ ტურს. ასეთ სიტუაციაში გეჩვენება, რომ ახალი სახეები აღარ ჩნდებიან, არ არსებობენ ღირსეული კონკურენტები... მაგრამ თუ უფრო ყურადღებით დააკვირდებით სიტუაციას, მიხვდებით, რომ დღეს ბევრი იმედისმომცემი იუნიორი გამოჩნდა. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ხალხი მათგან ბევრს ითხოვს"*, - აღნიშნავს შვეიცარიელი.

როჯერს მიაჩნია, რომ დღეს ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის თამასა ძალიან მაღლაა გადებული და მათთვის რთულია რეიტინგში პოზიციების გაუმჯობესება: *„პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჟურნალისტები და ანალიტიკოსები მაშინვე ითხოვენ ნორჩი ტალანტებისგან წინსვლას. ისინი 17 წლის ბიჭისგან პირველ ათეულში მყოფი 4-5 მეტოქის დამარცხებას ელიან. თანამედროვე ჩოგბურთში არსებული ფიზიკური და ნერვული დაძაბულობიდან გამომდინარე, ამის გაკეთება პრაქტიკულად გამორიცხულია"*.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის საერთაშორისო განყოფილების შეფი **ბრედ დრუიტი** მიიჩნევს, რომ ეს სიტუაცია ხელს აძლევს გულშემატკივრებს, გარდა ამისა, ყველაფერი წესრიგშია სატელევიზიო უფლებებისა და ბილეთების რეალიზაციის მხრივ: *„როჯერისა და რაფას დომინირება უკვე დიდი ხანია ძლიერ კონკურენციას განიცდის ნოვაკ ჯოკოვიჩის, ენდი მიურეის, რობინ სიოდერლინგის, ტომაშ ბერდიხისა და სხვების მხრიდან. დღეს ჩვენთან, როგორც არასდროს, სოლიდურია ტალანტების მრავალფეროვნება. პროფესიული ტურის მოთამაშეები ასზე მეტ ქვეყანას წარმოადგენენ, ხოლო საუკეთესო ათეულში რვა ქვეყნის წარმომადგენელს ვხედავთ, რაც ჩვენს სპორტს ინტერნაციონალურს ხდის"*.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ინდიან უელსი. ქალების ბადე



**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 645 000 დოლარი

| 1/64 | 1/32 |
|---|---|
| ვოზნიაცკი (დან, 1) | ვოზნიაცკი (დან, 1) |
| ჰამპტონი (აშშ) | |
| სტივენსი (აშშ) | |
| ლაგოსტერა ვივესი (ესპ) | მ. სანჩესი (ესპ, 28) |
| ჰალეპი (რუმ) | |
| მ. სანჩესი (ესპ, 28) | |
| კლეიბანოვა (რუს, 22) | კლეიბანოვა (რუს, 22) |
| შავაი (უნგ) | |
| კრეიბასი (აშშ) | |
| ვინჩი (იტა) | პენეტა (იტა, 13) |
| ბალტაჩა (ბრიტ) | |
| პენეტა (იტა, 13) | |
| ა. რადვანსკა (პოლ, 9) | ა. რადვანსკა (პოლ, 9) |
| ლეპჩენკო (აშშ) | |
| ბენეშოვა (ჩეხ) | |
| ჩაკვეტაძე (რუს) | კირილენკო (რუს, 24) |
| დოი (იაპ) | |
| კირილენკო (რუს, 24) | |
| ზაკოპალოვა (ჩეხ, 31) | ზაკოპალოვა (ჩეხ, 31) |
| უ. რადვანსკა (პოლ) | |
| იოვანოვსკი (სერ) | |
| მაკაროვა (რუს) | აზარენკა (ბლრ, 8) |
| მარინო (კან) | |
| აზარენკა (ბლრ, 8) | |
| სტოსური (ავსტრა, 4) | სტოსური (ავსტრა, 4) |
| კერბერი (გერ) | |
| პოუს ტიო (ესპ) | |
| პარა სანტონხა (ესპ) | ჰანტუხოვა (სლოვა, 26) |
| საფინა (რუს) | |
| ჰანტუხოვა (სლოვა, 26) | |
| რეზაი (საფ, 20) | რეზაი (საფ, 20) |
| მორიტა (იაპ) | |
| ჟანგი (ჩინ) | |
| მედინა გარიგესი (ესპ) | შარაპოვა (რუს, 16) |
| პაჩეკი (ავსტრა) | |
| შარაპოვა (რუს, 16) | |
| კუზნეცოვა (რუს, 11) | კუზნეცოვა (რუს, 11) |
| ამანმურადოვა (უზბ) | |
| მაკჰეილი (აშშ) | |
| არვიდსონი (შვედ) | პეტროვა (რუს, 18) |
| ჟენგი (ჩინ) | |
| პეტროვა (რუს, 18) | |
| დულგერუ (რუმ, 27) | დულგერუ (რუმ, 27) |
| ფლიპკენსი (ბელ) | |
| ჰრადეცკა (ჩეხ) | |
| ვორაკოვა (ჩეხ) | ნა ლი (ჩინ, 7) |
| პენგი (ჩინ) | |
| ნა ლი (ჩინ, 7) | |

| 1/32 | 1/64 |
|---|---|
| სკიავონე (იტა, 5) | სკიავონე (იტა, 5) |
| | ონდრაშკოვა (ჩეხ) |
| | დევისი (აშშ) |
| პირონკოვა (ბულ, 30) | შნიდერი (შვეიც) |
| | კორნე (საფ) |
| | პირონკოვა (ბულ, 30) |
| პავლიუჩენკოვა (რუს, 17) | პავლიუჩენკოვა (რუს, 17) |
| | ჰერცოგი (სლოვენ) |
| | სევასტოვა (ლატ) |
| პეერი (ისრ, 10) | დუშევინა (რუს) |
| | მატეკი (აშშ) |
| | პეერი (ისრ, 10) |
| კანეპი (ესტ, 14) | კანეპი (ესტ, 14) |
| | კინგი (აშშ) |
| | დულკო (არგ) |
| ვიკმაიერი (ბელ, 23) | ოუდინი (აშშ) |
| | ვესნინა (რუს) |
| | ვიკმაიერი (ბელ, 23) |
| ციბულკოვა (სლოვა, 25) | ციბულკოვა (სლოვა, 25) |
| | ოპრანდი (იტა) |
| | მირზა (ინდ) |
| ზვონარევა (რუს, 3) | გოვორცოვა (ბლრ) |
| | ბაშჩინსკი (შვეიც) |
| | ზვონარევა (რუს, 3) |
| იანკოვიჩი (სერ, 6) | იანკოვიჩი (სერ, 6) |
| | გალოვიტცი (რუმ) |
| | ვანდევეგე (აშშ) |
| გორჯესი (გერ, 32) | ლარსონი (შვედ) |
| | ბამერი (ავსტრია) |
| | გორჯესი (გერ, 32) |
| ივანოვიჩი (სერ, 19) | ივანოვიჩი (სერ, 19) |
| | შვედოვა (ყაზ) |
| | დატე (იაპ) |
| კვიტოვა (ჩეხ, 12) | რისკე (აშშ) |
| | ბ. ზახვალოვა (ჩეხ) |
| | კვიტოვა (ჩეხ, 12) |
| ბარტოლი (საფ, 12) | ბარტოლი (საფ, 12) |
| | როდიონოვა (ავსტრა) |
| | ნიკულესკუ (რუმ) |
| პეტკოვიჩი (გერ, 21) | ბაროისი (გერ) |
| | საფაროვა (ჩეხ) |
| | პეტკოვიჩი (გერ, 21) |
| გროთი (ავსტრა, 29) | გროთი (ავსტრა, 29) |
| | ერანი (იტა) |
| | არნი (უნგ) |
| კლაისტერსი (ბელ, 2) | კირსტეა (რუმ) |
| | კუდრიავცევა (რუს) |
| | კლაისტერსი (ბელ, 2) |

### ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| 2010 იანკოვიჩი (სერ)-ვოზნიაცკი (დან) | 6:2, 6:4 |
| 2009 ზვონარევა (რუს)-ივანოვიჩი (სერ) | 7:6(5), 6:2 |
| 2008 ივანოვიჩი (სერ)-კუზნეცოვა (რუს) | 6:4, 6:3 |
| 2007 ჰანტუხოვა (სლოვაკ)-კუზნეცოვა (რუს) | 6:3, 6:4 |
| 2006 შარაპოვა (რუს)-დემენტიევა (რუს) | 6:1, 6:2 |
| 2005 კლაისტერსი (ბელ)-დავენპორტი (აშშ) | 6:4, 4:6, 6:2 |
| 2004 ანენი (ბელ)-დავენპორტი (აშშ) | 6:1, 6:4 |
| 2003 კლაისტერსი (ბელ)-დავენპორტი (აშშ) | 6:4, 7:5 |
| 2002 ჰანტუხოვა (სლოვაკ)-ჰინგისი (შვეიც) | 6:3, 6:4 |
| 2001 ს. უილიამსი (აშშ)-კლაისტერსი (ბელ) | 4:6, 6:4, 6:2 |
| 2000 დავენპორტი (აშშ)-ჰინგისი (შვეიც) | 4:6, 6:4, 6:0 |
| 1999 ს. უილიამსი (აშშ)-გრაფი (გერ) | 6:3, 3:6, 7:5 |
| 1998 ჰინგისი (შვეიც)-დავენპორტი (აშშ) | 6:3, 6:4 |
| 1997 დავენპორტი (აშშ)-სპირლეა (რუმ) | 6:2, 6:1 |
| 1996 გრაფი (გერ)-მარტინესი (ესპ) | 7:6(5), 7:6(5) |
| 1995 მ-ჯ. ფერნანდესი (აშშ)-ზვერევა (ბლრ) | 6:4, 6:3 |
| 1994 გრაფი (გერ)-კოტცერი (ს. აფრ) | 6:0, 6:4 |
| 1993 მ-ჯ. ფერნანდესი (აშშ)-კოტცერი (ს. აფრ) | 3:6, 6:1, 7:6(6) |
| 1992 სელეში (იუგ)-მარტინესი (ესპ) | 6:3, 6:1 |
| 1991 ნავრატილოვა (აშშ)-სელეში (იუგ) | 6:2, 7:6(6) |
| 1990 ნავრატილოვა (აშშ)-სუკოვა (ჩეხ) | 6:2, 5:7, 6:1 |
| 1989 მ. მალეევა (ბულ)-ბირნი (ავსტრა) | 6:4, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კობიმ მელოუნს გაუსწრო

„მაიამი ჰიტის" კოშმარი ფლორიდაში გაგრძელდა. „პორტლენდმა" ბრწყინვალედ ჩაატარა სამხრეთული შტატის ორი გუნდის წინააღმდეგ მატჩები და გაიმყარა პოზიციები პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაში. წინა შეხვედრებში „მაიამი" პირველ ნახევარში დომინირებდა მოედანზე და მეორე ტაიმში აგებდა. ამჯერად ყველაფერი პირიქით გააკეთა, თუმცა საბოლოო შედეგი იგივე დარჩა. ფავორიტმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო.

ამ მატჩში ორი სუპერვარსკვლავი ბრწყინვალედ ორგანიზებული გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა. **ლებრონ ჯეიმსმა** და **დუეინ უეიდმა** ჯამში 67 ქულა დააგროვეს და მხოლოდ **ჩელმერსი** ეხმარებოდა პირველ მეოთხედში ამ დუეტს. მასპინძლების სათადარიგოებმა და **კრის ბოშმა** კოშმარული თამაში აჩვენეს. ერთად ყველა რეზერვისტმა მხოლოდ რვა ქულას მოუყარა თავი, ბოშმა კი თამაშიდან 11-ჯერ ესროლა და მხოლოდ სამი გამოიყენა.

საბოლოოდ, ყოფილმა ტორონტოელმა მატჩი შვიდი ქულით დაასრულა. გუნდური კალათბურთი მხოლოდ უეიდსა და ლებრონს შორის იყო და შეიძლება ითქვას, „ჰიტის" ლიდერებმა ყველაფერი გააკეთეს პარტნიორების გამოსაცოცხლებლად. როცა „პორტლენდი" წინ გადიოდა, „მაიამის" ვარსკვლავები თამაშს თავის თავზე იღებდნენ და ჩამორჩენას აბათილებდნენ. როგორც კი ტაბლოზე თანაბარი ანგარიში ფიქსირდებოდა, ფლორიდული წყვილი ისევ აძლევდა შანსს სხვა მოთამაშეებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მაშინვე თამაშზე კონტროლს სტუმრები აწესებდნენ.

მეოთხე მეოთხედში, როცა „პორტლენდის" უპირატესობა რვა ქულამდე გაიზარდა, გაბრაზებულმა უეიდმა დაშალა სტუმრების დაცვა, მაგრამ ვერც ამჯერად იპოვა სათანადო მხარდაჭერა. **როიმ, მილერმა** და **ოლდრიჯმა** ნოკდაუნში ჩააგდეს „მაიამი", ხოლო ნოკაუტი მაშინ მოხდა, როცა **მეტიუზმა** საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში 103:94 გახადა. ფლორიდელებმა სასწაული ვერ ჩაიდინეს.

ლებრონისა და უეიდისთვის სამწუხაროდ, მათი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი „მაიამის" ზედიზედ მეხუთე წაგებას დაემთხვა. ამ წაგებაში მათი დადანაშაულება არ შეიძლება. მათ ბრწყინვალედ ითამაშეს, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ თამაშს იგებს გუნდი და არა ინდივიდუალისტი კალათბურთელი. „პორტლენდმა" დაამტკიცა, რომ მართლაც კარგად დაყენებული კოლექტიური თამაში აქვს. „ბლეიზერსი" მრავალფეროვნად თამაშობდა, მუდმივად აიძულებდა „ჰიტს" გამოეცნო **მაკმილანის** რებუსები. რაც მთავარია, „ჰიტმა" წააგო არა უკანასკნელ წამებზე, როგორც ეს ბოლო დროს ხდებოდა, არამედ თამაშის მსვლელობისას.

■ ■ ■

გუშინდელი დღის გმირი გახდა **კობი ბრაიანტი**, რომელიც მეექვსე ადგილზე გადავიდა NBA-ის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერებს შორის. „ლეიკერსის" ლიდერს „ატლანტასთან" მატჩში 12 ქულა სჭირდებოდა ლეგენდარული **მოზეს მელოუნის** გასასწრებად. კობიმ საჭირო რაოდენობა დიდ შესვენებამდე დააგროვა და ახლა 27 423 ქულით ყველა დროის მეექვსე ბომბარდირია. აღსანიშნავია, რომ მარტო ამ სეზონში კობიმ უკან ჩამოიტოვა **ელვინ ჰეიესი, ჰაკიმ ოლაჟუონი, ოსკარ რობერტსონი, დომინიკ უილკინსი** და **ჯონ ჰავლიჩეკი.**

**ატლანტა-ლეიკერსი 87:101**

25:29, 24:28, 16:24, 22:20

ა: ჰორფორდი (17+9 მოხსნა), სმიტი (16+6 მოხსნა+6 პასი), ჰაინრიხი (12), ჯონსონი (11), უილკინსი (10), ფაჩულია (8+10 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (26+6 მოხსნა), ბინუმი (16+16 მოხსნა+3 დაფარება), გასოლი (14+11 მოხსნა+5 პასი), ოდომი (12), ფიშერი (11).

**კლივლენდი-გ. სტეიტი 85:95**

30:18, 16:29, 19:29, 20:19

კ: დევისი (19+5 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ჰოლინზი (14), სამუელსი (11+9 მოხსნა), ჰიქსონი (10+7 მოხსნა).

გ-ს: ელისი (24+7 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), კარი (23+7 მოხსნა+6 პასი), ლი (14+14 მოხსნა).

**ინდიანა-ფილადელფია 100:110**

23:34, 30:31, 17:19, 30:26

ი: ჰენსბრო (26+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (13), პრაისი (12), გრეინჯერი (11), ჯონსი (11), კოლისონი (10).

ფ: იანგი (18+9 მოხსნა), ჰოლიდეი (16+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), იგუოდალა (16+10 პასი), მიქსი (15), ბრენდი (12+8 მოხსნა), ჰოსი (12), ტერნერი (10).

**ვაშინგტონი-მილუოკი 76:95**

21:22, 15:29, 16:24, 24:20

ვ: კროუფორდი (22), ევანსი (11), უოლი (10+9 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), იანგი (10).

მ: ჯენინგსი (23+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სალმონსი (22+5 მოხსნა+5 პასი), დელფინო (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბოგუტი (14+9 მოხსნა+7 პასი), დულინგი (12).

**მაიამი-პორტლენდი 96:105**

25:25, 26:32, 24:20, 21:28

მ: უეიდი (38+6 მოხსნა+5 პასი), ჯეიმსი (31+11 მოხსნა+8 პასი), ჩელმერსი (10).

პ: ოლდრიჯი (26), უოლასი (22+9 მოხსნა), მილერი (14+5 პასი), როი (14), ბატუმი (11), მეტიუზი (10+5 პასი).

**ფინიქსი-ჰიუსტონი 113:110**

24:26, 24:24, 31:32, 34:28

ფ: კარტერი (32+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), უორიკი (32+8 მოხსნა), ჰილი (19), ნეში (9+14 პასი), გორტატი (13+16 მოხსნა).

ჰ: ლოური (32), პატერსონი (18+5 მოხსნა), მარტინი (17), ბადინგერი (13).



კობი ბრაიანტი

## ფორმულა 1. ტესტები

# რედ ბული დომინირებს

ბარსელონაში მეორე სატესტო დღეს ტრასაზე 11 გუნდი გავიდა - ყველა, ესპანური HRT-ის გარდა. თუმცა კატალუნიას ავტოდრომზე „ფერარის", „მერსედესისა" და „უილიამსის" გამოჩენას საერთო სურათი არ შეუცვლია. ისევე როგორც წინა დღეს, ამჯერადაც საუკეთესო დრო „რედ ბულს" ჰქონდა.

ამჯერად RB7-ის საჭესთან მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** ვიხილეთ. მან კატალონიის ტრასაზე 2011 წლის მოდიფიკაციის მანქანებისთვის ახალი რეკორდი დაამყარა - გერმანელი გახდა პირველი პილოტი, ვინც ერთი წრე წუთსა და 22 წამზე ნაკლებ დროში გაიარა. „რედ ბული" გრან-პრის სიმულაციას ატარებდა და გერმანელმა საუკეთესო წამები დილით, პირობითი კვალიფიკაციის დროს აჩვენა. **დიტრიხ მატეშიცის** სარბოლო კორპორაციის წარმატება „ტორო როსოს" პილოტმა **სებასტიან ბუემიმ** განამტკიცა. დღის მეორე ნახევარში მომხდარი ავარიის მიუხედავად, შვეიცარიელმა მეორე დრო აჩვენა და ერთი პოზიციით ჩამოაქვეითა **ვიტალი პეტროვი**, რომელიც თავისი „ლოტუს-რენოთი" ზედიზედ მეორედ მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ბევრ პილოტს ტექნიკური პრობლემები შეექმნა. მაგალითად, **პასტორ მალდონადომ** მთელი დღე დაკარგა KERS-ის სისტემის გამო, **ლუის ჰემილტონმა** რამდენიმე საათი იყურყუტა ბოქსებში ჰიდრავლიკურ სისტემაში გაჟონვის მიზეზით, იგივე დაემართა **ჟერომ დ'ამბროზიოს** ელექტოსისტემის გაუმართაობის გამო.

დღის ბოლოს ყველამ შეძლო ტრასაზე გასვლა, ჰემილტონმა კი იმდენი მოახერხა, რომ მეოთხე პოზიციაზე აღმოჩნდა. ახლა „მაკლარენი" ერთდღიან პაუზას აიღებს, დანარჩენები კი დღეს გააგრძელებენ ტესტებს.

■ ■ ■

ამასობაში, ესპანურმა საჯინიბო HRT-მ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2011 წლის სეზონში მეორე პილოტი იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცი** იქნება.

გამოცდილმა პილოტმა რამდენიმე თვის წინ შეიტყო, რომ „ფორს ინდიას" აღარ სჭირდებოდა მისი სამსახური, მაგრამ იტალიელი უმუშევარი არ დარჩენილა და HRT-სთან ერთად თებერვალში გამართული ტესტების შემდეგ ესპანურ გუნდთან გააფორმა კონტრაქტი.

შეგახსენებთ, რომ HRT-ის პირველი პილოტი ინდოელი **ნარაიან კართიკეიანი** გახლავთ.

**მეორე დღის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. ფეტელი („რედ ბული") | 1:21.865 (112 წრე) |
| 2. ბუემი („ტორო როსო") | +0.531 (120) |
| 3. პეტროვი („ლოტუს-რენო) | +0.805 (116) |
| 4. ჰემილტონი („მაკლარენი") | +1.023 (57) |
| 5. მასა („ფერარი") | +1.459 (101) |
| 6. დი რესტა („ფორს ინდია") | +2.469 (118) |
| 7. კობაიაში („ზაუბერი") | +2.571 (107) |
| 8. როსბერგი („მერსედესი") | +3.942 (100) |
| 9. ტრული („ლოტუსი") | +4.225 (98) |
| 10. მალდონადო („უილიამსი") | +5.124 (29) |
| 11. დ'ამბროზიო („ვირჯინი") | +7.117 (64) |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ბაფალო 3:1**

0:1, 2:0, 1:0

**გოლები**: 0:1 ნიდერმაიერი-2 (მიერსი-19), 1:1 ნილი-22 (ენგელანდი-7, სტაალი-11), 2:1 მიხალეკი-1 (ნილი-19, ლეტესტუ-12), 3:1 ლეტესტუ-12 (მიხალეკი-13).

**აილენდერსი-ტორონტო 4:3 (ო)**

0:0, 2:2, 1:1, 1:0

**გოლები**: 1:0 კონოპკა-2 (იურჩინა-10, დიბენედეტო-1), 1:1 ოლი-1 (ბრენტი-8, ბრაუნი-5), 2:1 ნილსენი-9 (ოკსოპო-10, ენდრიუ მაკდონალდი-22), 2:2 ბრენტი-8 (არმსტრონგი-15), 3:2 გრაბნერი-27 (კომო-21, ბეილი-14), 3:3 კულემინი-25 (გრაბოვსკი-25, კესელი-23), 4:3 კომო-19 (მარტინეკი-9, ნილსენი-29).

**მონრეალი-ბოსტონი 4:1**

2:0, 2:0, 0:1

**გოლები**: 1:0 ელერი-6 (მოენი-9, მარა-2), 2:0 ელერი-7 (მოენი-10, ა.კოსტიცინი-22), 3:0 ჯონტა-24 (გომესი-26, პლეკანეცი-32), 4:0 ვიშნიევსკი-8 (კამალერი-21, დეშარნე-21), 4:1 ლუჩიჩი-29 (კრეიხი-41).

**ფლორიდა-ჩიკაგო 3:2**

3:0, 0:2, 0:0

**გოლები**: 1:0 ბუტი-20 (რეპიკი-4), 2:0 უილსონი-1 (ბერგფორსი-20, სამსონოვი-18), 3:0 რისონერი-14 (ბუტი-16, ელერბი-8), 3:1 კეინი-22 (კემპბელი-21, ჯონსონი-4), 3:2 მარიან ჰოსა-19 (ბოლანდი-22, ბიკელი-20).

**მინესოტა-კოლორადო 5:2**

1:0, 1:2, 3:0

**გოლები**: 1:0 ჰავლატი-21 (ბროძიაკი-18, ბერნსი-26), 1:1 პორტერი-12 (უილსონი-9, შჩასტნი-32), 1:2 შჩასტნი-20 (ჰეიდუკი-29, დუშენი-29), 2:2 ბრუნეტი-16 (ბუშარი-21, სპარჯონი-7), 3:2 მადენი-11 (კულენი-25, კობესიუ-5), 4:2 სპარჯონი-2 (ჰავლატი-38, ნისტრიომი-6), 5:2 ბროძიაკი-15 (ზენონი-6, ბექსტრიომი-1).

**ფინიქსი-ვანკუვერი 3:4 (ო)**

2:1, 1:2, 0:0, 0:1

**გოლები**: 1:0 ბელანჟე-10, 2:0 დოუნი-15 (ბელანჟე-19, შლემკო-7), 2:1 ჰამჰუისი-5 (სამუელსონი-27, დ.სედინი-48), 2:2 ჰ.სედინი-16 (კესლერი-26, ერჰოფი-30), 2:3 სალო-2 (ჰ.სედინი-62, დ.სედინი-49), 3:3 კორპიკოსკი-15 (ბელანჟე-20, როუსივალი-13), 3:4 ჰამჰუისი-6 (დ.სედინი-63, დ.სედინი-50).

**სან ხოსე-ნეშვილი 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები**: 1:0 ქლოუ-19 (ჰიტლი-32, დემერსი-19), 1:1 უორდი-8 (ერატი-26, უებერი-27), 2:1 ბრაუნი-2 (ჰიტლი-33, ქლოუ-31), 2:2 უებერი-14 (ლეგვანდი-19, ერატი-27), 3:2 მარლო-27 (უაიტი-17).

**ფილადელფია-ედმონტონი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

**გოლები**: 1:0 ბრიერი-29 (კარლი-29, ლეინო-29), 2:0 კარტერი-29 (ბრიერი-24, ჟირუ-39), 3:0 კარტერი-30 (ტიმონენი-25, ვან რიმსდიკი-15), 3:1 ჟაკი-4 (შმიდი-10), 4:1 ბეტსი-5 (ჟირუ-40).

**ნიუ ჯერსი-ოტავა 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები**: 0:1 კონდრა-3 (შენონი-12, გრინინგი-3), 1:1 ელიაში-15 (როლსტონი-14, ზუბრუსი-13), 1:2 კონდრა-4 (სპეცა-22, ფილიპსი-6).

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| შალკე-ვალენსია | 3:1 (1:1) |
| ტოტენჰემი-მილანი | 0:0 (1:0) |

**ევრო 2011**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| იტალია-შოტლანდია | 0:0 |
| სლოვაკეთი-ჩეხეთი | 0:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სტაბეკი-ასკერი | 4:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ჰალეშერი-პლაუენი | 3:1 |
| ჰერტა A-კოტბუსი A | 0:0 |
| ჰაველსე-ლაიპციგი | 2:2 |
| მაგდებურგი-ლიუბეკი | 0:2 |
| ჰანოვერი A-ჰამბურგი A | 2:1 |
| ვილჰელმშავენი-კილი A | 0:0 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| კასელი-ფიურტი A | 0:1 |
| ნიურნბერგი A-მემინგენი | 1:1 |
| შტ.კიკერსი-პფიულენდორფი | 2:0 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| კუოპიო-ვაასა | 3:0 |
| ტამპერე-იუვიასკიულა | 3:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-ტიროლი | 0:0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პაოკ-ერგოტელისი | 2:0 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| აეკ-ანორთოსისი | 1:2 |
| ალკი-ეთნიკოსი | 0:3 |
| ოლიმპიაკოსი-აპოლონი | 1:1 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| ბორაცი-ჩუკარიჩკი | 3:0 |
| ჰაიდუკი-პარტიზანი | 0:4 |
| სმედერევო-იაგოდინა | 0:0 |
| სპარტაკი-იავორი | 0:0 |
| ოფკ-სლოგოდა | 1:0 |
| რადი-მეტალაკი | 2:0 |
| ვოივოდინა-ბორკა | 2:1 |
| ცრ.ზვეზდა-ინდია | 3:1 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| კეჩმეკეტი-შიოფოკი | 5:1 |
| ჰონვედი-ვიდეოტონი | 1:1 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| პეტროვაცი-მოგრენი | 0:0 |
| მლადოსტი-რუდარი | 2:0 |
| დეჩიჩი-ბუდუჩნოსტი | 0:2 |
| ბარი-მლადოსტი | 1:0 |
| სუტიესკა-ზეტა | 1:1 |
| ლოვჩენი-მორნარი | 2:2 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-სან კაეტანო | 1:1 |
| მოჟი მირიმი-ლინენსე | 0:1 |
| სანტო ანდრე-ამერიკანა | 1:0 |
| გრემიო-ბრაგანტინო | გვ. დასრ. |
| ნოროესტე-პალმეირასი | გვ. დასრ. |
| სან ბერნარდო-მირასოლი | გვ. დასრ. |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ესპოლი-იმბაბურა | 2:0 |
| ელ ნასიონალი-ინდეპენდიენტე | 1:0 |
| დეპ.კუტო-ოლმედო | გადაიდო |
| ლდუ დე როხა-ბარსელონა | გადაიდო |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| რუბიო ნუ-3 დე ფებრერო | 1:0 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ილისიაკოსი-იკაროსი | 74:67 |
| კავალა-არისი | 90:85 |
| კოლოსოსი-აეკ | 64:57 |
| პანათინაიკოსი-ირაკლისი | 101:68 |
| პანელინიოსი-მარუსი | 85:72 |
| პერისტერი-პანიონიოსი | 67:59 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 49:77 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| კ.ლაბორალი-ვალენსია | 72:65 |
| გრანადა-მენორკა | 74:54 |
| უნიკახა-მანრესა | 75:51 |
| გრან კანარია-ესტუდიანტესი | 78:67 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| არტლანდი-ბაიროიტი | 88:68 |
| ალბა-ულმი | 100:90 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 2:4 |
| აკ ბარსი-ს.იულიაევი | 2:3 (ო) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ინგოლშტადტი | 5:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ზვოლენი | 2:1 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 2:5 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 5:3 |
| სლავია-ლიბერეცი | 5:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ჰვ71 | 3:0 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| გომელი-შახტარი | 1:3 |
| ბრესტი-იუნოსტი | 2:3 |

**ჩოგბურთი**

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| დულკო-კინგი | 2:6, 6:3, 6:2 |
| კუდრიავცევა-კირსტეა | 3:6, 6:3, 6:3 |
| ონდრაშკოვა-დევისი | 6:2, 6:1 |
| საფაროვა-ბაროისი | 7:6, 6:7, 6:0 |
| სევასტოვა-ჰერცოგი | 7:5, 7:6 |
| შნიდერი-კორნე | 1:6, 4:6 |

## TV პროგრამა

**10 მარტი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**21:0** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ლევერკუზენი-ვილიარეალი (LIVE).
**23:55** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ტვენტე-ზენიტი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**21:45** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ბრაგა-ლივერპული (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. დინამო-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**05:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სტ. ლუისი-მონრეალი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**19:40** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. დინამო-კუნეო (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ბენფიკა-პსჟ (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

**21:45** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ეინდჰოვენი-რეინჯერსი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**06:30** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ნიუ იორკი (LIVE).

**SPORT+**

**21:45** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ცსკა-პორტუ (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. აიაქსი-სპარტაკი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 10 მ. ტურინი. იტალია (LIVE).
**15:30** წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 3 მ. ტურინი. იტალია (LIVE).
**18:45** ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. V ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**18:00** ველოსპორტი. ტირენო ადრიატიკო. II ეტაპი. იტალია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხელი ათეული

სილამაზის შეფასების კრიტერიუმები ყველას თავისებური აქვს, მაგრამ ფეხბურთელთა ცოლებისა თუ შეყვარებულების ამ ათეულში (ის ერთ-ერთი იტალიური გაზეთის მიერ არის შედგენილი) ისეთი მანდილოსნები არიან შეკრებილნი, რომლებიც ნებისმიერ გემოვნებას დააკმაყოფილებენ.

## 10. ალენა სერედოვა (ჯანლუიჯი ბუფონი)

**ალიონა** 1998 წელს გახდა „მის ჩეხეთი", მოგვიანებით კი მეოთხე ადგილი დაიკავა „მის მსოფლიოს" კონკურსში. ბუნებრივია, მას სულ უფრო ხშირად ილებდნენ მამაკაცთა ჟურნალებისთვის და მოდის საუკეთესო ჩვენებების მუდმივი სტუმარიც იყო.

მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა „იუვენტუსის" მეკარე **ჯიჯი ბუფონთან** ქორწინების შემდეგ. ახლა სერედოვა იტალიის ტელევიზიაში მუშაობს და მოდაში თავისი ხაზი აქვს. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ასეთი ქალის გვერდით ბუფონი იოლად ივიწყებს თავისი გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს.

## 9. სარა კარბონერო (იკერ კასილიასი)

დიდი ხანი შეიძლება კამათი - ვინ უკეთესი მეკარეა: ბუფონი თუ **კასილიასი**? ასევე რთულია არჩევანის გაკეთება სერედოვასა და **კარბონეროს** შორის.

მართალია, სარა ძალიან პოპულარულია (განსაკუთრებით ესპანეთში), მაგრამ თითქმის არ აძლევს თავის თავს თამამ ფოტოსესიბეში მონაწილეობის უფლებას.

**იკერის** გოგო, ისევე როგორც ალენა, ტელევიზიაში მუშაობს, ოღონდ მისი მოღვაწეობის სფერო შეყვარებულის მოწოდებას ემთხვევა - სარას სპორტული გადაცემები მიჰყავს. სწორედ ის უძღვებოდა ცოცხალ რეპორტაჟებს სამხრეთ აფრიკიდან, სადაც კასილიასი და ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

## 8. ლორენა ბერნალი (მიკელ არტეტა)

**ლორენა** არგენტინაში დაიბადა, მაგრამ ბავშვობაში ესპანეთში გადავიდა საცხოვრებლად. ის 1999 წელს „მის ესპანეთი" გახდა. ბუნებრივია, ამის შემდეგ ყველა ცნობილმა ესპანელმა მამაკაცმა მოინდომა მასთან ურთიერთობის გაბმა, მაგრამ **მიკელ არტეტას** გაუმართლა, რომელიც „ევერტონში" თამაშობს.

რაც შეეხება ლორენას მოღვაწეობას, სამოდელო ბიზნესის გარდა, ის ტელევიზიაში მუშაობს და ერთხელ სერიალშიც მოსინჯა ძალები...

## 7. აიიდა იესპიკა (მატეო ფერარი)

მართალია, **მატეო ფერარის** რჩეულს არ მოუგია 2002 წელს „მის ვენესუელას" ტიტული, მაგრამ ამას მაინც არ შეუშლია ხელი პოპულარობის მოპოვებაში.

იტალიაში გადასვლის შემდეგ მუშაობა გააგრძელა მოდელად და თან ადგილობივ ტელევიზიაში მოხვდა. და კიდევ, გაუმართლა და ფეხბურთელი **მატეო ფერარი** გაიცნო. თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია - გაუმართლა თუ არა. ფერარი დღეს თურქეთშია და „ბეშიქთაშში" ირიცხება.

## 6. ოქსანა ანდერსონი (კრისტიან ვილჰელმსონი)

**ოქსანა** რუსეთშია დაბადებული, თუმცა მოგვიანებით შვედეთის მოქალაქეობა მიიღო.

თავიდან ანდერსონი ერთ-ერთ ელექტრონულ ჯგუფში მოცეკვავედ მუშაობდა. რა თქმა უნდა, მისი მომხიბვლელობა არ გამორჩენიათ და ვიხილეთ ტრადიციული სურათი: სამოდელო ბიზნესი, ტელევიზია, მეგობარი ფეხბურთელი...

## 5. ილარი ბლაზი (ფრანჩესკო ტოტი)

**ილარის** იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ქალის სტატუსი აქვს, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მეორე ნახევრად „რომას" ცოცხალი სიმბოლო აირჩია. ბლაზის მოღვაწეობა არ განსხვავდება ამ რეიტინგის სხვა ქალების სამუშაოსგან - სამოდელო ბიზნესი, ტელევიზია...

## 4. ფედერიკა რიდოლფი (ჯულიანო ჯანიკედა)

თუ **ჯანიკედას** სახელი უკვე დაავიწყდათ ფეხბურთის მოყვარულებს, ქალის სილამაზის დამფასებლები **რიდოლფის** არ ივიწყებენ.

ფედერიკა მოცეკვავე და მოდელი იყო და რა თქმა უნდა, იტალიის ტელევიზიის გადაცემებში აქტიურად გამოდიოდა. მოკლედ, ჯულიანოს გაუმართლა.

## 3. ირინა შეიკი (კრისტიანო რონალდო)

რუსმა მოდელმა ისე მოხიბლა **რონალდო**, რომ პორტუგალიელს დღემდე არ მიუტოვებია ეს ქალბატონი, არადა, მანამდე „რეალის" ვარსკვლავი ძალიან სწრაფად იცვლიდა შეყვარებულებს.

სავარაუდოდ, **ირინას** სამოდელო რეიტინგი ყველაზე მაღალია ამ ათეულის სხვა წევრებს შორის და სულაც არ არის გასაკვირი, რომ კრისტიანოსთან რომანის შემდეგ მისი კარიერა უფრო სწრაფი ტემპით წავიდა წინ.

## 2. აბიგეილ კლენსი (პიტერ კრაუჩი)

რთული სათქმელია რა იპოვა **აბიმ პიტერში**, მაგრამ ფაქტია, რომ „ტოტენჰემის" ფორვარდს ბევრი მოშურნე ჰყავს.

ისევე როგორც ამ რეიტინგის სხვა მონაწილეები, კლენსიზე დიდი მოთხოვნაა მამაკაცთა ჟურნალებისა და ტელევიზიების მხრიდან. ამჟამად მისი კარიერა ფეხმძიმობის გამო შეჩერებულია, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ძალიან მალე კლენსი ისევ გაახარებს თაყვანისმცემლებს თამამი ფოტოებით.

## 1. სილვი ვან დერ ვაარტი (რაფაელ ვან დერ ვაარტი)

ამ წყვილის გვარები ერთმანეთს ემთხვევა. ამაში არის ერთგვარი სიმბოლიზმი, რადგან **რაფა** და **სილვი** პოპულარობის პიკზე არიან და ცოლქმრული ერთგულებისა და ჰარმონიის იდეალს წარმოადგენენ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სილვიმ და რაფამ შეხვედრა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, როცა მათი სახელები ნაკლებად იყო ცნობილი სამოდელო და საფეხბურთო სამყაროში და ერთმანეთის დახმარებით მათ ძალიან ბევრს მიაღწიეს...

სწორედ ამიტომაც ისინი პირველ ადგილზე არიან სილამაზისა და კარიერული აქტივობის მიხედვით. ჰოლანდიელი ყველგან გაჰყვება მეუღლეს, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ირინა შეიკი


სარა კარბონერო


ფედერიკა რიდოლფი


ილარი ბლაზი


ალენა სერედოვა


აიიდა იესპიკა


აბიგეილ კლენსი


სილვი ვან დერ ვაარტი


ლორენა ბერნალი

